აფთი ბისულთანოვი

# პოეზიის წიგნი

კავკასიის ფონდი
2010

ჩეჩნური ენიდან ქართულად თარგმნა
**მედინა ხანგოშვილი-ბარგიშოვამ**

Нохчийн маттара гуьржийн матте гочдинарг
**МАДИНА ХАЬНГIАРА-БАРГИШОВА**

**მთავარი რედაქტორი:** **მერაბ ჩუხუა**
Коьрта редактор: МЕРАБ ЧУХУА

## ვაინახური ბიბლიოთეკა
## Вайнехан библиотека

**სარედაქციო კოლეგია:**

ამირან არაბული
გიორგი ანჩაბაძე
გიორგი ლობჟანიძე
გიგი ხორნაული
გოჩა ღვინიაშვილი
ერეკლე სალღიანი
კობა ჭუმბურიძე
მიხეილ ქურდიანი
ნაირა ბეპიევა
როსტომ ფარეულიძე

**Редакцин коллеги:**

Амиран Арабули
Гиорги Анчабадзе
Гиорги Лобжанидзе
Гиги Хорнаули
Гоча Гвиниашвили
Ерекле Салгиани
Кова Чумбуридзе
Михаил Курдиани
Наира Бепиева
Ростом Пареулидзе

მადლობას ვუხდით «კავკასიის ფონდს» წიგნის გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისათვის

Баркалла олу "Кавказан Фондана" жайна арахоьцуш финансийн агIора динчу гIона

© ა. ბისულთანოვი, 2010
© А. Бисултанов, 2010

# სარჩევი:


კავკასიავ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

*** კერას და ოჯახს ის არ ნაღვლობდა... . . . . . . . . . . . . . 13

*** ვინც ბავშვობაში სიბერეს თამაშობდა... . . . . . . . . . . . 19

რაინსბერგში არსებულ ხიდზე . . . . . . . . . . . . . . . . . 23

მარმარილოს თეთრი ქვები . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25

თანამებრძოლის განსვენებაზე . . . . . . . . . . . . . . . . . 29

მოგონებები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31

*** ხელის თითებით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 33

სიმარტოვე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35

პირველი ლექსი ჩეჩნეთიდან გამოსვლის შემდეგ . . . . . . . . . 37

ომში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 39

მეგობრის გადრაცვალების დღეს . . . . . . . . . . . . . . . . 41

კავკასია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 43

ფრინველს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 47

ბავშვობანი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 53

*** სახლდამწვარს ალბათ ელირსება . . . . . . . . . . . . . . 57

ეზოში კაკალის ხეს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 59

ნაანა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 61

ბავშვობას . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63

*** განუწყვეტლივ ხრავს საათი-თრია დროს . . . . . . . . . . 67

*** ვერცხლის და ოქროს ქარვასლისა . . . . . . . . . . . . . 69

ფოიეში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 71

ჩარდახი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 73

ჩეჩნეთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 77

უცნობი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81

*** ჩემი დუმილი მხეცი დაჭრილი . . . . . . . . . . . . . . . . 89

*** სიმართლე ეს მე ვიდექი . . . . . . . . . . . . . . . . . . 91

ძმამკვდარი დის სიმღერა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 93

ქალიშვილის სიმღერა ორგულ ჭაბუკზე . . . . . . . . . . . . . 95
*** შენი ეჭვების შავმა ღრუბლებმა . . . . . . . . . . . . . . . 97
*** წეროა ანდა ფრთოსანი ტურა . . . . . . . . . . . . . . . . 99
სექტემბრის თოვლი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101
*** ჩვენ სახლში გვაქვს ორი საათი . . . . . . . . . . . . . . 103
*** დაწმდარან ვარსკვლავნი . . . . . . . . . . . . . . . . . 105
ჰოი, დაო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 107
*** მთვარის შუქს აყოლილ ღამეს . . . . . . . . . . . . . . . 111
*** ვით ცარიელ გობთან . . . . . . . . . . . . . . . . . . . 115
*** გახურებული შინდის მარცვალი . . . . . . . . . . . . . . 119
*** გაზაფხული აყურიადებს . . . . . . . . . . . . . . . . . 121
*** უცებ მალვიძებს თქეშის ხმაური . . . . . . . . . . . . . 123
*** როცა მზე ხეთა რიგს ცეცხლის რკალს ავლებდა . . . . . 125
რენტგენი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 127
*** ნახნავსა ჰგვანან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 129
*** ძმის წასვლის შემდეგ . . . . . . . . . . . . . . . . . . 131
*** რა დრო გასულა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 133
ნაანა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 135
*** მხოლოდ სარკმლიდან . . . . . . . . . . . . . . . . . . 137
*** ცეცხლისგან თუ კი იქმნება კერა . . . . . . . . . . . . 139
*** თითქოს სარკიდან იცქირება მზე . . . . . . . . . . . . . 141
*** ამ სამარესავით ბნელ ღამეს . . . . . . . . . . . . . . . 143
*** შენს ნაწნავებში სევდას ჩავაქსოვ . . . . . . . . . . . 145
*** ცეცხლის დაგზნებით . . . . . . . . . . . . . . . . . . 147
*** უსამართლობა შესაქმეა ადამიანის . . . . . . . . . . . 149
*** ჩემი ფიქრები არ არიან . . . . . . . . . . . . . . . . . 151
*** შუქმა შუქისგან ჩამოქნა ჩრდილი . . . . . . . . . . . . 153
პატივცემულ სასამართლოს . . . . . . . . . . . . . . . . . 155

*** ხმაჩახლეჩილო არწივო, ჰეი . . . . . . . . . . . . . . . . 159
*** შენ ნორჩი ლელი ხარ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 161
ლუბაშის ჰანგები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 163
*** მთაში ცხოვრობს ბერიკაცი . . . . . . . . . . . . . . . . 171
*** ასანთის ალი ღამის ირგვლივ . . . . . . . . . . . . . . . 173
*** მთების კალთებზე ჩეჩენთ აულებს . . . . . . . . . . . . 175
*** დიდხანს ვიცხოვრე, რა დიდხანს . . . . . . . . . . . . . 177
*** წმინდა სისხლისაა ღამე . . . . . . . . . . . . . . . . . . 179
*** მე სადაც ვცხოვრობ იმ ქვეყანას . . . . . . . . . . . . . 181
*** ვინც დედაჩემის ძუძუ სწოვა . . . . . . . . . . . . . . . 183
*** თქვით რამე, თქვენ მაინც იყეფეთ . . . . . . . . . . . . 185
*** მე არასოდეს დამინახავს წეროს თვალები . . . . . . . . 187
შემოდგომა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 189
ღამე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 191
*** გათენებამდე უჯავრდებოდა დედა ქალიშვილს . . . . . . 193
*** ჩემი სამშობლო არ იწყება მხოლოდ ანბანით . . . . . . . 195
*** ხედავთ თვალდათვალ გვიბერდებიან . . . . . . . . . . . 197
ჰაიბახისადმი (წრე ან პოემა) . . . . . . . . . . . . . . . . 199
ვედრება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 241
სული (გათვლა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 243
უპატრონო ძაღლი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 247

# ДЕГlАСТА

Дегlаста Дегlаста
азаллехь дуьйна хьо хlаллакьян гlертачу
къизачу ницкъана юьхьдуьхьал латташ
баккъашца хьан латмнийн оганаш нийсдеш
турпала баьхначу хьан кlентийн дуьхьа

Дегlаста Дегlаста
эвхьанна безарийн бlаьра ца хьовсалуш
шовданийн бlаьра уьш хьийсарна цlанлуш
кийра цlийх бузучохь са сирла латто
хьуна ницкъ беллачу йоlарийн дуьхьа

Дегlаста Дегlаста
доллучу дахарехь оьзда юкъ йиххина
набаран кхоьлах а хьуна сагатдеш
доьзалийн вонехь а садаlар доцуш
хьуна хехь лаьттинчу къонахийн дуьхьа

Дегlаста Дегlаста
нуьцкъала хьох даьхна дуьненчохь даржийна
хьан латтахь коша барз хиллачех хьоьгуш
бартхаттар диццелла хьо Деле йоьхуш
эхарта дирзинчу хьан берийн дуьхьа

Дегlаста Дегlаста
азаллехь Дала ша вайн дуьне кхоьллича
стигланаш латтанаш хlиттийна вальча

# კავკასიავ

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
შენი დაჩოქების მსურველ მტარვალებს
დასაბამიდან ვინც ედგა პირისპირ
ვინც სახელს გითქვამდა ქედების გადაღმა
იმ შეუდრეკელ გმირ ყრმათა გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
სატრფოთა რიდით დადრეკილ თვალებით
წყაროსკენ ცქერით ვინც განიწმინდნენ
დაკოდილს იმედის ჩირაღდნად რომ გენთო
იმ მამხნევებელ მზექალთა გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
ვინც არ იხსნიდა ძილშიც კი ხმალ-ხანჯალს
შენს ბედზე დარდობდა ცხადშიც და სიზმარშიც
თავის თავს და ოჯახს ვინც დღესაც რომ გწირავს
მცველებად დამდგარ მხნე ვაჟკაცთ გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
ვინც ძალით გაყარეს გაფანტეს სხვა მხარეს
დღემდე ვინც ნატრულობს შენს წიაღ სამარეს
უფალს ვინც შეგთხოვდნენ მხურვალე ჩურჩულით
ლოდინში გარდაცვლილ შვილების გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
ღმერთი როს დასაბამს ქმნიდა ამ სამყაროს
მორთო და მოხატა ცანი და მიწანი
შემდეგ რომ აღმართა მათთვის ზეობად და

дуьненан lаламаш нийсдина латто
диначу лекхачу хьан лаьмнийн дуьхьа

Дегласта Дегласта
маьршачу буьйсана ламанан тарханаш
шовданийн мукъамехь ойлане теххош
экхано шен кlорни йохъечу хенахь
хьан гlенаш хьоьстучу тийналлин дуьхьа

Дегласта Дегласта
Делан шен пурбанца малхо де доладеш
адамийн акхаройн гlан-набарш хадош
хьан лаьмнийн бердашкахь шахьаршкахь бижина
бода дlатоттучу серлонан дуьхьа

Дегласта Дегласта
зингатан дахар а мехала лерина
экханан бакъо а тидаме эцна
маршонца нийсдина нийсонца дустуш
тхан дайша кхоьллинчу гlиллакхийн дуьхьа

Дегласта Дегласта
Дела ша резаво lамалаш лелаеш
да-нана резадо доьзалаш кхиош
хьаша-да резаво цlе кхерчахь латтош
хьан беркат лардинчу хlусамийн дуьхьа

Дегласта Дегласта
мостаглчо кху лаьттахь даха ца дитича
мархашлахь даьхна а са маьрша латто
тlулгаш тlехь даьхна а дог кура латто
йиначу лекхачу хьан бlаьвнийн дуьхьа

შენდა საამაყოდ იმ მთების გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
როცა შენს ქარაფებს ღამის ღრმა წყდიადში
ნანინას უმღერის წყაროთა დუდუნი
ნადირი ბოკვერთა ალერსით რომ თბება
იმ მინაბებულ წამების გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
მზე ვინაც ღვთის ნებით დღის ნათელს მიწას ჰფენს
ძილიდან გამოჰყავს ყოველი სულდგმული
კლდე-ჭიუხებსა და დაბა-ქალაქებში
წყვდიადს ვინც გიმარცხებს იმ შუქის გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
ვინც მფარველობდა ჯინჭველის სიცოცხლეს
უფლებებს იცავდა კაცის თუ ცხოველის
თავისუფლებას სამართლით ვინც წყავდა
მათ წინაპართა ზრდილობის გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
ვინც უფალს მსახურად ქალ-ვაჟებს უზრდიდა
მუხლს ვინაც იყრიდა დედ-მამის წინაშე
სტუმარს ვინც დღესაც სიცოცხლეს ანაცვლებს
ბარაქის არ წამხდენ ოჯახთა გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
მტერს არ დანებდნენ თავისუფლებისთვის
ღრუბლებით შემოსეს ჭერხოთა სიმაღლე

ДегIаста ДегIаста
Дела цхьаъ винчийн ламазаш дебадан
Элча бакъ винчийн ойланаш кхаба
хьан лаьмнаш сирлачу жамIате кхайкха
диначу дуьххьарчу маьждиган дуьхьа

ДегIаста ДегIаста
Дела бен вала да воцуш хьо хьийзачу
тхан наной хьан къина боьлхучу дийнахь
гIазотехь дуьненан боданаш багош
хьан кIентий оьгучу доккхачу дийнахь
Дала ларйойла хьо тхан Нана-ДегIаста

1995

ქარაფთა წვერებზე ამაყად აღმართულ
ზეცაში ატყორცნილ კოშკების გულისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
ვინც რჯულის სიწმინდე გულებში ატარეს
ლოცვებში გავედრეს გულწრფელი ღაღადით
უფლისთვის აგებულ სახლ-სალოცავებში
აღვლენილ იმ ყველა ლოცვა-კურთხევისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი

ჰეი კავკასიავ ჰეი კავკასიავ
დღეს როცა არვინ გყავს მფარველი ღვთის გარდა
ცრემლები გაცრიან მკვდარ ძეთა დედების
სამშობლოს სამართალს რომ ეწირებიან
ამ დიად დღეების წრფელი მიზნებისთვის
დედა კავკასიავ გფარავდეს უფალი
გფარავდეს უფალი გფარავდეს უფალი

* * *

х1усаман 1алашо йоцуш
и т1улгаш т1ек1ела дихкинарг
г1иртина шен цхьаллех кхета

со иза хууш ву сайн дайша йиначу х1ора а б1евнах

со иза хууш ву Нохчийчохь гиначу дуьххьарчу б1аьвнан
х1ора а кора т1ехь х1ора а не1ара т1ехь
харцахьа баьккхина го гичахьана
ширачу сан дедас зайлаца т1улга т1ехь бинаберг
Цкъа Шемахь биййцинчу шен седа-жайнанан маттахь
ваалар а валар а вахаран гонан цхьа ц1онга ду аьлла
т1адамах кхоьллинарг т1адаме воьрзур ву аьлла
го иза цхьалла ю цхьалла и маршо ю аьлла
шен гонах кхеттаверг дуьненан къайленех кхетар ву аьлла
ч1уг карчарх кхеттаверг хазаллин къайленех кхетар ву аьлла

х1усаман 1алашо йоцуш

и т1улгаш т1ек1ела дихкинарг
г1иртина шен цхьаллех кхета

ткъа гидо-м боху уьш ю алха цхьа декорацеш

нагахь и бакъ делахь
даима Моцартах цецвийлла волу
со х1унда 1ехаво кху сарахь эчиган цаьпцалго
цкъа сайна дуьххьара евзича санна
угаре а хаза олхазарш
х1ораза 1уьйренан ламазан хенахь декаран къайле

* * *

კერიის შექმნას ის არ ცდილობდა
როცა ქვას ქვაზე მიჯრით აწყობდა
ეული სულის ცნობას ლამობდა

მე ამას ვუწყი ჩემს წინაპართა ყოველ კოშკიდან

მე ამას ჩავწვდი ჩეჩნეთში ნანახ პირველი კოშკის
ყოველ სარკმელზე  და ყოველ ბჭეზე
წაღმა შემოკრულ წრე-რკალის ხილვით
ჩვენმა მამებმა სოლით ქვაზე რომ ამოკვეთეს
ოდესღაც შამში ვარსკვლავთ წერილში ნახმარ ენაზე
სადაც ითქვა რომ ცხოვრების წრის ჭიპი სიკვდილით
იქმნება
წვეთად რომ იქცევა წვეთისგან შექმნილი
წრე იგი სიმარტოვეა სიმარტოვე კი თავად რომ არის
თავისუფლება
და ბორბლის ჰანგით ვინც იხიბლება რომ ცნობს
იდუმალს მშვენიერების

გიდი კი ამბობს ეს გახლავთ მხოლოდ დეკორაცია

კერიის შექმნას ის არ ცდილობდა
როცა ქვას ქვაზე მიჯრით აწყობდა
ეული სულის ცნობას ლამობდა

და თუ ასეა
მუდამ მოცარტით  ღრმად განცვიფრებულს
თითქოს პირველად დღეს დავინახე
როგორ მაბრუებს ასე ამ მიმწუხრს რკინის კალია
ან საიდუმლო ჩიტთა ყდურტულის

я х1уппа са парг1ат дели сан
т1ебоьжна тхов хьалаайбича санна
хьала а г1аьттина д1о г1анта т1ера
цхьа адам д1адоладелча.
доллучу дахарехь ерриг а пачхьалкхан харж йойуш
херцарех х1окккхузахь г1ург1езийн руьйта а йина
паччахьалин г1уда текхна а ваьлла
цхьаллин го буьзначу буьйсана
борз яьхкаш дуьненчу ваьлла
нохчо со хиларна
ларт1ера ваьллачу Людвигна г1ург1езаш езаран бахьанах кхетта
вала д1авоьдуш верг со волуш санна
сел лехарх карош ца хилла
Нохчийчу боьду некъ ц1аьххьана схьагича санна

Нохчийчу боьду некъ

ларамза хиллачу 1ийданех йисина нехаш
ларамза хиллачу марзонех йисина ченаш
Делера хиллачу 1ийдане
Делера хиллачу марзоне
цхьанхьа д1акхоьхьуче

эзарнаш шерашках Шемера Кавказе кхаччалца некъ беш
к1адъелла йижчоначохь наб кхетта йисначу эмкалийн ковранах
ас лаьмнаш олуче цханхьа

мостаг1на юьхь-дуьхьал х1оьттича
берриг а букъ т1ехьа лаццал бен боцучу махкахь

ან საიდუმლო ჩიტთა ქლურტულის

ულამაზესის ცისკრის ლოცვისას ყოველ განთიადს
ან რატომ ვიგრძენ შვება ასეთი
თითქოს და ჭერი თავს დაქცეული ვინმემ ასწია
როს იქ სკამიდან ვიღაც წამოდგა
და თავის გზაზედ დინჯად გასწია

მთელი ცხოვრება სახელმწიფოს მთელი ხაზინა
აქ ნანგრევთაგან გედთა საუფლოს შექმნას შესწირა
და იმ მეფობის სასჯელმოხდილი
მარტოობის წრის გავსების ღამეს
მგლის ბოკვერთ შობას ქვეყნად მოსული
ჩეჩენი რომ ვარ
შეშლილ ლუდვიგის გედებისადმი ტრფობის მიზეზს
მიწყივ ჩამწვდარი
ეს მე ვარ თითქოს სიკვდილისკენ გზაზედ დამდგარი

ამდენი ძებნით რომ ვერ ვპოვებდი
უცებ წავაწყდი თითქოს და ბილიკს სამშობლოსაკენ

გზას ჩეჩნეთისკენ

შემთხვევით მოსულ დღესასწაულის მონარჩენებზე
შემთხვევით მოსულ ნეტარებისგან მონაშთენ მტვერში
ღვთით მოვლენილი დღესასწაული
ღვთის ნაბოძები ნეტარება
სადღაც რომ აღწევს

ათასი წლების დინებას შამის ქვეყნიდან კავკასიამდე
სადაც ქარავანს ღრმად ჩაეძინა გრძელ გზაზე დაღლილს
მე რომ მთებად ვცნობ იმ მხარეს სადღაც

მტრის წინ აღმდგარის

мачаш т1е йиллина чан а
иелсаманен басах лепачу
нохчийн муджахидо ког биллал йисначу меттигах
ас Даймохк олуче цханхьа

дуьненан историн ц1онганехь лаьттачу
цкъа а со шена т1ех1оьттина воцучу
сайн ненан кошана уллохь
сайн ц1онга суна схьакарадийр доллуче цханхьа

х1усаман 1алашо йоцуш
и т1улгаш т1ек1ела дихкинарг
г1иртина шен цхьаллех кхета

2006

სამოთხის ფერებში ბზინავს
მიწა რომ მოგვრჩა ჩეჩენ მეომრის ნაბიჯის ტოლი
მე ჩემს სამშობლოს ვუწოდებ რასაც

მსოფლიო ისტორიის შუაგულს მდგომი
მე რომ არასდროს მიხილავს თვალით
მშობელი დედის სამარის გვერდით
სადაც ჭიბლარი მეგულვის ჩემი იმ ადგილს ველტვი

კერიის შექმნას სულ არ ცდილობდა
როცა ქვას ქვაზე მიჯრით აწყობდა
ეული სულის ცნობას ლამობდა

* * *

бераллехь къаналлех левзинарг къаналлехь бераллех ловзу

кхачвалар ду кхачавалар, мухха а делахь а, ду иза валар

дийначун сакхт хила деза шен кхачамбацарца кхачамах и хьалхавоккхуш

цундела
сан аьро пхьаьрса т1ехь
сел нийса лелачу хенан раж йохаеш
"Своттч" гонах г1енийн чарх еш дерг ду сан доьхна доьхка

цундела
цкъа мацах Нохчийчохь зуламах со ларван
даькккхина жайна ас сайн кераюкъе ма-диллинехь
х1ораза го суна сайн хьажо-п1елга т1ехь
додаммий д1аьндаргий денлуш

цундела олу ас наг-нагтахь "масалла, суна хьо еза"

цундела
кху г1алахь
туристаш 1индаг1аш д1ададхна йисначу херцаршна юккъехь
ас айса билгалдо тахана
"масалла, со вехар ву х1инца кху дитта т1ера
д1огарчу берда т1е кхаччалца
кху новкъахь ша дуьхьалкхеттаверг ... волуш"

* * *

ვინც ბავშვობაში სიბერეს თამაშობდა სიბერეში თამაშობს
სიყრმეს
მომწიფება ხომ მოთავებაა ასეც და ისეც სიკვდილი გვიწევს

კაცს ნაკლი ჰყვება მისი დაძლევით რომ ელტვოდეს
სრულყოფილებას

და ამიტომაც
ამ ჩემს მაჯაზე
„სვოთჩის“ ირგვლივ სიზმრებს ჩარხავს და
ზუსტ დროს აზანებს ეს გაცვეთილი ტყავის სამკლავე

და ამიტომაც
ერთხელ ჩეჩნეთში განსაცდელისგან ჩემს დასაცავად
ნაჩუქარ შანას ხელის გულზე როგორც კი დავდებ
საჩვენებელი თითის წვერზე სუნთქვას იწყებენ
ჰიამაია და ტყვია მყისვე

და ამიტომაც პირობითად ვამბობ ხოლმე „ვთქვათ რომ
მიყვარხარ“

და ამიტომაც
ამ ქალაქში
ტურისტების და ჩრდილთა დალევით
ნანგრევთა შორის დაშთენილი
დღეს თავად ვსაზღვრავ
„ვთქვათ და ვიცოცხლებ
ამ ხის ძირიდან იმ კლდეს გავაღწევ სანამ
და თავად გზაზედ შემოყრილიც ის იყოს იქნებ“

амма
цундела дуй техьа т1аккха,
стен борша къена я къона
я цхьа а башхалла башха а йоцуш
дуьхьала схьадог1уш генара цхьа сибат гича
со вехха 1адийна латтар
со суо а массех сиз бен боцуш санна
цецваьлла мацах цкъа Прагехь
хаддаза лелачу трамвайна т1ера
Вацлаван майдана кхочучу меттехь
сайна мотт гайтина ела а елла
хан охьаиккхича санна

მაგრამ
მიტომ თუ იყო ალბათ
ძუ ხვადი ყრმა თუ მოხუცებული
არ ირჩეოდა იგი არაფრით
იმ სახის ხილვით მომავალის ჩემკენ პირისპირ
გაოგნებულის დგომა ჩემი
ერთელ პრაღაში
თითქოს თავადაც სულ რამდენიმე შტრიხი ვიყავი
როცა ვაცლავის მოედანზე
ტრამვაის კარებს მიღწეულმა
თითქოს ენა გამომიყო და
სიცილით ჩახტა დრო-ჟამი

## РАЙНСБЕРГЕРАЧУ Т1АЙ Т1ЕХЬ

*М.*

1индаг1 аш царна а ма деза вовшийн
бесачу даима шийлачу царна
амма шаьш кхоьллина цхьа малх д1абовш бен
марзонан хама бан-м ца хаьа царна

цкъа цхьана дитта т1ехь дезначу вовшийн
вовшийн мутт мийлинчу цу шина генах
дисинчу 1индаг1ийн мох меттахъхьовш бен
вовшех ца хьакхало дог1маш я г1енаш

я Аллах1 ма марзо хила а еза-кх
доьдучу хи т1е чуэгначу церан
ма дагахьбалламаш хила а беза-кх
цкъа вовшийн дохдина доцучу церан

эсалчу экамчу марзонан шовкъехь
гегадар эгадар бу церан мотт а
шайний бен къайле ца евзачу зовкхехь
ца эшар кхин цхьа а меттар я моттар

1индаг1аш царна а ца лаьа х1инца
бузучу цу малхе х1умма а хетта
эгавеш марзонан х1ора а цинцах
со а сайн 1индаг1а хиларх со кхетта

цу дакъаделлачу диттана т1ера
ларамза генийн иэс цкъа меттахдалахь
меттахъхьов, 1индаг1ийн санна сан кхерам
там бара со царел хьалха д1авала

2005

# ჩაინსბერგის არსებულ ხიდზე

გ.

ჩრდილები მათაც ხომ უყვართ ერთურთი
დაცლილთ და დათალხულთ სიცივე რომ ახლავთ
მაგრამ სიყვარულს ვერ გრძნობენ ერთურთის
მზე მათი შემქმნელი სანამდე არ ჩავა

ოდესღაც ერთ ხეზე მწველ გრძნობით შეზრდილებს
ერთურთის ნერწყვით მთვრალთ ასე რომ ეგებათ
ორი რტოს აჩრდილებს ქარისგან აძრულებს
ტანნი და ხილვანი ერთურთთან ეხებათ

ღმერთო რა სიტკბო ნეტარს ხდის მათ ყოფას
წყლის პირზე რომ წვანან და დრო აქვთ დათვლილი
რა სინანული დაჰყვება იმ გრძნობას
წამითაც ვერ გამთბობთ ერთურთის ძვალ-რბილის

იმ ნაზი გრძნობების გაღვიძებისას
ეწყებათ ჟრჟოლა ჩურჩულის მომგვანი
იდუმალშეცნობილთ იმ ნეტარებისა
არა სურთ ამქვეყნად სხვა წარმოსახვანი

ჩრდილები მათ არ სურთ დაცლილებს ჟამისგან
ჩამავალ მზეს ჰკითხონ ამბავი ხვალისა
ნაკრთობი იმ სიტკბოს ყოველი წამისგან
ვხვდები რომ ჩრდილი ვარ მეც ჩემივ თავისა

თუ უცებ გამხმარ ხეს მოსწყდება ტოტების
მოგონებათა უწყვეტი ალალი
წამს მძლევს შიში მეც იმ ფიქრით ჩრდილების
ავაჰ მათზეც წინ არ მერგოს არჯალი

## ШАГАТIУЛГАШ (ДАГАРДАР)

xIацIи - бицIи - бицIахь - цIулга
хьан дог ма ду шагатIулган
цо дуй бигьна сох ца кхета
сан сингаттам дош ца хета
xIацIи - бицIи - бицIахь - цIулга
хьан дог ма ду шагатIулган

xIацIи - бицIи - бицIахь - цIулга
сан дог ма ду шагатIулган
и чIагIделла хьох ца кхеташ
хьан кураллаш дош ца хеташ
xIацIи - бицIи - бицIахь - цIулга
сан дог ма ду шагатIулган

хьарам - барам - цIело - гIело
дегнаш ду вайн карахь лелош
цкъа вай вовшийн дуьхьалкхетахь
я эвхьаза я эхь хеташ
цкъа хьан куьйгах сан куьг кхетахь
я сан куьйгах хьан куьг кхетахь
xIацIи - бицIи - бицIахь - цIулга
зулам хир ду шагатIулгех

xIацIи - бицIи - бицIахь - цIулга
шагатIулго шагатIулгах
суй баккхарна кхерам беца
дитташ санна йокъа лайна
кхарзаделла долчу вайна

# მარმარილოს თეთრი ქვები (მათვლა)

ჰაწი[1] ბიწი ბიწაჰ წულგა
მარმარილოს გულო გულქვავ
დაგიფიცავს არ გამიგო
ჩემი სევდა გულს არ გიპობს
ჰაწი ბიწი ბიწაჰ წულგა
თეთრი ქვის გაქვს გული გულქვა

ჰაწი ბიწი ბიწაჰ წულგა
თეთრი ქვის მაქვს გული გულქვა
რომ არ უგებ ის აქვავებს
სიამაყეს არ გიფასებს
ჰაწი ბიწი ბიწაჰ წულგა
თეთრი ქვის მაქვს გული გულქვა

ჰარამ ბარამ წელო დელო
გულნი დაგვაქვს ხელში ლელოდ
ერთხელ ერთურთს ჩვენ თუ შევხვდით
კრძალვით თუნდაც უსირცხვილოდ
შენს ხელს ჩემი თუ შეეხო
ან ჩემს შენი თუ მიენდო
ჰაწი ბიწი ბიწაჰ წულგა
ზიანს მოგვცემს ის ქვა გულქვა

ჰაწი ბიწი ბიწაჰ წულგა
ქვა თუ შეხვდა თეთრ ქვას უცბად
ნაპერწკალი ჩნდება რისხვად
და ვით ვერხვებს გვალვით ხმელებს
დასაწვავად აღგზნებულებს

1. ბავშვების სათამაშო სიტყვები

и цхьа суй а тоьур беца
кхетта сенчу цlарах дага
иштта хlара дуьне даго

хlацlи - бицlи - бицlахь - цlулга
дегнаш ду вайн шагатlулган
хьарам - барам - цlело - гlело
зулам ду уьш карахь лелор

2004

ნაპერწკალი ცეცხლს გაგვიჩენს
შემოგვახვევს ხანძრის ენებს
კოცონს მივცემთ ზღვას თუ ხმელეთს
ჰაწი ბიწი ბიწაჰ წულგა
თეთრი ქვის გვაქვს გულნი გულქვა
ჰარამ ბარამ დელო წელო
სჯობს დავმალოთ მკერდში გვეწყონ

## БIАЬХОЧУН ТЕЗЕТ

бараман га лаьцна доцу вешин куъг а
кошан борза тIе диллина доцу йишин куъг а
цIий а мисканан хьожа а

ткъарш=ткъиршанехь
когаш кIелахь кегло Iиндаг1аш а

саьхьарчу гIамаршкахь
догIанан тIадамаш санна
хIораннан а
сих а дегIах а худало
дуьненчохь тIаьхьа мел йисначу
тийналлин тIаххьара тIадамаш а

синметтехь кеглучу
лазаман гаьргаш а
хIораннан бIаьргашка хIиттина лаьтта

матта тIе кхачале
массо а дош кхачадаларна
хIораннан а
легашка хIиттина лаьтта
неIалт а
дагахьбаллам а

доIанна кховдийна куьйгаш а
герза тIе кховдийна куьйгаш а
дуьненан эхартан дозанехь

2003

# თანამებრძოლის მანსვენებაზე

ბარამს[1] ჩაბღუჯული ძმის ხელი არა ჩანს
დის ხელი არა დევს საფლავის ბორცვზე
ირგვლივ დგას სისხლი და მუშკის სურნელი

და ტკაცა-ტკუცით იმსხვრევიან
ჩრდილები ფეხქვეშ

ვით მშრალი ქვიშა
წვიმის წვეთებს
ყოველ მებრძოლის
სული სხეული ხარბად ისრუტავს
ქვეყნად მონაშთენ სიმყუდროვის
უკანასკნელ სულ ბოლო წვეთებს

სულის საუფლოს დახროვებულ
ტკივილთ ნამსხვრევებს
უცრემლებოდ ამზეურებენ მათი თვალები

ხანამ მოაღწევს ენას
გზად ყველა სიტყვის დალევის გამო
ყოველ მათგანს
ყელს ებჯინება
ბოღმა და
ხინანული

ლოცვად აწვდენილი ხელები
იარაღს გაწვდენილი ხელები
აღწევენ საიქიოს და ამა სოფლის ვიწრო გასაყარს

---

1. ცხედრის გასასვენებელი, რომლითაც გარდაცვლილის ახლობელი მამაკაცები მიცვალებულს სასაფლაოზე მიასვენებენ.

# ДАГАЛЕЦАМАШ

лам хаьрцича т1аьхьабисина берд а
акхадевлла лела адамаш а
берд хаьрцича т1аьхьадисина 1индаг1а а
т1омадевлла лела кешнаш а
шах1идийн яххьаш а
стигланаш а латтанаш а мел ду д1асатоьхна нохчийн ц1ий а

дуьненан маь11ехь д1ахецна цициган к1орни а
х1орд болабалийтина пхьидан б1аьрхи а
стигла а яьккхина д1ахецна уьнт1епхьид а
поллано кагдина кор а
х1ара суьйре а
Берлин а
со а
сан са а дег1 а мел ду д1асауьду дагалецамийн зингатий а
х1ора а ламазна т1аьхьа ас деш долу до1а а
я Аллах1 Дег1астанахь валар лолахь суна

2003

# მოგონებები

ჩაქცეულ მთისგან დაშთენილი ქარაფის ფერდი
ადამის ძენი დარბეულნი გზადაბნეულნი
ქარაფის ჩაშლით გაჩენილი მიმქრალი ჩრდილი
და სამარენი მფრინავნი მაღლა
ამაყი ღიმი შეყინული შაჰიდის სახეს
და ცათა წიაღ მიწათ გასწვრივ დანთხეული სისხლი ჩეჩენთა

და კნუტი სადღაც მიშვებული ქვეყნის ნაპირას
ზღვის ამზვირთავი ბაყაყის ცრემლი
კუ გაფხორილი ცა რომ უპყრია
ფარვანას მიერ ჩამტვრეული ერთი სარკმელი
და ეს საღამო
ბერლინი და
ეს ჩემი თავიც
სულსა და სხეულს მოარული მოგონებათა ჭიანჭველები
და ლოცვის შემდეგ უფლისადმი ვედრება ჩემი
ღმერთო მაღირსე სიკვდილი კავკასიის მთებში

* * *

ахь куьйгийн пӀелгашца
гочдо сан дагтӀера йоза
хӀора аз сиз-матте доккхуш
массо а дош делла йисначу
къайленийн мотт хаьа хьуна
и аьзнаш доьшу ахь
бӀаьрзечо тептар ма-дешшара
мацах ас мотт лен а валале
Нохчийчохь
ширачу бӀавнаш тӀехь яздина
зайл-йоза дешна ма-хиллара

хьан суьрташ гочдо са
хӀора сиз аз-матте боккхуш
хьан пӀелгийн мотт хаьа суна
вай дӀасакъасталща Ӏамийна
вай дӀасакъаьстича бищбан
я карлабаккха
цкъа нохчийн хьаннашкахь
сайн дагна хьажийна
дӀаьндарг схьакхоччучу юкъана
пӀелга тӀе хаийна
хьох тера йолучу
додаме
тӀаьххьара бийща

2003

* * *

ხელის თითებით
ყოველი შტრიხის სიტყვად ქცევით
წარწერას თარგმნი ჩემი გულისას
ყველა სიტყვამკვდარ საიდუმლოს
სწვდები და იგებ
გრძნობ არჩევ ბგერებს
ვით უსინათლო წიგნის კითხვისას
როგორც მე წინათ ენის ადგმამდე
ჩეჩნეთში
წინაპართ კოშკებზე ვკითხულობდი
ლურსმნულ წარწერებს
მე შენს ნახატებს ვთარგმნი
ყოველ შტრიხს ვაქცევ სიტყვად
მე მესმის შენი თითების ენა
ნასწავლი ვიდრე განვშორდებოდით
რომ დავივიწყო ან მოვიგონო
თუ გაგეყარე
და ალბათ ერთხელ ჩეჩენთ ტყეებში
ჩემი გულისკენ დამიზნებულ
ტყვიის მოსვლამდე
თითზე დავისვამ ჭიამაიას
შენ რომ გამსგავსე
მასთან ვიუბნებ უკანასკნელად
იმ მკვდარ ენაზე

## ЦХЬАЛЛА

.

эгабо боданехь серлонан сара
берда т1ехь ч1арано садоь1уш санна

2002

# სიმარტოვე

ბინდში შუქის წნულს ცახცახი იტანს
თითქოს კლდის თავზე თევზი სულს ითქვამს

# НОХЧИЙЧУЬРА АРАВАЬЛЧА ДУЬХХЬАРА СТИХ

хIара дог
хIара къена зу
шинна а куьйга схьа а лаьцна
дIатега
цкъа
юнаца мача ма-теттара
цул тIаьхьа дIаваха
дуьненан массо а агIор
кхин вист а ца хила
велла дIаваллалц мукъна а
амма

2002

## პირველი ლექსი ჩეჩნეთიდან გამოსვლის შემდეგ

ეს გული
ეს ზღარბი ბებერი
ორთავე ხელით დაიკავე და
გაკერე
ერთხელ
რკინის სადგისით
ვით ფეხსაცმელი
მერე იარე
ყველა მხარეს ამა სოფლისა
დუმილის აღთქმით
სიკვდილამდე
მაგრამ

# Т1АМТ1ЕХЬ

хьуна ца дезачо
хьо а ца везачо
сих=дег1ах хьакхалой
чов йо

даггара хьо дукхавезарг бен
хьан дагах кхетар яц хьуна
зуда а
д1аьндарг а

Делан ц1е яккха кхиахьара=кх

2001

# ომში

ის რაც არ გიყვარს
ვისაც არ უყვარხარ
სულს და გულს ეხება
დაგჭრის

მხოლოდ ის ვისაც გულით უყვარხარ
მხოლოდ ის გაუგებს შენს გულს
ქალი თუ
ტყვია

უფლის სახელის ხსენება მოვასწრო მაინც

## ДОТТАГӀА КХЕЛХИНЧУ ДИЙНАХЬ

меттахъхьов лампанан серло
лазадо цуо сан лерса

меттахъхьов сан цӀоцкъамаш а
тохалой чудужу олхазар

меттахъхьов тӀулгаш а чим а
дуьне ду маьлха=каш санна

2000

# მეგობრის გარდაცვალების დღეს

შეირხა შუქი ლამფის
მატკინა სმენის ძაფი

შეირხნენ წამწამნი წამით
დავარდა ჩიტი ჩქამით

შეირხნენ ფერფლნი და ქვანი
მიწაა აკლდამის მგვანი

# ДЕГIАСТА

юха а ярташ тIехь сенлуш ду кIарраш
юха а цIинлуш ду ламанийн карраш
ДегIаста ДегIаста хьох дагайолуш
хетарехь, юха а бIаьсте ю йолуш

Далла хьо езарна билгало юй те
Делан мас-маликийн орца и дуй-те
цкъа а ца хиллачу кепара мерцаш
сел серлаюьйлу хьан маршонан херцарш

сан цхьа ког кошахь бу важа хьан лаьттахь
шахьидийн цIийх заза доккхучу лаьттахь
ДегIаста ДегIаста со а ву дийна
дийнаберш беллачех хьоьгучу дийнахь

дагна тIе дог дуьллий хьоьга ладоьгIуш
дашна тIе дош уьллий хьо Деле йоьхуш
хьох дина доIа ду сан некъийн хазна
къеначу сан ненан хьох йолу назма

сан кхинцерг дацара лардан я дайа
весете дилла я байраккхах айа
дуьненчу волуш цкъа гина хьан бос бен
мотт Iемаш дуьххьара хьох аьлла дош бен

хьох ведда дIавоьдуш ведда цIа вогIуш
дуьненан гIайгIанаш ахь серлайохуш
сайн эрна кхерстар а хетара хьанал
маьрша цхьа кIур болуш хьо хилчахьана

# ქავქასია

ისევ ლურჯდება სოფლის თავს ნისლი
მთათ ლურჯი ქოჩორიც განაზლდა ისევ
ჰოი კავკასიავ ვგონებ გულს გიშლის
დგას გაზაფხული შენს კართან ისევ

ღვთის სიყვარულის თუა ნიშანი
ან ანგელოზთა მაშველი ჯარი
ასე არასდროს განათებულა
თავისუფლების ნანგრევთა თაღი

ცალ ფეხს ვდგამ სამარეს მეორეს შენს მიწას
სად კვირტს შლის გმირთ სისხლის ყოველი წინწკალი
ჰე კავკასიავ დღეს სული მეც მიდგას
როცა მკვდარს დანატრის ყოველი ცოცხალი

გულსა ვდებ შენს გულზე მით ვისმენ შენს ბგერებს
სიტყვას ვდებ სიტყვაზე შენ უფალს გავედრებ
შენზედ ვედრება ჩემ გზათა განძია
ჩემს ბერ დედაის შენზედ ნაზმია[1]

მომრჩა არცა რა დავიცვა დავკარგო
ანდერძად დავტოვო ან დროშად ავწიო
გაჩენის ჟამს ნანაზ შენს ფერთა გარდა
შენზედ თქმულ პირველ სიმღერის გარდა

შენგან გაქცეულს თუ შენკენ მოქცეულს
მყავდი შენ იმედად მართალს თუ დაბნეულს
არ ვთვლიდი მე ჩემს გზებს ამაოდ ნავალად
თუ ერთი კერითაც ზაროზდი ალალად

---

1. ჩეჩნურ ფოლკლორში სასულიერო ხასიათის სიმღერა

тийналлин к1оргенехь аьрцанийн к1ожехь
маьрк1аже т1ейог1уш назманан озехь
къорачу кхокханан г1айт1анехь нанас
некъе ладоьг1уш цхьа юьрт хилчахьана

ткъа тахна леташ верг летта д1аволуш
ида мел луучун идда садолуш
хьан Са1ди-к1отарахь хьан х1ора эвлахь
йогуш ю Дади-юрт Девкара-эвла

дийначун х1усам яц веллачун каш а
к1езга ду къанойн дош хьан къонойн даш а
ког ловза меттиг бац букъ тоха берд а
мостаг1а хьан оьзда х1у дайа г1ерта

хьан латта даьккхина кхерсташ ю алу
хьан стигал яьккхина 1ожаллин талу
амма хьо хазлуш ю 1ийданехь санна
хьайн г1азот дуьненна д1агайта санна

ткъа х1инца х1ун ала ас хьох а сайх а
хьо ларъеш оьгучу маршонан дайх а
Дег1аста Дег1аста 1аьмаран Заза
со цкъа а гина вац хьо ишта хаза

2000

მიმწუხრს თუ მესმოდა ჰანგები ნაზმების
დაბურულ ტყეებით შემოსილ მთების
თუნდ ერთ აულში მტრედის ჩუმი ხევდით
ეული დედა თუ გზას სწვავდა ცქერით

დღეს იცი ვინც იბრძვის ბოლომდე მიჰყვება
გაქცევის მსურველს კი სირბილში სდის სული
შენს სადი-კოთარში[1] შენს ყველა აულში
იწვება დადი-იურთი და დევქარა-აული

მკვდარი საფლავს გთხოვს და კერას ცოცხალი
დროულთ სიტყვა სტეხთ ახალუხლთ ზღვა ვალი
სავალი არა ჩანს საყრდენად კლდე რვალის
დიდგვარ ჯიშს გიქელავს უგვანო მტარვალი

შენს მიწას უვლიან დღეს ცეცხლის ენები
შენი ცა უვსია სიკვდილს და საწამლავს
ვით დღესასწაულზე ქალწული ირთვები
თითქოს მით აქვეყნებ შენს წმინდა ჰაზავათს

დღეს რა ვთქვა ამ სულის დაწყვეტილ სიმებზე
ან შენზე ან შენთვის დაცემულ გმირებზე
ჰეი კავკასიავ ასულო ამარის[2]
არასდროს ყოფილხარ შენ ასე ლამაზი

1. დადის იურთი - ისტორიული აული, სადაც 1814წ. სექტემბერში ერმოლოვის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ათეულობით ქალიშვილი, ზოგიერთი მათგანი ხმლით ხელში ეკვეთა მტერს, ხოლო ტყვედ ჩავარდნილი 46 ქალიშვილი თერგზე გადაყვანისას ყარაულებს ეცა და ხიდიდან პირდაპირ აბობოქრებულ თერგში გადაეშვა. თითქმის ასეთივე სახის ისტორიული მოვლენები ვითარდებოდა დევქერის აულშიც კავკასიის ომების პერიოდში. სადის კოთარში, ჰამზათ გილაევის მშობლიური აულში, 2000წ. თებერვალში მისი მეთაურობით წარმოებულ ბრძოლებში ათასზე მეტი ახალგაზრდა შეეწირა სამშობლოს თავისუფლებას.

2. დადის იურთელი მზეთუნახავი ზაზა ამარის ასული, რომელიც ზემოაღნიშნულ ბრძოლის დროს მეჩეთის ნანგრევებქვეშ დაიღუპა. ვაინახური ფოლკლორის („სიმღერა დადის იურთზე") ერთ-ერთი პერსონაჟი.

## ОЛХАЗАРЕ

са хаддалц кхайкха хьо х1ай маьрша олхазар
ва дийна хиларан жоп Деле доьхуш
т1ам хаддалц кхерста хьо х1ай маса олхазар
вай дегнийн баланаш тиен меттиг лоьхуш

вай вовшех кхаьрдича нийсдала мегачу
г1уллакхан ойлаяр дита ахь суна
вай вовшех къаьстича мага ца мегачу
ойланна доладар дита ахь суна

цу Далла хастамбеш т1ома ца кхолларна
т1ам акха ца волуш вуьсучу суна
цу Далла хастамбеш Нохчийчохь кхолларна
ког акха ца волуш вуьсучу суна

цу Далла хастамбеш дилха дог кхолларна
т1улгаш а ч1аг1аллех духучу дийнахь
цу Далла хастамбеш хьох тера кхолларна
баьхнаберш Нохчийчохь буьсур бац дийна

ирс долуш деца хьо х1ай маьрша олхазар
нахаца нийсо хьан леха ца дезна
ницкъ болуш деца хьо х1ай кура олхазар
дуьненан к1езгалле лакхара хьежна

т1емашкахь мох кхаьбна б1аьргашкахь 1ожалла
синметтехь яхь кхаьбна дара-кх хьо хийла
наггахь ахь мохь тоьхча д1аьндарган озал а
и маса хуьлура хуьлура шийла

# ფრინველს

გვიხმობ გაჭკივი სულის მიხდამდე ლაღო ფრინველო
უფალს სთხოვ პასუხს ამ სიცოცხლის და მზარავ
ყოფისთვის
ფრთათდაწყვეტამდე რომ დასრიალებ მალო
ფრინველო
სავანეს ემებ ფიქრებით დაღლილ მამაც გულისთვის

ჩვენ რომ ერთმანეთს მწარედ დავცინოთ მით რა გამოვა
ერთობა გვინდა ეს მიანდერძე სამარადჟამოდ
აწ განშორება საუკუნოდ რომ გვეკრძალება
ამ ფიქრზე ზრუნვა დამიტოვე სამარადჟამოდ

მე დამიტოვე ღმერთს ვინც ვადიდებ რომ მშვა
უფრთებოდ
რათა ფრთაშმაგი არ გავჭრილიყავ უცხო სხვა მხარეს
უფალს ვადიდებ მადლიერი რომ მშობა ჩეჩნეთს
მასთან რომ დავრჩი მისი მკვიდრი მისი მოზარე

მადლობას ვწირავ უფალს გულის სიმტკიცისათვის
რაც მიწყალობა დღეს როცა ირგვლივ კლდენიც სკდებიან
მადლობა უფალს შენფერი გულით ქვეყნად შობისთვის
ჩეჩნეთის მიწას როცა რჩეულნი ეწირებიან

სვებედნიერიც თავისუფალიც შენ ხარ ფრთოსანო
რომ არ გიწევდა ხალხში ცხოვრება მწირი სამართლით
ამაყი გულით ხარ ძალმოსილი ცათა მგოსანო
ამ წუთისოფლის სიმდაბლეს ურვას დასცქერი მაღლით

ფრთებით იფარავ ცივ ქარაშოტს და სიკვდილის აჩრდილს
სულის საუფლოს სიზვიადე გიშლის გოდებას
შენს ცივ გამჭოლ ხმას სულის შემძრავს ვით ტყვიის წივილს

цу Делан 1аьршашна тхол гергахь кхоьллина
цу Делан лаамна тхол гергахь даьхна
ирс долуш дара-кхы хьо самаьрпа кхоьллинарг

кхоьллича дуьйна схьа г1азотехь даьхнаргхьо дезна
дацара=кх лаьхьанал башха хьайн
1индаг1а хиларна и лаьттахь текхаш
1аьршашкахь хьовза хьо шуьйра т1ам баржабай
хьайх хьоьгуш дуьсучу тхан къина декаш

хьовза хьо кхарста хьо херцаршна т1ехула
дохк санна сингаттам лаьттачу махкахь
саг1ин гуо хьовзабеш кху махка т1ехула
тийначу до1анехь меллаша тахка

стигла а латта а мостаг1ех сийсачу
кху махках г1айг1анаш баланаш хьерча
есачу шахьаршкахь чанг1алкхех ц1ийзачу
мехаша лоькху тхан дохийна кхерчаш

шайх къобал саг1а деш Делан дош толийта
сийх шек ца довлийта ламанийн баххьаш
кху махкахь иманан серло ца кхолийта
г1азотехь эгначийн и нуьре яххьаш

уьйш дуьхьалтуьйсу-кха хьо стиглахь хьевзича
осаллех са парг1атдоккху-кх хьан озо
сирла мохь тоьхна ахь тхан дегнаш кхевсича
харцадеш массо а харцонан доза

ког акха т1ам акха са акха даьлла дерг
адам я олхазар экха я дийнат
де эшна нийсачу некъах шекваьлла верг
1ожалла я маршуо къасточу дийнахь

შორიდან ვცნობდი ვით შემოძახილს ზეშთაგონებას
ყველაზე ახლოს ხარ მოვლენილი ღვთის საუფლოსთან
ყველაზე ახლოს დამკვიდრებულხარ უფლის ნებასთან
თავისუფლების სიმბოლოდ ქმნილო დასაბამიდან
ჰაზავათისთვის მოწოდებულო დაბადებიდან

ვითარცა გველი გძულდა კი თავად შენი აჩრდილიც
რადგანაც დაბლა დახოხავდა მიწას გართხმული
ზეცის ტატნობზე აფრინდი აჰა ფრთებგადაშლილი
გალობდე ჩვენთვის რომ შემოგნატრით სულგანაბულნი

ნანგრევებს თავზე გადაუფრინე გაინავარდე
იმ ქვეყნის თავზე ხევდა რომ ბურავს რუხი ნისლივით
და რიტუალიც თავზე შემოვლის ცად აღასრულე
ჩუმ ვედრებაში ირწეოდე მშვიდი ლივლივით

ეს ცაც და მიწაც სისხლით მორწყული მტრის ფეხქვეშ
ბორგავს
ქვეყანას წელი მოსწყვეტია ტანჯვა-ტკივილით
დაქცეულ კერებს მოზარე ქარი თავზე დაგმინავს
და ქალაქები დაზაფრულან ტურის ჩხავილით

აქ უფლის სიტყვის ზეობისთვის სწირავენ თავებს
მთათა მწვერვალებს განუმტკიცეს მარად ღირსება
ქვეყნად რწმენის და სიმართლის შუქი რომ აღარ ჩაქრეს
მტარვალს შეაკვდნენ და დაიმკვიდრეს სხივმოსილება

თითქოს მათ ვხედავ ცის კამარაზე როს იწყებ ლივლივს
როს წკრიალა ხმით შემომძახებ ლაღი გალობით
დავრდომილს ის ხმა სულის სიმშვიდეს მიბრუნებს მიწყივ
მით არღვევ ქვეყნად ყველა საზღვარს უსამართლობის

შენ ფეხველურო შენ ფრთაველურო შენ სულველურო
ძე ხარ ადამის ხარ ფრთოსანი მხეცი ნადირი
ღონემიხდილო თუმც სიმართლისთვის შეუდრეკელო

гIаттавеш къийсамехь мел воьжнарг хьахавеш
маршуонан туркх хилий Iаьршашка дала
доллучу дуьненна тIера шех сагIа деш
дуьнене Нохчийчоь йогуш ю ала

2000

დღეს ირჩევ ერთ გზას თავისუფლება ანდა სიკვდილი
შენ აღადგინე ბრძოლის ველზე ყველა ვაჟკაცი
თავისუფლების წინამძღოლად ამაღლდი ზეცად
მაცნედ იმისა რომ იჩქერია ცეცხლის ალშია
რომ ეს ქვეყანა ეწირება სამართალს მსხვერპლად

## БЕРАЛЛАШ

кхузза шен баралла гина стаг дуккха а веха
олура вайн дененас

вайн дена шен баралла шозза бен ца гинера

цкъа гинера цунна иза

ша тӀамтӀе дӀавоьдуш
цӀерпошта тӀера юхахьаьжча
ламаройн эвлара дуьйна охьа а деъна
шена тӀехьахьоьжуш лаьтташ

шозлагӀа гинера цунна иза
салташа тӀе тоьпаш а лаьцна
ша маххах ваккха дӀавуьгуш
юхахьажча
кхин схьада а ца даьхьаш
эвлайистехь лаьтташ

цул тӀаьхьа
цхьана буса
акхачу кхокхарчашца лечкъина Ӏаьчохь
иза НКВД-н салташа дийна хиллера
бӀов эккха а экххийтина

кхозлагӀа
Сибрехара цӀа дирзича
шен эвла ваха-ван шена бакъо ца елча
доьзал аренца а битина

# ბავშვობანი

თავის ბავშვობას ვინც სამჯერ ნახავს ის დიდხანს
ცოცხლობს
იტყოდა ხოლმე ბებიაჩემი

მამაჩემს მხოლოდ ორჯერ ეხილა ყრმობა თავისი

ერთხელ ენახა ომისკენ გზაზედ
მატარებლიდან რომ მოიხედა
მთის აულიდან ჩამოსული რომ იდგა გზაზედ
და სევდიანად გასცქეროდა ომში მიმავალს

მეორედ ნახა როცა რუს „სალდათებს"
მიჰყავდათ შორით მტრად შერაცხული
თოფებდაღერილ ზურგის მიღმა დალანდა ყრმობა
უკან გახედა
ნახა შემკრთალი რომ ვერ მოსდევდა
სოფლის პირს მდგარი

და თურმე შემდეგ
ერთ წკვარამ ღამეს
ციხე-კოშკების აფეთქებისას
ჩეკისტთ მოეკლათ მწირი ლტოლვილი
გზად შეხიზნული ველურ მტრედებთან

მესამედ როცა
ციმბირიდან შინ მობრუნებულს
არ დართეს ნება მშობლიური მთების ხილვისა
წვრილშვილი დასხა ტრიალ მინდორში
ჩუმად ეახლა მშობელ კუთხეს ლოდინად ქცეულს
განშორებისას ეძებდა ყრმობას მაგრამ ვერ ნახა
არ აცილებდა მას გზაზედ დამდგარს

винчу метте б1аьрг тоха а веъна
д1авоьдуш
юхахъаьжча
цунна шен баралла ца гинера

т1аккха хиънера цунна
х1ара дуьне ишта ч1ог1а ца дезча а
х1умма а доцийла

со жима волуш вайн дех ца кхетара
х1инца суо кхеташ санна хета суна
цуьнан хеназа еънчу 1ожаллех а

*P.S.*
суна сайн баралла цкъа бен ца гина

со т1ам т1е д1авоьдуш
юхахъаьжча
иза ковйистехь лаьттара
кхин схьада а ца даьхьаш

бомбанаш оьгура массо а урамашкахь

цул т1аьхьа
акхадевллачу верашца
иза лечкъина 1ачу тоьлана т1е
цхьана майрачу пилото бомба кхоьссина хиллера

вайн к1антана шен баралла цкъа а ца гина

иза бераллера д1авахна т1амт1е

1999

მაშინ კი მიხვდა
რომ საწუთროს ღრმა სიყვარული
არაფრად ღირდა

პატარა ვიყავ და არ მესმოდა მე მაშინ მამის
ახლა კი ჩავწვდი იდუმალებას
მასთან უდროოდ და სამუდამოდ მოსული ჟამის

*P.S.*

ჩემი ბავშვობა ერთადერთხელ მინახავს მხოლოდ

ომში მიმავალს მაცილებდა
მოვკარი თვალი
შიშს აყოლილი და დამფრთხალი
ჭიშკართან იდგა არ მედგა კვალში

იბომბებოდა ქვეყანა და გვრგვინავდა მიწა

და შემდეგ თურმე
სადაც იგი იმალებოდა
შეყუჟული ერთ ბნელ მიწურში ველურ ვირებთან
რუს „მამაც“ პილოტს იმ ქოხმახისთვის ბომბი ეტყორცნა

ჩემი ვაჟი კი ჯერ არ შეყრია თავის ბავშვობას

ის ბავშვობიდან წავიდა ომში

* * *

цӀа даьгна висинарг кхетар ву цӀийнах
ша дийна висарх и кхеттачу дийнахь
мохк тесна дӀавахнарг воьрзур ву цӀехьа
нохчочун кхоллам бу ДегӀаста - эхарт

рицкъанах хаьддаверг рицкъанах Ӏабош
дех-ненах хаьддаверг ирс леха Ӏамош
баланех сийсина дегнаш дӀатедеш
хан-зама йогӀур ю дерриг а эдеш

амма вайн гӀазотехь эгначийн яххьаш
йиц ца луш лаьттар ду ламанийн баххьаш

1995

* * *

სახლდამწვარს ალბათ ეღირსება ერთხელ სახლ-კარი
როცა ჩახვდება სიცოცხლის მიზანს სიკვდილს დამსხლტარი
დაუბრუნდება მშობელ მიწას ერთხელ მომწყდარიც
ვაინახს წერად სამშობლო აქვს ან მიღმის კარი

სარჩო დალეულს ექნება ოდეს ბარაქა ხვავი
ობოლს უთუოდ ეწვევა ბოლოს ბედი იღბალი
ტანჯულთაც ალბათ გაუბრწყინდებათ ბედის ვარსკვლავი
დრო მოვა ერთად აღრევს ყოველს ჟამი მაშვრალი

მხოლოდ მწვერვალებს გაანათებთ მუდამ ღირსებით
ამაყი ღიმი მათთვის შეწირულ ძე დევგმირების

## УЬЙТIАРЧУ БIАРЕ

ден кIайчу куьйгашна тIаьхь
го суна хьан хьовха орамаш
суо а го дененан геахь
дахарехь мел хилла къорамаш
бицлой, сан са малхадолу
тийначу бераллин кертахь
со хьоьца тIекараволу
дуьненах, сайх кхета гIерташ

хIетахь хьо дIадоьгIначо
цу дийнахь со а дIавоьгIнехь
хила мел ца доьгIначо
ца дойуш хила мел доьгIнарг
ден куьйга даьккхина ор бен
кхерч боцуш тхов боцуш цхьа а
нанас чиркх латабо кор бен
бIаьрга ган ирс доцуш цхьа а
мехашца доIанаш деш
малхана йочанна тешаме
стоьмашца хастамаш беш
Везачу Далла суо эшарна
со лаьтташ хир вар-кха беркате
тевжина бераллин керта тIе

ден кIайчу куьйгашна тIехь
го суна хьан хьовха орамаш
суо го дененан гехь

1994

# ᲔᲖᲝᲨᲘ ᲙᲐᲙᲘᲡᲮᲔᲡ

მამის თეთრ ხელებზე
ვხედავ შენს ნორჩ ფესვებს
თავს ვხედავ ბებიას ზურგზე
ვივიწყებ გამოვლილს
სულის აღმაფრენით
ვბრუნდები ბავშვობის ბაღში
მსურს გესაუბრო ჩავწვდე
საკუთარ სულის არსში

იმ დღეს შენს მაგიერ
მე რომ ჩავერგე
დაუწერელი თუ შეცვლიდა
არსებულ წერას
უკერო უჭერო
არმქონე სხვა შუქის
დედის ერთი სარკმლის გარდა
დარს ავდარს მინდობილ
ქარებთან ლოცვაში
ნაყოფის ქებაში
ღვთის დიდებაში
ბავშვობის ბაღში
თუ ვიდგებოდი ბარაქის მცველად

მამის თეთრ ხელებზე
ვხედავ შენს ნორჩ ფესვებს
თავს ვხედავ ბებიას ზურგზე

## НАНА

шарбан кошан барз ца ийши
ларбан къора некъ ца ийши
Нана Нана г1айг1анаша
хьан дог-ойла къиза 1ийши

малхал сирла баттал къоьжа
Деле кхойкху екъа коьжалг
Нана Нана д1асабаьржи
ахь сел хала кхаьбна доьзал

хьан саг1а сан хехо хили
хьан до1а сан дарба хили
Нана Нана кху дуьненахь
хьан сингаттам сох ца тили

гена валарх герга варах
хьан тхов к1елахь эрна арахь
Нана Нана хьан б1аьрхиша
со ларви-кха эрна варах

некъаш иедеш эрна леларх
декхарш иедеш эрна веларх
Нана Нана нагахь нислахь
сан валар ахь къобалделахь

1уьйре йоло некъаш дац сан
суьйре теян х1усам яц сан
Нана Нана хьо къинт1ера
яллалц вижа лахьта дац сан

1994

# ნაანა

არ მოგკლებია საფლავთ ფერება
მიყურადება ყრუ გზის ეულის
ო ნაანა ნაანა რა უმოწყალოდ
მოგისპო დარდმა გული სხეული

ფიქალ მთვარეზე თეთრი ჭადარა
ღმერთს ევედრება კავივით ხმელი
ო ნაანა ნაანა მიმოგიფანტეს
შვილნი ნაზარდნი ტანჯვით უთქმელით

შენი სიკეთე შენი ლოცვები
მცველად მიდგანან დაჭრილს მკურნავენ
ო ნაანა ნაანა მაგრამ ვერ აგცდი
ჩემს გამო შენს დარდს ყველგან რომ დამდევს

შორს გადაკარგულს თუ აქ ახლოს მყოფს
შენს ძველ ჭერქვეშ თუ უცხო სხვა მხარეს
ო ნაანა ნაანა შენი ცრემლები
მე დაკარგვისგან დამიფარავენ

ყველა გზადახშულს მოხეტიალეს
ამ წუთისოფლის ვალებით დაღლილს
ო ნაანა ნაანა შენ მომიტევე
თუკი მიხილავ სიკვდილს გადაყრილს

დილა დავიწყო გზა არ მშთენია
არც ბინა მომრჩა სათევად ღამის
ო ნაანა ნაანა თუ არ შემინდობ
ვერ ვპოვებ საფლავს სარეცელს ჟამის

## БЕРАЛЛЕ

ков тоьхна веа со,хан йоцчу хенахь хьо г1аттош
мохь тоьхна веа со,хьан шерийн тийналла 1адош
утармех д1атесна 1аспар сайн къена сиигаттам
хьан уьйт1а вели со йохалла 1ожалла хадош

гой хьуна къу ву-кх со х1ара ду-кх ас дина къола
айкхалла диллина ахь лехнарг х1ара ду-кх хьуна
къена къанваллалца дуьненах эхартах волуш
къера къарваллалца ицийнарг х1ара ду-кх хьуна

гой хьуна сан б1аьргаш уьш эхьан мархано баьхна
гой хьуна сан куьйгаш до1анаш диццелла царна
хьох ваьлчахьана со лаьхьанал лурвоьлла ваьхна
сибат а дайна сан сийлахьчу некъашна варна.

ца ваьлла ког боккхуш боьшана хьозано санна
ца ваьлла дош олуш со къаьхьа замане хьийжи
ца ваьлла вижича дуьне гуш маьлха-каш санна
халбатахь обарган б1аьрхишца санна со тийжи

берд текхна хьехачохь аьзнашка ладоьг1уш санна
генара ларйи ас х1ора а дуьненан 1уьйре
набахтен наь1арехь серлонна сакх тутмакх санна
экама хьийжи со х1ора а адамийн уьйре

тоьшалла гулйина сайн денойн буьйсанийн тоба
айкх йина мук1арло ца деза сайн деган аьрго
хьан кхеле деа ас эзарза дохийна тоба
хьан кхеле еа сайх эзарза кхаьрдина м1аьрго

# ბავშვობას

მოვადექ ჭიშკარს უდროოდ ღამით დაგიფრთხე ძილი
და დაგირღვიე სიჩუმე წლების ჩუმი ძახილით
ბოძზე დავაბი ჯაგლაგი ჩემი ძველი ტკივილი
ვდგავარ ეზოში ჩანს დავარღვიე ჟამი სიკვდილის

ხედავ ქურდი ვარ ეს ვარ აჰა ჩემი ნადავლით
დაუღალავად რომ მეძებდი წლების გადავლით
რაც სიბერემდე ვეთამაშე სიცოცხლეს სიკვდილს
აჰა ეს გახლავს მცნობ განა სიყმე და სასო მიხდილს

ხედავ ამ თვალთა შენს თვალთ შუქზე რიდით დადრეკას
შეხე ამ ხელებს მათ დაივიწყეს ლოცვა-ვედრება
რაც გაგეყარე გველივით მწყრალმა განვვლე ცხოვრება
სულ-ხორცი ვუძღვენ მართალი გზების ძებნა ფერებას

ვით ბაღის ჩიტი არ ვგოგმანებდი შვების მწყურვალე
გაშლეგებული ვეჭიდებოდი დროებას მარადს
სიზმრადაც ვჭვრეტდი საწუთროს ვითარც მზიურ საძვალეს[1]
ჭიუხთ სდიოდათ დროულ აბრაგის ცრემლები ღვარად

ღამით ვუსმენდი კლდის ფერდის კვნესას ეხში ჩაშლილის
გზად ვდარაჯობდი ამ წუთისოფლის ყოველ განთიადს
ვითარც ტუსაღი ციხის კართან შუქით შეშლილი
ველტვოდი ხალხს და ნდობით ვუმხელდი გულის ხვაშიადს

1. მთიან ჩეჩნეთში არსებული აკლდამები ვაინახურ ენაზე „მზიურ საძვალეებად“ ან „მზიურ საფლავებად“ იწოდებიან.

сатуьйсуш ехи хьо сатуьйсуш цкъа мацахлера
х1ораза маликаш лаьтта т1е дуьссучу хенахь
б1аьрхишка ерзийна ойланаш цкъа мацахлера
до1ане дерзийна цкъа мацахлера вайн г1енаш

гой хьуна къу ву-кх со хан йоцуш-м ду х1ара х1инца
Дела бен теш воцуш-м ю х1ара вайн шира тховса
цкъа мацахлерачу вайн ирсах диссина цинцаш
хьан синтем хьан тешам ас юхаберзабо тховса

1994

მიწყივ ველოდი ციდან მოვლენას ანგელოზების
ამაო ლოდინს არ უსწავლია ტკივილთ ყვედრება
გამშრალ ცრემლებში თუ დამლევია გზა ძველ ფიქრების
შენი და ჩემი თოთო სიზმრები დამრჩა ვედრებად

არ მსურს აღმომხდეს ძალით დასმენით აღიარება
მოწმედ ვიგროვებ გარდასულ დღეებს ღამეთა წყებას
შენს სამსჯავროს ვდებ ათასგზის შეცვლილ ამ აღსარებას
გამისამართლე მით შერცხვენილი მწირი ცხოვრება

ქურდი ვარ ხედავ ქურდი მოსურნე გვიანი ღამის
მოწმედ გვყავს მხოლოდ მაღლა უფალი ძირს ეზო-ქავი
ამ ჭერქვეშ ვპოვებ ნამცეცთ გარდასულ ბედნიერ ჟამის
ჯიბრუნებ სულის სიმშვიდეს და ნდობას ჩემდამი

* * *

тийналлехь хаддаза хан юу оьпано=сахьто
боданехь хаддаза меттахъхьоь хьох йолу ойла
цӀа хила ца тарлахь хила ма мегара лахьта
цкъа цхьана мӀаьргонна хьо цхьана тхов кӀелахь гойла

тӀиехьара тӀейогӀий гӀайгӀано къовлу сан бӀаьргаш
куьйгех сан куьйгашна евза и хьох юйла хууш
мотт хила ца тарлахь хила ма мегара хьаьркаш
цкъа цхьана мӀаьргонна вай вовшех кхетадан хуурш

кор ду кӀайн олхазар лаьцнадерг Ӏаьржачу гуро
йиийсарлахь цуо юург гӀайгӀа ю сан дагчохь ӀаьӀна
ирс хила ца тарлахь хила ма мегара урам
хила ма дезара хьо цхьанхьа хиларан маьӀна

1993

* * *

განუწყვეტლივ ხრავს საათი-თრია დროს და სიჩუმეს
წყვდიადში მიღრღნის შენზე ფიქრებს, გულში მიქუჩებს
განა თუ ბინა ყოფილიყო თუნდაც სამარე
ერთ ჭერქვეშ ხილვით თუნდაც წამით თუ გამახარებ

წამოპარული სევდა თვალებზე ხელს ამაფარებს
ჩემი არსება წამს შეიმეცნებს შენს ხელს ნაფერებს
განა თუ სიტყვა ყოფილიყო გინდ ერთი ბგერა
სულ ერთი წამით რომ შესძლებოდა მას ჩვენი შეყრა

მქრქალი სარკმელი ტყვე შავ გისოსთა, ჩიტია თეთრი
გულის თასიდან სევდას მიკენკავს დარდს ეახლება
განა თუ ბედი ყოფილიყო თუნდ ქუჩა ერთი
თუ არა ჩემთვის იქ სხვისთვის მაინც რომ გეარსება

* * *

дашочу даточу г1аланийн меха
телефон х1усам ю со хьоьца веха

дика ду-кх не1 йоцуш къаьсташ т1екъовла
дика ду-кх тхов боцуш я пенойн къовларш
дика ду-кх хьо йолуш дуьненахь цхьанхьа
сан шераш дуучу лазамал цхьалха

сан вист цахиларан йилбаз-мохь санна
сан каш цахиларан ушаг1а санна
дика ду-кх хьо йолуш иштта д1а цхьанхьа
ас хьайх мел кхуллучу ойланел цхьалха

дика ду-кх дош доцуш даздина лело
дика ду-кх гар доцуш къастаран г1ело
довзаран харцлеро вай 1ехор доцуш
дуьненан тептарш т1ехь вай хьехор доцуш

серлонан боданан доза ду аьлла
дика ду-кх цхьалла вайн мах бина яьлла

1993

* * *

ვერცხლის და ოქროს ქარვასლისა თუ კოშკის სადარი
შენთან მაცხოვრებს ტელეფონია ჩვენი სახლ-კარი

რარიგ კარგია კარი არა აქვს გაგვყაროს ძალით
არც სახურავი რომ გვამყოფოს ერთჭერქვეშ კრძალვით
რარიგ კარგია სადღაც არსებობ ამ ქვეყანაზე
და მარტო რომ ხარ ამ ჩემი წლების შემმუსვრელ დარდზე

ვით ექო ჩემი დუმილის თარზე
ქვა არარსებულ საფლავის თავზე
რარიგ კარგია არსებობ სადმე
და მარტო რომ ხარ შენს გამო დარდზე

რა კარგია რომ არა ხარ სიტყვა გწერო გატარო
შემთხვევა ხვალ მცდარ ილუზიებით ჩვენ არ გაგვაცნობს
რარიგ კარგია არ შევიყრებით გაყრამ დაგვტანჯოს
ამქვეყნიურ წიგნს ჩვენზე თხრობა რომ არ განავრცობს

ჩვენ შორის ვსინჯეთ სინათლის და წყვდიადის ზღვარი
რა კარგია რომ თვით სიმარტოვემ დაგვწერა ჯვარი

* * *

куьзганийн пардонех пенойх чекхбуьйлучу
бодано яхьайо хьох йолу ойланаш
ас хьоьга хьежарехь хенах шекхвуьйлучу
йиццйина валаран висаран г1овланаш

цкъачунна серлонехь ву со хьоь хьежаран
букъ тоьхна велахь а боданан тарханах
цкъачунна йийсарехь ву со хьан къежаран
не1аран дозанехь сирлачу марханах

со х1инца тера ву дозанан б1ог1амах
бодана серлонан юкъ йоькъуш боьг1начу
со х1инца тера ву борзанан дог1анах
дуьненан эхартан не1 къовлуш тоьхначу

чуоьхурш д1аоьхурш хьеший бу генара
ткъа со ву кху шина не1аран йийсархо
хан а ю хьан къайлаяларан хенара
ирс а ду хьан гучуяларан нийсархо

цкъачунна серлонехь ву со хьоь хьежаранран
букъ1аьржа велахь а боданах товжарна
цкъачунна йийсарехь ву со хьо эшаран
юьхь 1аьржа велахь а хьан ц1е ца йовзарна

чувог1ург чувог1у бодано 1аржвина
д1авоьдург д1авоьду серлонах воьттина
хьан не1 а ца йолу хьох долу арз дина
сан не1 а некъашка ладег1а х1оьттина

1993

* * *

სარკმლის თხელი გარსის და კედელთ გამპობი
წყვდიადი მიციებს ჩუმ ფიქრთა იდუმალს
დრო შენკენ ცქერისას ეჭვებით შემპყრობი
მავიწყებს სიცოცხლის სიკვდილთან სასთუმალს

ჯერ მმოსავს სინათლე შენკენ ჩუმ მზერისა
თუმცა ზურგს ვაყუდებ წყვდიადის შავ ქარაფს
ჯერ კიდევ ტყვედ ვყავარ უცდომელ შენს მზერას
კარების ზღვარ-ზღურბლზე სხივმოსილ ერთ ალაგს

დღეს ვგავარ მცირე ბოძს გაღეღილ საზღვრების
შუქსა და ბინდს შორის რომ აჩენს გასაყარს
მოვგავარ საწუთროს და მიღმურ კარების
ჩამკეტავ მგლის[1] კლიტეს გრძნეულს და ჯადოქარს

და მიდი-მოდიან სტუმრები შორიდან
ვრჩები ორ კარს შუა უმწეო მძევალი
დრო შენი მიფარვით მეთვლება ახლიდან
ნახვის ხნის მექნება ბედი და იღბალი

ჯერ მმოსავს სინათლე შენკენ ჩუმ მზერისა
თუმც ზურგზე თალხს მიფევს წყვდიადი შავ-ბნელი
ჯერაც ტყვედა მხდის სურვილი ცქერისა
თუმც მარცხვენს არცოდნა მე შენი სახელის

აქეთკენ მომავალს წკვარამი მოჰყვება
მიმავალს ადგება სინათლის გვირგვინი
შენი ბჭე არ აჩენს შენს ლამაზ ხატებას
ჩემი კი ილევა შენი ცდა-ლოდინით

1. ვაინახურ რწმენა-წარმოდგენებში მგელი მაგიური ცხოველია, რომლის ორგანოებსაც( მაგ. კუდი) ადამიანთან შეხების შემთხვევაში მისი მოჯადოების უნარი გააჩნიათ.

## PAГIУ

дирзина мехашна агIор
дерзина лаьтта цхьа рагIу
суна мел безначу нехан
аьзнаш шен тхов кIелахь дехаш

дIадовлий дIадоьлху мехаш
схьадовлий схьадогIу мехаш
кегаеш бIаьрлагIаш нехаш
дагарадийцарехь дехаш

дирзина заманна агIор
чекх са гуш лаьтташ ду рагIу
суна мел безначу нехан
цIераш шен тхов кIелахь ехаш

дIайолий дIайоьду зама
схьайолий схьайогIу зама
кегаеш уппагIаш амалш
къегадеш Iожаллин гIама

ткъа рагIу-м лаьтташ ду рагIу
мехашна заманна агIор
суна мел безначу нехан
доIанаш тхов кIелахь дехаш

тIебогIуш некъ а бац цхьа а
тIекъовлуш неI а яц цхьа а
хIусам яц хьаша ца кхойкху
маьждиг дац молла ца кхойкху

# ჩარდახი

ქარებს მხარს უქცევს ზურგით დგას
გულგადღეღილი ჩარდახი
ვინც რომ მე მიყვარს იმ ყველას
ბგერებს თვის წიაღს ჩასძახის

ქარი ქრის ურევს ნაგავს მტვერს
ქარი ქრის აბნევს აჩრდილებს
არ ცნობს არც მოყვასს არცა მტერს
არ ამხელს წადილს სურვილებს

დრო-ჟამს მხარს უქცევს ზურგით დგას
ტანით ცალმაგი ჩარდახი
ვინც რომ მე მიყვარს იმ ყველას
სახელთ თვის წიაღს ჩასძახის

დგება და მიდის დრო-ჟამი
აღმდგარი მოდის დრო-ჟამი
მიდის საფლავებს ამრავლებს
მოდის სიცოცხლეს აზარებს

ჩარდახი კი დგას თავისთვის
მხარს უქცევს დრო-ჟამს და ქარებს
ვინც რომ მე მიყვარს ყველაზე
ლოცვას თვის ჭერქვეშ აღავლენს

არ უჩანს არც გზა არც კვალი
არ ეკეტება არც კარი
მეჩეთს არა ჰგავს იმამით
არც კერიის ჩანს სტუმარი

ткъа рагlу-м лаьттап ду рагlу
чекх са гуш массо а аlор
суна мел безначу нехан
аьзнаш шен тхов кlелахь дехаш

ишта ю со вина петар
со ваьхна со вайна четар
со суо а цуьнан цхьа аз ду
цхьа чов цхьа гlайгlане арз ду

1993

თავისთვის ყრუდ დგას ჩარდახი
შუქს ცალმაგ ტანში აყოლებს
ვინც მე მიყვარდა მათ სულებს
კვლავ თავის ჭერქვეშ აცხოვრებს

სად ვიშვი არის ეს კერა
ეს ჩემი ბრმა ბედისწერა
მე კი ვარ მისი ხმა-ბგერა
იარა სევდის წარწერა

# НОХЧИЙЧОЬ

беттаса схьакхийти эзар шо хьалха
кхеташ ма-хиллара г1айг1ане цхьалха
адамаш чудирзи эзар шо хьалха
дерзаш ма-хиллара даха я кхалха
Нохчичоь латта хьо серлонан х1ордах
эзар шо дальча а яха ца к1ордош

мостаг1а вог1ур ву дуьсур ду диерташ
дуьсур ду хьан лекха ойлане биердаш
хьаша-да вог1ур ву юьсур ю марзо
и марзо елхайо хьан ломахь барзо
г1елашна г1ерг1ачу курачу сайно
ц1е йоцчу коша т1ехь дальлачу стайно
и марзо елхош ду сан х1ора дош а
хьан дато некъаш а момсарийн бос а
Нохчийчоь латта хьо серлонан х1ордах
эзар шо дальча а яха ца к1ордош

со кхуззахь вина ву тийналлин к1оргехь
хьан сина тийжачу кхокханан к1орни
пен боцчу х1усамехь тхов боцчу кхерчахь
да воцуш кхиъна со хьан ц1арах хьерчаш
хьан б1аьвнийн херцаршлахь бецан хал санна
хьан серло тергалъян ма дезна сан а
хьан стиглахь аьрзунан мохь санна шийла
со а д1авовр ву цкъа тийналлех ийна
Нохчийчоь латта хьо серлонан х1ордах
эзар шо дальча а яха ца к1ордош

# ჩეჩნეთი

ამოხდა მთვარე ათასი წლის წინათ
ამოხდა ნიადაგ ფერმკთალი ეული
შინ მიდის ხალხიც ათასი წლის წინათ
ცხოვრობს ან კვდება თვის ყოფას ჩვეული
ჩეჩნეთო იარე სინათლის ზღვაზე
ცხოვრება არ გილიდეს ათას წლის თავზეც

მოგივა მტერი და დაგრჩება ზიანი
დაგრჩება სალი კლდე ვარამ-ჯავრიანი
მოგივა სტუმარი სითბოთი დიადით
იმ სითბოს დაეძებს მგელი მთის კლდიანის
ფურ-ირმებს მყვირალი ირემი ზვიადი
უცნობის საფლავზე შინდის ხეც ხნიანი
იმ სიტკბოს მისტირის ეს სიტყვა ფრთიანი
მინარეთს მომგვანი ბილიკნი ქვიანნი
ჩეჩნეთო იარე სინათლის ზღვაზე
ცხოვრება არ გილიდეს ათას წლის თავზეც

აქა ვარ ნაშობი სიმშვიდის წიაღში
ხუნდი ვარ მთის მტრედის ცრემლებად დაღვრილის
ფარღალალ კერაზე ბედის მწირ ტრიალში
შენს სახელს ვუხმობდი უმამოდ გაზრდილი
ლერწი ვარ შენს კოშკთა ნანგრევებს მოსული
შენთვის შუქს დავეძებ ვალად მაქვს გაზდილი
ვით ცაზე არწივის გამჭოლი ძახილი
წავალ მეც ოდესმე სიმშვიდეს შერწყმული
ჩეჩნეთო იარე სინათლის ზღვაზე
ცხოვრება არ გილიდეს ათას წლის თავზეც

ჩვენ წავალთ დარჩება სიტყვანი ნატიფნი
დარჩება საფლავნი ლამაზნი ფაქიზნი

тхо девлла д1аг1ур ду дуьсур ду дешнаш
дуьсур ду хьан хаза хьан оьзда кешнаш
буц йолу буц юьжу ойлане баьрзнаш
вог1учун воьдучун до1анийн аьзнаш
хьан херцарш юьсур ю да воцуш велха
дуьсур ду хьан стиглахь аьрзунийн хелхарш
юьсур ю назманаш зикарийн шовкъаш
юьсур ю тхан дагалецамийн овкъарш
хьо йиса Нохчийчоь серлонан х1ордах
эзар шо даьлча а яха ца к1ордош

1993

ბალახის ამოსვლა დაწვენა ზღვა ფიქრნი
წამსვლელის მომსვლელის ლოცვის ხმა წადილნი
არ რჩებათ ნანგრევებს სატირლად დედანი
ცას დასწვავს არწივთა ირაო-ცეკვანი
დარჩება ნაზმები ლოცვები ნეტარი
მოგონებათა ნამწვი და ნაცარი
ჩეჩნეთო დამირჩი სინათლის ზღვაზე
ცხოვრება არ გღლიდეს ათას წლის თავზეც

# ЦАЕВЗАРГ

1.
со хьоьца 1аш вара
хьо чоьхьа елира
1адийна цецваьлла
ас хьоьга элира
- цаевзарг алахьа
со вевзий хьуна?
- ца хаьа хьуна?

жоп цхьалха далале
хан-зама елира
юха а со хьоьца
т1екара велира
- цаевзарг алахьа
со гиний хьуна?
- ца хаьа хьуна?

цу хенахь ша-шеха
не1 екъаелира
кхин х1усам хир йоцуш
тхов бекъабелира
со сайца висира
хьо хьайца йисира
мел долу хаттар сан
жоп доцуш дисира

вайн къастар х1ораза
иштта ма хуьлура

# უცნობი

1.
მე შენთან ვიჯექ
კარში გამოჩნდი
გამოგხედე და
გავშრი გავოცდი
– უცნობო ქალო
ნუთუ მიცნობდი
– არ გრძნობდი განა

პასუხს ვერ ჩავწვდი
დრო გაიწელა
ჩემმა ხმამ წყნარად
სივრცე გათელა
– ოდესმე სადმე
თუ გინახივარ
– არ იცი განა

იმ წამსვე კარი
თავად გაიღო
კერიის თავზე
ჭერი გაიპო
მე მარტოდ დავრჩი
შენ სადღაც გაქრი
კითხვის პასუხად
კითხვები მაცრის

ჩვენს გაყრას მუდამ
ერთი ზნე სჭირდა
სანამ არ ჩანდი
მე შენთან ვიყავ.
ჩნდებოდი მაშინ

хьо гучуяллалща
хьо соьца хуьлура
х1ораза хьуо оьщий
иштта д1айовра хьо
д1аяйча кхин а сов
сан дагна товра хьо

2.

со хьоьца волало хуьлу хьо т1ома
со хьуна велало хуьлу хьо гома
со соцу мал хуьлий тулг1енаш яржош
юьжу хьо сан дагалецамийн 1ома

лаьхьанан когийн лар д1аевлла хенаш
зингатан б1аьрга го хьан куьйгийн кенаш
со вуьсу секха дог г1евланга дуьллий
хаддаза тергалдан хьох долу г1енаш

со т1ома г1отту хьо т1улг хуьлу кочахь
со хьуна дарло хьо елало коча
хьан йистцахиларо синбердаш херцош
хьоьга ладоьг1ий сан са лере кхочу

берд байна тулг1енаш д1адаьлла дахар
чуьртана доладар хьоьга догдахар
хьо юьсу б1е эзар бехкаман долахь
есаллехь сан деган мохь хуьлий яха

хьуна т1екхевдича г1оьмаша лоцуш
хьуна букъ берзийча кхардамо лоцуш
дерриг а карийна дерриг а дайча
мук1ало ду-кх хьуна хьуна бен доцу

მიგყავდი ხილვადს
თვალთგან ფარულიც
გულს ედექ სხივად

2.

აგედევნები ფრინდები ცაში
გაგიღიმებ და შუბლს იკრავ წამში
მე მზედ ვიქცევი ტალღებს ვშლი მაღლით
შენ შემოცურდი ჩემს ფიქრთა ზღვაში

გველის ნაფეხურთ წარმხოცი წამით
ჭინჭველი გიჭვრეტს ხელებში ყამით
მე კი გულს ვიდებ სასთუმლის თავით
რომ შენზედ სიზმრებს ზვერავდეს ღამით

თუ ფრთებს შევისხამ ქვად მეკიდები
გიჯავრდები და ღიმილად დნები
ჩემს სმენას აღწევს დუმილი შენი
მინგრევ ქარაფებს სულის და ნების

ჩავლო ცხოვრებამ ტალღამ კლდის მხარე
შენი იმედიც მოჰგავს სამარეს
რჩები რომ გეზღოს ათას ცოდვისთვის
[illegible]ყარულ გულში ქარად მოზარეს

თუ გამოვიწევ ბორკილი მერჩის
თუ ზურგს შეგაქცევ დაცინვა მესმის
ვაღსარებ მხოლოდ შენს წინ და შენთვის
მით ვბოვებ ვკარგავ წარსულს და მერმისს

ვარ უსახლკარო დერვიში მწირი
მამულს მომწყდარი სხვათ ქვეყნის მზირი
შენი ხმა მიხმობს ძილშიც ღვიძილშიც
თქვი და ხარ ჩემი თუ ეშმას გზირი

цIа доцуш лелла со цIе йоцуш лелла
мохк боцуш лелла со некъ боцуш лелла
хьан озо вижавеш хьан озо гIаттош
хьо гIам ду йиша ю ца хууш лелла

3.
хьоьга ладегIар мохе цIа дехар
хьоьга ладегIар тIулге са дехар

хьо цхьаъ бен йоцуш ерг цкъа а ца хилларг
серлонна йоцуш ерг боданехь тилларг
бIе эзар цIе йолуш дуьненчу яьлларг
сан деган ца боьрзу мохь хилла яьлларг

хьо йиццьян гIертар куьйга хи шардар
хьо йиццьян гIертар кога гIан къардар

ден букъехь со воцуш хьо ненан кийрахь
къастийна дара те гергара хийра
азаллехь вайн синош кхуллучу хенахь
къастийна дара те самах я гIенах

хьоьга ладегIар хьо йиццьян гIертар
соьцанна гIур ду цкъа кешнийн керта.

4.
доIанна дехар
хьо оьшу суна
и дехар хьеха
хьо оьшу суна

3.
შენი ლოდინი ქარს რომ ბინა სთხოვო ის არის
შენი ლოდინი ქვას რომ სული სთხოვო ის არის

შენ ერთადერთო აროდეს ქმნილო
შუქ უხილავო ბინდს განნეული
ათას სახელით ქვეყნად მოსულო
გულზედ მოუხსნელ ტვირთად შთენილო

ცდა დაგივიწყო ხელით წყალი ნაყო ის არის
ცდა დაგივიწყო ფეხით ლანდი თელო ის არის

როს მე მამის ზურგს შენ დედის წიაღს
ვეკვროდით მაშინ გაგვყარეს ალბათ
დასაბამს როცა სულნი შეგვიქმნეს
მაშინ თუ გაგვყვეს ცხადად თუ სიზმრად

შენს ლოდინს და ცდას რომ დაგივიწყო
ჩანს სამარეშიც გულზედ დავიწყობ

4.
ლოცვისთვის ვედრებად
მჭირდები
ვედრება მასწავლო
მჭირდები

მომაკვდავს სუდარად
მჭირდები
სუდარას გამხვიო
მჭირდები

შენს სიტყვას ჩემს სიტყვას
იდუმალ წიგნებად
დასაბამს თუ სწერდნენ ჩვენდა განჩინებად

докъанна марчо
хьо оьшу суна
и марчо хьарчо
хьо оьшу суна

хьан дош а сан дош а
къайлаха жайнаш
азаллехь яздина дарий те вайна

доӀанна тешам
хьо оьшу суна
и тешам эша
хьо оьшу суна

чуьртана бала
хьо оьшу суна
и бала кхала
хьо оьшу суна

хьан дош а сан дош а
къайлаха жайнаш
эхартахь мукъна а гур дуй те вайна

1992 - 2009

სიზმრებს რომ მიგენდო
მჭირდები
ის ნდობა მიმრთელო
მჭირდები

სამარის ჩუმ სევდად
მჭირდები
ის სევდა რომ შესვა
მჭირდები

შენს სიტყვას ჩემს სიტყვას
იდუმალ წიგნებად
იმიერს თუ ვნახავთ ჩვენდა განჩინებად

* * *

сан вистцахилар лазийна экха
чов цӀубъеш тийна и сан деган хьехахь
сан вистцахилар беттасан экъа
хӀазарехь къуьйлу цо шен сирла дехар

сан вистцахилар ламанан тарха
тийна чуйужу и гӀовгӀанца яьржа
сан вистцахилар стиглара марха
тийначу боларца хьоьсту цо Ӏаьршаш

сан вистцахилар къевлина канаш
доӀанехь бе шаьш малха ца йовлуш
со иштта веха хьо гичахьана
хӀора а дош сайн лазамца къовлуш

1992

* * *

ჩემი დუმილი მზეცი დაჭრილი
გულის ქვაბულში რომ წოვს იარას
ჩემი დუმილი მთვარე ფიქალი
გვერგვით რომ ფარავს სზივთა მუდარას

ჩემი დუმილი კლდეა მთებისა
მიყუჩებული გასკდეს ზმაურით
ჩემი დუმილი ქულა ღრუბლისა
ცას მოარული მშვიდი აურით

ჩემი დუმილი ზელნი ნატყუპი
შუქს შეიცნობენ ლოცვის ჟამს მხოლოდ
ყოველი სიტყვა-სევდით ნაყუჩი
რაც რომ გიზილე მე ასე ვცხოვრობ

* * *

бакъдерг

со хилла
и лаха гlевттинчийн могlарехь
банарлахь хьаьрчина олхазар санна

сайга букъ берзийна иза дlадоьдуш
со цуьнга кхайкхина
кхелхинчу тхайн дега санна

нагтахь и юьхь-дуьхьал гича
со цуьнга хьежна ву
ша варах кхелхинчу шен нене цхьалха кlант санна

бакъдерг

со цуьнца дlихна
дуьненан къизачу некъашкахь
бlаьрзечу шен дедас куьг лаьцна дlадуьгу жима бер санна

1991

* * *

სიმართლე

ეს მე ვიდექი
მის საძიებლად აღმდგართა რიგში
როგორც მახეში გაბმული ჩიტი

ჩემგან მიმავალს ზურგშექცეულს
ისე მოვუხმე
ვით მამას ჩემსას უდროოდ წასულს

და თუ პირისპირ შევფეთებივარ
მე შემიხედავს მისთვის
ვით ახალშობილ ყრმას შეუხედავს მშობიარობას
გადაყოლილ ბედკრულ დედისთვის

სიმართლე

ეს მე მივდევდი
ამა სოფლის ჯალათურ გზებზე
ვით უსინათლო პაპას მისდევს ხელჩაკიდული
პატარა ბავშვი

## ВАША ВЕЛЛАЧУ ЙИШАС ЛЕКХНА ЙИШ

1уьйренаш елаеш
суьйренаш елаеш
ма хаза хуьлура
ахь дуьне деладеш

1уьйренаш йоьлуш яц
суьйренаш йоьлуш яц
хьуна б1аьрг белхийнарг
дуьненна йоьлуш яц

берд боцу хи ма ду
малх боцу тхи ма ду
хьох яьлла хьан йиша
бос боцу кхийра бу

г1айг1ано йижайо
балано г1аттайо
хьох яьгчахьана со
ойлано чехайо

хьох кошан барз хили
сох кошан чурт хили
гатьелла анайист
кешнийн керт ма хили

1990

# ძმამკვდარი დის სიმღერა

შენ აცინებდი დილას და
საღამოს ლხინად აქცევდი
რა დრო იყო და რა დარი
ქვეყანას როცა ალხენდი

აღარ იცინის არც დილა
არც მწუხრი იტევს ზღვა ღიმილს
ვინც ცხარე ცრემლად დაგექცა
ზურგი აქცია ლაღ სიცილს

ნამი ვარ სხივმონატრული
მდინარე – ნაპირთ გაყრილი
უშენოდ ქვეყნად შთენილი
ქვა ვარ გრძნობისგან დაცლილი

სევდა და დარდი მაძინებს
დღეს ვიწყებ შიშით ვიღლები
რომ იგრძნეს ვერ დაბრუნდები
ჯავრით მიტევენ ფიქრები

შენ მიწის ბორცვად იქეცი
მე ქვად გადგავარ სამარის
სასაფლაოზე ჩაგვექცა
ცა შეკუმშული კამარით

## ТЕШАМ БОЦЧУ К1АНТАНА ЙО1А ЛЕКХНА ЙИЦ

бохучарна баха хили
дуьйщучарна дийца хили
вайша вовшех даьлчахьана
кху дуьненахь са ца хили

бохучарна 1уьйре елла
дуьйщучарна суьйре елла
ма комаьрша хиллера хьо
суна х1оккхул бала белла

доккха дуьне хийист хеташ
доккха дакъа хьан дош хеташ
хьоь ладег1на йолчу йо1а
дити хьуна шена хетарш

1990

# ქალიშვილის სიმღერა ორმულ ჭაბუკზე

ვაჟაუ ჩვენს გაყრას მოუბნობს
ყველა მოამბე გულგრილი
ხოლო მეჭორეთ ახარებთ
ჩვენი გაყრა და წუხილი

დილით მჭორავნი აზვავდნენ
მოამბეთ მიმწუხრს მიმართეს
ვაჟაუ გულუხვიც ყოფილხარ
დარდს უშურველად მიმატებ

ვისაც ქვეყნის მზედ უჩანდი
სიტყვას გიქებდა ვაჟკაცურს
ის დღეს თავის მრწამს შეიცვლის
და გულს უწამლებს გაძარცვულს

* * *

хlора хьан шеконан мlаьрго
тийналлин хlора сиз огуш
сан деган дотlуна хуьлий
сан хьех чекхйолура йогуш

сан куьйгийн берзалойх кхехка
хьан куьйгийн экаме сайнаш
собаран серлонехь хебаш
тебара халла тем байна

леттера хlора а дош сан
гlайгlанан лекхачу бердах
хьан хьажар бодане lин гуш
меттаха ца дала гlерташ

серлонан шахтата санна
яра хьо мlаьргонех лаьтташ
я кошан чурт санна гlийла
яра хьо гlевлангахь лаьтташ

сан харцлер боданца дуза
цкъа къайлайолура йовш хьо
я лазам дера цlокъ дижош
са серладолура ловш хьо

дара хьан дагтlера гlаттар
тийналлин аз хаззал тийна
экаме хин лошагал а
lожаллин озал а шийла

дара хьан синметта йоссар
дlаьндарган цlогlанал зевза
яра хьо суначул башха
хьайн lиндагlна а ца евзаш

1990

* * *

შენი ეჭვების ყოველი სულთქმა
მიხრავს სიმშვიდის ყოველ ნათელ შტრიხს
გადაქცეული ამ გულის ხეთქვად
გამივლის თავში მიბუგავს იქ ტვინს

ჩემი ხელების სიშიშვლე ხრუკავს
შენს მისუსტებულ ჩვილ ხელის გულებს
მოთმინებისგან გათანგულები
ებარებიან სულგანაბულებს

მიეკრა ჩემი ყოველი სიტყვა
სევდამორეულ მაღალ კლდეს გულის
მიყუჩნდნენ შიშით არ ინძრევიან
მზერა სწვავთ შენი ბნელი უფსკრულის

ვით წამიერი ელვა სინათლის
ჩნდებოდი გულში სიშლეგის ზღვართან
ზოგჯერ სამარის ქვასავით უტყვი
მდუმარეს გჭვრეტდი სასთუმლის თავთან

ბოდვებით ვხრავდი წყვდიადის გამებს
როს ქრებოდი და მძლევდა ტკივილი
ამ მძვინვარე ვეფხვს ვუთევდი ღამეს
დილას ვატანდი ყრუ ძილ-ღვიძილით

გულისპირიდან შენი აღდგომა
იყო მდუმარე დუმილის წამზეც
წყლის ბუშტულებზეც თხელი და ნაზი
და ცივი თავად სიკვდილის ჩქამზეც

ზოლო დაშვება სულის საგებზე
ტყვიის წივილზეც იყო გამჭოლი
იყავ ისეთი ვერ გცნობდი ვერც მე
და ვეღარც ჩრდილი შენი გამყოლი

* * *

гlаргlули я тlома чагlалкх
шелонна я lожаллина

аз бен ца къаьста

1990

* * *

წეროჲ ანდა ფრთოჲსანი ტურა
სიცივე თრგუნავს ან წერა ღუბავს

ყურს კანტიკუნტი ზმებილა წვდება

## СЕНТЯБРЕХЬ ЛУО

лай кIелахь ченаш
цIе санна йовха
жималлин чемаш
ишта дIабов-кха

ткъа когаш-м бохбо
хIинца а цара
жималлин мохь го
сан деган арахь

гуьйре тIеяле
Iа деъна хилча
гIеметта вале
къанвелла хилча

жималлин чемаш
цIе санна бовха
лай кIелахь ченаш
ишта дIайов-кха

1990

# სექტემბრის თოვლი

თოვლქვეშ დევს მტვერი
ცეცხლივით მწველი
გაქრება მალე
ეს სიყრმე წრფელი

ის მტვერი ახლაც
გზად მითბობს ფეხებს
გული ღრმად ფარავს
ბავშვობის ფერებს

თუ ფოთოლთ ცვენას
ზამთარი უსწრებს
თვალს და ხელს შუა
სიბერე დაგვწრეტს

უღრუბლო სიყრმე
ცეცხლივით მწველი
გაქრება ისე
ვით თოვლქვეშ მტვერი

* * *

тхан х1усамехь ши сахьт ду
цхьамма
сан ненан ламазан хан гойту
вукхо
сан некъийн хан гойту
тхан х1усамехь кхоалг1а сахьт хилча
цуо гайта мегара
синтем

1989

* * *

ჩვენ სახლში გვაქვს ორი საათი
ერთი
ლოცვის ჟამს აუწყებს დედას
მეორე
აჩვენებს დროს ჩემი გზებისთვის
მესამე საათიც რომ გვქონდეს ოჯახში
მას იქნებ ეუწყა
სულის სიმშვიდე

* * *

хьаьъна ду седарчий
хьаьъна ю буьйса
хьаьъна ю тийналла
къузганал куьйса
бода бу сан вистцахиларал хьаьъна
м1аьргонаш канашкахь леххьаял хьаьъна
зама ю
карахь ца сацало маь1на

1989

* * *

დაწნდარან ვარსკვლავნი
დაწნდარა ღამე
დაწმენდილია სიწყნარე
სარკეზეც გლუვი
დაწნდა წყვდიადიც თვით ჩემს დუმილზეც მეტად
წამებს პეშვებით რომ აკრეფ
დროც კი ისე დაწნდა
თუმცა დრო არც დალექილი ჩერდება ხელში

## ВА ЙИША

ва йиша Махьшарехь санна
ду-кх х1ара вайн вовшахкхетар
хьуна сох къа хеташ санна
суна хьох х1инца эхь хета

сирла са харцахьа дохуш
шеконе ду-кха хьан кхолар
сан къинойн мохь эцна йог1уш
санна ду хьан г1ийла болар

ва йиша со вевзий хьуна
къарлуш бу 1индаг1ийн белхам
вовза ма вевзара суна
йилбаз-мохь йист-б1аьрга лелха

со дагавийлинчу цхьамма
херцийна лекхенаш гучохь
вала ирс ца хиллий сан-ма
махкана хьуна ца гучохь

са лоьхуш горгачу г1алахь
сатуьйсуш хан-зама нисьян
стаг воцуш орцаха вала
хьийзина сан ойла-миска

со х1инца цхьа жима бер ду
к1ентан к1ант ден деда хеттал
сан ойла лар лоьху эр ду
хьем боцуш ден дашах кхеттал

# ჰოი დაო

ჰოი დაო განკითხვის დღეზე
შეყრას ჰგავს შეხვედრა ჩვენი
შენ გებრალები ისევ
მე ისევ რიდი მაქვს შენი [1]

ნათელ სულს მძიმედ ითქვამ
ფიქრებს უვსიათ გული
თითქოს ჩემს ცოდვებს ზიდავ
ლასლასებ იმ ტვირთით კრული

ჰოი დაო მიცანი განა
დღეს როს ჩრდილსაც დასწყდა ცრემლი
ცნობით გცნობ ვერ გითხარ რადგან
ექო დამცინის მწყევლის

ვისიც აქამომდე მწამდა
თავზე ცა დამამხო გზახსნილს
სიკვდილიც კი წილად არ მხვდა
მამულს თუ შენგან გაყრილს

დროებას სულს სთხოვდა ქალაქს
დაძრწოდა ფრთებდაჭრილი ფიქრი
ელოდა მხსნელ-მაშველ ძალას
საწყალი წარსულის მკვიდრი

შენს წინ დღეს ვგავარ ბავშვს ან ყრმას
ან ბერს ვისიც არ ჩანს მხსნელი

1. ერთ-ერთ ვაინახურ თქმულებაში განკითხვის დღეს ძმის ცოდვები მხოლოდ დამ იტვირთა, როცა მას მშობლებმა და ძმებმა უარი უთხრეს.

дена я нанна вовззал
вевзинчийн мостаг1а хиллал
ас идабина синхьовзам
хиллера шайт1анан х1илла

шаьлтанан дитт санна,вешин
куьг лаьцна вог1учу новкъахь
ас даржадина син деши
ас яржайина син овкъарш

цундела кхойкхий со-м йиша
1ожаллел хьо герга хеташ
йиш яц сан лахьти чу вижа
дуьненчу валарх ца кхеташ

ницкъ лохьа дерриг а дицдан
цкъа Далла дуьхьала ерза
г1о дехьа цкъъа юха нисдан
къиношца харцийна терза

ва йиша Махьшарехь санна
ду-кх х1ара вайн вовшаххкхетар
хьуна сох къа хеташ санна
суна хьох х1инца эхь хета.

1989

ფიქრი ჩემი ჰგავს მწევარს
ავარას არა მყოლს მწვრთნელის

დღეს არ მცნობს დედ-მამა ჩემი
მცნობნი გარდმექცნენ მტრებად
შორით მოვლილი გზები
დღე მიჩანს სატანის რქებად

ხანჯლის წვერივით მჭრელი
ხელი მეჭირა ძმისა
გზად სულს დაელია მთელი
განძი თუ ნაცარი სვლისას

ჰოი დაო დღეს მიტომ გიხმობ
სიკვდილშიც შენ მყავხარ ახლოს
მსურს სანამ სამარე მიხმობს
გავწვდე სიცოცხლის ვიწრობს

შესთხოვე ჩვენს მფარველ უფალს
ყოვლის დავიწყება ჩემთვის
ცოდვებით დალეწილ ყაფანს[1]
სთხოვე დღეს შენდობა ჩემთვის

ჰოი დაო განკითხვის დღეზე
შეყრას ჰგავს შეხვედრა ჩვენი
შენ გებრალები ისევ
მე ისევ რიდი მაქვს შენი

1. იგულისხმება განკითხვის დღეს ცოდვების ასაწონი სასწორი

* * *

беттаса лекхачу буъйсанан кlоргенехь
lиндагlа дазделча меттах ца валлал
Цхьалхачу ойлано барт хаттар кlордийна
Са маьрша дуьту сан цкъа новкъа валлал

беллачу доттагlийн lиндагlаш доьлхуче
тоьллачу мостагlийн гlаларташ довче
цкъа а малх ца гина мlаьргонаш йоьлхуче
со кхача хьаьгна ву дашна дош товче

хийла сатийсинчу доккхачу дезарна
эххар а хlара некъ юьхьара лоцуш
сан-м велха хlун дара ша дита дезарна
хlаваэхь лам техка Нохчийчоь йоцург

сан-м дита хlун дара цхьа ненан пекъар бен
хlусам бен серлонийн гlонжагlахь лаьтта
хlора а сан гlалат даггара декъалден
цхьа чурт бен ден кошан гlрвлангахь лаьтта

ахь хlинца воьлху верг велхаве хьайн къина
хьевза верг хьовзаве дуьненан хазна
стиглара воьссина кошара кхайкхина
хьуна хlун бен яра dахагсан гlийла назма

суна хlун бен дара аганан гlохкарш а
тутмакхан гlоьмаш а вихкина латто
суна хlун хьем бара цlе йоцу мохк каш я
борзана чурт ца тов дакъаза латта

* * *

მთვარის შუქს აყოლილ ღამეს ბინდ გადაცლილს
სადაც ვერ ინძრევი სიმძიმით აჩრდილის
ეულ ფიქრთაგან დაკითხვით გადაღლილს
წვრილ ბილიკს მაყენებს ამ სულის წადილი

სად მიცვლილ მეგობრებს უტირით ჩრდილები
იქ სადაც ძლეულ მტერს უქრება აჩრდილნი
სად ცრემლებს აფრქვევენ მზის ნატვრით წამები
იქ მინდა მიღწევა სად სიტყვას სიტყვა სჭრის

ხშირად დიდ საქმეთა აღმასვლა მელოდა
გზის თავი და ბოლო მებარა ნაძღვნევი
სატირლად ეს ერთი ჩეჩნეთი მშთენოდა
უძირო ლაჟვარდში მწვერვალთა დამრწევი

მშთენოდა ბეჩავი დედაი მშობელი
და კერა სხივების თავმოყრის ადგილზე
მშთენოდა ჩემ ცოდვათ შენდობის მთხოვნელი
სამარის ქვა მამის სასთუმლის ნაპირზე

ახლა შენ ატირე საწუთროვ მიმყოლი
ატარე ყოველი ტანჯვით და წამებით
ცით მოვლენილი სამარის გამჭოლი
გიღირს კი რაიმედ ეს ჩემი ნაზმნები

ჩემთვის სულ ერთია რით ვარ დღეს შეკრული
აკვნის არტახებით თუ ტყვეთა ბორკილით
ჩემთვის სულ ერთია რითი ვარ ბედკრული
მამულით სამარით თუ მიწით მორჩილით

сел къаьхьа дуьне вай вовшашна довзарна
хьуна ду-кх т1аьххьара сан даредар а
декъаза хилла со хьан марзо йовзарна
декъала хилла со Нохчийчохь варна

1989

და მწარე ესოდენ ერთურთთან გაცნობა
წილად რომ გვხვდომია მიტომ მსურს ამოვთქვა
ვარ უბედური შენი ღრმად შემცნობი
ბედნიერი ვარ ჩეჩნეთმა ძედ რომ მშვა.

* * *

десачу гуьйна т1е
меца пхьуй санна
к1ецаш еш хьан к1ентий
гуллучу дийнахь
сан илли д1адоьду
гила-борз санна
акхачу хьаннашкахь
лазамна уг1а

Нохчийчоь хьо йоцуш хилча
со мича г1ур вара мича

карраш зен г1евттинчу
майданийн койша
устазаш не1алтах
багочу дийнахь
сан илли д1адоьду
сира сай санна
тарханийн назмане
ладоьг1уш латта.

Нохчийчоь хьо йоцуш хилча
со мича г1ур вара мича

курхалчаш г1азотан
байраkхаш ловзош
къомах кхаж тарбелла
хьийзачу дийнахь
сан илли д1адоьду
1индаг1а санна

* * *

ვით ცარიელ გობთან
მშიერი ძაღლები
ჯგუფებად იყრებიან
როს შენი ვაჟები
მიქრის ლექსი ჩემი
მამაცი მგელი
და ტკივილისგან
ყმუის უღრან ტყეში

ჩეჩნეთო ჩემო შენ რომ არ მყავდე
გზა-წასასვლელი სად უნდა მენახა

როს რქებით აღმდგარი
მოედნის ყოჩები
ალს ცილისწამების
უნთებენ წმინდანებს
მიქრის ლექსი ჩემი
ვით რუხი ირემი
და მიწა ყურს უგდებს
კლდეების ნაზმებს

ჩეჩნეთო ჩემო შენ რომ არ მყავდე
გზა-წასასვლელი სად უნდა მენახა

როს ქრიან ყაჩაღნი
დროშით ჰაზავათის
ერი როს ჩათვალეს
მოგებად თამაშში
მიქრის ლექსი ჩემი
ვით ჩრდილი სიმართლის
მკვდარ აულებში
მძებნელი სინათლის

еллачу ярташкахь
хьан серло леха

Нохчийчоь хьо йоцуш хилча
со мича гӀур вара мича

Кхоаме тишачу
барзакъе санна
халкъ шен лайн амалшка
хьоьжучу дийнахь
сан илли дӀадоьду
къена мурд санна
бищбинчу бӀанновкъахь
гӀароллехь латта

Нохчийчоь хьо йоцуш хилча
со мича гӀур вара мича

хьо йохка Ӏеминчу
къуйн стешха кӀезий
баьччанийн ловзарех
ловзучу дийнахь
сан илли дӀадоьду
аьрзуно санна
хьан некъийн хӀора сиз
бӀаьрсица къийла

Нохчийчоь хьо йоцуш хилча
со мича гӀур вара мича

1989

ჩეჩნეთო ჩემო შენ რომ არ მყავდე
გზა-წასასვლელი სად უნდა მენახა

როს ვითარც მომჭირნე
თავის ძველ ტანსაცმელს
ერი თვის შვილთა
შეჰყურებს მონურ ზნეს
მიქრის ჩემი ლექსი
მურიდი ხნიერი
გარდასულ სპათა გზას
მცველად რომ დაუდგეს

ჩეჩნეთო ჩემო შენ რომ არ მყავდე
გზა-წასასვლელი სად უნდა მენახა

შენს ღალატს ჩვეული
ჯაბანი ლეკვები
როს ბელადობანას
ცდილობენ ყალბ თამაშს
მიქრის ლექსი ჩემი
ვითარცა არწივი
და გზათა ყოველ ხაზს
ბასრ მზერით ფარავს

ჩეჩნეთო ჩემო შენ რომ არ მყავდე
გზა-წასასვლელი სად უნდა მენახა

* * *

цlийбелла стайн буьртиг
бецан тхи чахчадеш буьйжи

зlаьнаршца чехчаш ю цlийелла нуьйжа

стигланаш чехчош бу аьрзунан цlийбелла мохь

lаь чехчош шершаш бу цlийбелла мангал

чехчадеш тlаьххьара хьан сирла гlан гар
буьйсано лийчийна
хьо йохъян хьовкху и цlийбелла мох

lуьйре

1989

* * *

გახურებული შინდის მარცვალი
დავარდა ძირს და აშიშინებს ცვარს ბალახებზე

გახურებულ გრდემლს აშიშინებს სხივების კონა

არწივის მხურვალ ყივილს აშიშინებს ცა გამჭვირვალე

ნამს აშიშინებს გახურებული ნამგლის სრიალი

შენს ბოლო სიზმრებს აშიშინებს ქარი მხურვალე

რათა გაგათბოს ნაბანავები
ღამის მიერ რიყრაყისფერით
დილა

* * *

б1аьстено ладоьг1у
вай довла г1ертачу дитташа
ийзалуш
орамаш хедочу г1аргатане

б1аьстено тергалдо
1о орцан бедана
йна к1ур г1иттабеш
стиглара кхиссало к1айн цициганш

б1аьстено сатуьйсу
еррит а Нохчийчоь
баьццара дуьйхина яьлча
уггар а лекхачу
башломан момсар т1ехь
молланах кхайкха

1988

* * *

გაზაფხული უსმენს
ჩვენს ხეთა ამოსვლის მცდელობას
მათ ამოზიდვისას
ფესვების ტკაცუნს

გასცქერს გაზაფხული
ქედებს გულზვიადს
ლაჟვარდოვან ბდღვირს რომ ადენენ
ციდან ხტუნია თეთრი კნუტები

ელის გაზაფხული
ვაინახეთის გამოწყობას
მწვანე ატლასში
რათა ბაშლამის მინარეთიდან
ლოცვად მოუხმოს მთებს და მდელოებს
მოჯარებულებს თავის ალყაში

* * *

со самаваьккхира
йоккхачу хин гlовгlано

цlаьххьана
стигла а латта а дешна
хьевддачу lовраша
берриг а мохк дlахьош хетта
со араиккхира
амма

тхов тlера меллаша оьгура
бlаьстенан дуьххьарчу ладаран тlадамаш
гlайгlано гlорийна лаьттинчу
буточу хоттаршкахь
хlора а сан дегlан межено гlа хоьцуш санна

ма чlогlа сатесна хилла-кх ас
хьан озе
бlаьсте

1988

* * *

მე გამაღვიძა
წყლის ძლიერმა ხმამ

თითქოს
ცაც და მიწაც წყლად ქცეულიყო
მოვარდნილ წვიმის წყლებს
ირგვლივ ყველაფრის წალეკვა სწადდათ
კარში გავიჭერ
მაგრამ

სახურავიდან მოციმციმებდნენ
პირგახაფხულის ცეტი წვიმის ლაღი წვეთები
თითქოს ჩემს დარდით გახევებულ
დამზრალ სახსრებში
ახალი ძალით იკვირტებდა სიცოცხლის ტევრი

თურმე რარიგად მომნატრებია
შენი ხმა
ჰოი გაზაფხულო

## Г1АЛАТ

маьлхан ц1аро дитташ кхехкош
заза лаьтта 1еначу дийнахь
дуьххьара хит1е яхара иза

дуьххьара цуьнан белш т1е дижира 1ад

цуо охьа а ца даьккхира иза ша ведарш хих дузуш а

новкъахь ведарш чуьра хи 1енар
цуо шен корматалла ца тоарна лерира

урамехь дуьхьал мел кхеттарг цуьнга хьоьжура
иза ца кхетара нах сте цецбоху

иза ца кхийтира цунах
ц1а кхаьчча
хина метта ведарш дуьззина 1ежаш гича а

ткъа бехке-м пхьар вара
пхьар
1ожан генах 1ад дина волу

1988

# შეცდომა

როცა მზე ხეთა რიგს ცეცხლის რკალს ავლებდა
მიწაზე ცვიოდნენ ყვავილნი ფიფქებად
ის იმ დღეს წავიდა წყაროზე პირველად

პირველად შეიდგა ნორჩ მხრებზე მხრეული

შემოდგმულ მხრეულით შეუდგა სათლი წყალს

შინისკენ მიმავალს მიჰყვება ფიქრებად
ამდენი წყალი გზად ნეტავ რად მეღვრება

ჯიქურად უმზერის შემხვედრი ყოველი
არ მისდის ქალიშვილს არც ახსნას მოელის

ვერ მიხვდა მაშინაც
შინ მისულს სათლებში
წყაროს წყლის მაგივრად რად დახვდა ვაშლები

ბრალი კი უძღოდა ხელოვანს მხოლოდ ერთს
ვაშლის ნორჩ რტოთაგან
მხრეულთა გამომთლელს

## РЕНТГЕН

чекх са гун цхьалха дитт
со ву и со

п1ендаршлахь сан дог а
гой хьуна
генашлахь горга бен санна

к1айчу лайчимаша бен бузуш го
суна го
къаналлин г1айг1ано
сайн деган кад бузуш санна

1988

# ჩენტმენი

ხევ გამჭვირვალევ ცალფად აკრულო
ეს მე ვარ მე

თუ ხედავ ჩემს გულს ნეკნების წიაღ
ვით ჩიტის ბუდეს
ტოტებს შორის ჩაწნულ-ჩახლართულს

ბუდე ივსება თეთრი თოვლის ბიბა ფიფქებით
ვხედავ ო ვხედავ
როგორ ივსება
გულის ფიალა შემოპარულ სიბერის სევდით

* * *

охунех тера ю
хьан куьйгийн берчаш

хаддаза къахьоьгучуьра
цхьана м1аьргонна уьш севцича
хьан куьйгаш т1ехь ялта дер дар-кх Нана

суна гина
ахь кана эцна долу б1аьстенан доь х1у
хьан куьйгийн хершнашкахь худалуш

б1аьрхишца дашош
до1анашца дакъош
лелорна хир ду-кх хьан куьйгаш ишта

со кхоьру Нана
хьан куьйгаш т1ехь
1ожаллин ялта даларна

1988

* * *

ნაზნავსა ჰგვანან
ეგ ხელის გულნი

მუდამ ნაჯაფი
წამით რომ შედგნენ ნაანა
აბიბინდება მათ ნაზნავებზე ყანა

ცრემლით ალბობდი
ლოცვით აშრობდი
მიტომ თუ დაგეღარა ასე

მე ვნახე ერთხელ
გაზაფხულის პირს როგორ ისრუტეს
შენთ ხელთ ღარებმა თესლი ნაქუჩი პეშვში

მე შიშს მგვრის ნაანა
რომ ერთხელ ვნახავ
იმ შენს ხელებზე არჯალის ყანას

* * *

вашас шен вешина т1аьхьа ков къовлучу хенахь
х1ун ойла хуьлу те вежарий биначу ненан

1988

* * *

ძმის წასვლის შემდეგ ძმა რომ ჭიშკარს მიზურავს ხოლმე
ძმათ მშობელ დედას ის წამი ნეტავ რა ფიქრით მოლევს

* * *

мел хан яьлла

49 сахьт 39 минот яьлла=кх

жимачу к1аштана мичара хуур ду
суна хьо стомара дуйна гина йоццийла

1987

* * *

რა დრო გასულა

49 საათი და 39 წუთი

პატარა ბიჭმა არ იცის ალბათ
რომ ვეღარ გნახე გუშინწინს აქეთ

# НАНА

хьо ара ца йолуш йисичахьана
хьан lаса санна со цхьалха ву нана
хьо ламаз ца далуш йисичахьана
хьан ойла санна со шийла ву нана
lуьйренан гlайгlа ю стигалан ами
суьйренан гlайгlа ю хьан беса лами
вахаран гlайгlа ю хьан кьора уьйтlе
Нана цу гlайгlанах со къаьстар вуй те

хьо ара ца йолуш йисина аьлла
вайн кетlа мел богlу некъ акхабаьлла
хьан сагlа юкъаха дисина аьлла
пlераска вайн цlенна пен бетта даьлла
lуьйренан гlайгlа ю ков делла дезар
суьйренан гlайгlа ю хьох дисна дезарш
вахаран гlайгlа ю къаръелла зама
хала ду Нана и гlайгlа лан lама

1987

# ნაანა (დედა)

რაც შინ დარჩი და ვეღარ გადიხარ
მარტო ვარ როგორც ხელჯოხი შენი
ნაანა რაც ლოცვებს ვეღარ ასრულებ
გულს ხძლევს სიცივე შენს ფიქრთა ხენის
ცის თაღი მაცრის რიყრაყზე ხევდას
მწუხრს ეულობას კიბე მაყვედრის
ყრუ ეზოც მიჩანს ჩამქრალ ცხოვრებად
მოვწყდები ხევდას ნაანავ ამ ხვედრის

შინ რომ დარჩი და ვეღარ გადიხარ
აუბალაზდა ეზოს გზა-კვალი
რაც ვერ არიგებ ირგვლივ წყალობას
პარასკევის დღე ჩაგვივლის მწყრალი[1]
ხევდას ვაყოლებ დილას ჭიშკარში
მწუხრს შენს საქმეებს – დაშთენილთ გზაში
დრო ყრუდ მიყონავს ცხოვრების დარში
ვერ ვსწავლობ ნაანა ხვლას ხევდის ღვარში

1. ვაინახებში ტრადიციული ისლამის მიმდევრები ყოველ პარასკევს (ხუთშაბათს საღამოს) მეზობლებში არიგებენ გამზადებულ საჭმელს.

* * *

хIусаман корах бен
синтIадам ганза
хIусаман цIенкъа бен
кхин некъаш ганза
некхана велхар бен
кхин бала ганза
волучу суна

Даймохк хьо гIенашкахь дуьхьала хIиттар
цунах ца кхета-кх со мел дахар литтарх

1987

* * *

მხოლოდ სარკმლიდან
მიხილავს შუქი
მხოლოდ ქაზდარზე
მიკვალავს გზები
დედის ძუძუს გარდა
სხვა სატირალიც
რომ არ მქონია

მამულო სიზმრად ყოველ ღამე რომ მევლინები
ვერ ვხვდები რატომ რისი ბრალია

* * *

цӀарах кхерч хуьлучу дийнахь
озах дош хуьлучу дийнахь
тӀулгах чурт хуьлучу дийнахь
хӀораза сан ойла хилла
кху лаьттахь эрна ца Ӏийна-кх
Ӏийнарг

1987

* * *

ცეცხლისგან თუ კი იქმნება კერა
ბგერები თუ კი კინძავენ სიტყვას
სამარის ქვად თუ იქცევა კლდის ფუძა
მე ჩემი აზრი ყოველთვის მითქვამს:
თურმე ამ ქვეყნად არ უცხოვრია ამაოდ იმას
ვინც კი ეღირსა ამ ყოვლის ხილვას

* * *

куъзгана чуьра санна хьоьжу малх
гуьйре и б1аьсте ю куъзгана чуьра гуш

куъзгана чуьра санна хьоьжу малх
суьйре и 1уьйре ю куъзгана чуьра гуш

куъзгана чуьра санна хьоьжу малх
къаналла и бералла ю куъзгана чуьра гуш
и йилбаз-мохь бу
кошан къайле гуш

1987

* * *

თითქოს სარკიდან იცქირება მზე
შემოდგომა და გაზაფხული მოსჩანს სარკიდან

თითქოს სარკიდან იცქირება მზე
განთიადი და მწუხრის ჟამი მოსჩანს სარკიდან

თითქოს სარკიდან იცქირება მზე
სიბერისა და ყრმობის ჟამი მოსჩანს სარკმლიდან
ის ექო არის ვხედავ
სამარის იდუმალს რომ ლექსავს

* * *

каш санна таь1начу буьйсана
дог къовла дезар-кха буй санна
д1аваха везар-кха генна д1а
хилла д1о седанан хеннара
аталуш чувожа везар-кха
кху лаьтте болучу безамна

1987

* * *

ამ სამარესავით ბნელ ღამეს
გულს მოვკუმავდი მუშტივით
შორს გავყვებოდი ცის ტატნობს
ტოლი იმ შორი ვარსკვლავის
დავიმსხვრე დაქანებულიც
ამ მიწას დახარბებული

* * *

ас хьан чӀабанах гӀайгӀа юцур ю
кӀайчу говрана туьйра дуьйцур ду,
гуьйре тийжачу нохчийн аренгахь
дашо гӀаргӀулеш новкъа йохур ю.

ас хьан бӀаьрхих цхьа илли доккхур ду
юьрта йисттехь цхьа ирзу доккхур ду
муьрг цӀийх Ӏеначу нохчийн хьаннашкахь
дуьне къинтӀера сайна доккхур ду

ас хьан бӀарлагӀех гӀала юттур ю
хилларш, лайнадерш сица луьттур ду
Ӏаьно къарйинчу нохчийн ярташкахь
цхьа-цхьаъ дахарна дуьхьал хӀуьттур ву

хаза хилла хьо ккин а хазлур ю
цхьалла лайна со къинойх цӀанлур ву
вайшиъ декъалдан лаьттан Ӏаьнарлахь
кӀайчу говро шен туьйра дохьур ду

дашо гӀаргӀулеш цӀехьа йоьрзур ю
цара гӀабали хьуна йохьур ю
бӀаьсте йоьлучу нохчийн лаьмнашкахь
ас хьан чӀабанах сайн ирс дуӀур ду

1987

* * *

შენს ნაწნავებში სევდას ჩავაქსოვ
და თეთრ რაშს ზღაპარს ასე ვუამბობ
ოქროს წეროებს გზას დავულოცავ
და შემოდგომას ცრემლებს შევაშრობ

შენი ცრემლებით სიმღერას დავწერ
აულის პირას გავკაფავ ახოს
სისხლად დაღვენთილ ჩეჩენთ ტყეებში
პატიებას ვთხოვ მე მთელ სამყაროს

შენს აჩრდილთაგან ავაგებ ციხეს
ნანახს და განცდილს ამ გულში გავცრი
ზამთარს აყოლილს ჩეჩენთ სოფლებში
ბედს თვალს გავუყრი პირდაპირ თვალში

ტურფა ხარ უფრო დამიმშვენდები
მეც მარტოობა ცოდვისგან დამცლის
ჩვენს დასალოცად მიწის ოხშივარს,
ის თეთრი რაში ზღაპრად გარდაქმნის

დაბრუნდებიან ოქროს წერონიც
მათ საქორწინო კაბას შენთვის ვთხოვ
გაზაფხულის პირს ჩეჩნეთის მთებში
შენს ნაწნავებში ჩემს ბედს ჩავაქსოვ

*   *   *

бухах цIе латорна
дог-пах а даьгначу
чекх са гуш лаьттачу
акхачу кхоран
бохь боьлуш гича
цу стогаллех хьаьгначу
сан дашна хьан
къайле гора
хийла хьайн сих зама
чекхйийлла къам

ткъа суо а вара со
акха кхор санна
йовхонан кхачонна
вагийнарг цхьамма
суждане ваханарг кху
нохчийн лаьттана

дуьненна заманна
юьстаха лаьттара
ламазна къилбехьа
бирзина лам

1987

* * *

ცეცხლის დაგზნებით
გულ-ღვიძლ გამომწვარ
სინათლე რომ გასდის
იმ პანტის ხის წვერზე
ამოყრილ ნორჩ ყლორტებს თვალი რომ მოვკარ
ჩემმა კაცობას დახარბებულმა
სიტყვებმა შენი იდუმალება
მაშინ შეიცნეს
ამ მცირე ერის
დროის სიმუხთლით გასმულის ძელზე

მეც მას მოვგავარ
სითბოს გულისთვის
რომ დაწვეს ერთ დღეს
მუხლთ დამხობილი
ჩეჩნეთის მიწის
მადლის წინაშე

ქვეყანას დროებას
მხარი უქცია
ლოცვისთვის ყიბლისკენ
მთამ პირი აქცია

* * *

адамо адамна кхоьллина харцо
пен ма бац нуьцкъала теттина харцо
чхар а бац карчийна нацкъара баккха
лаьхьа а бац иза 1уьргара баккха
адамо адамна кхоьллина харцо
нийс ца ло кхоьллинчун олалла харцорх
лайначо лахьти чу д1ахьо и шеца
каш хуьлу кхелхинчун лазаман ц1ен ц1а

1987

* * *

უსამართლობა შესაქმეა ადამიანის
არ არის იგი გალავანი ძალით დაამხო
არ არის თევზი მოზიდო ბადე ისე დაიპყრო
და არც გველია იხმო და ხვრელით ამოიყვანო
უსამართლობა შესაქმეა ადამიანის
მაგრამ შემომქმედს თავად არ ძალუძს რომ მოერიოს
ვინც გამოსცადა თვით სამარეშიც მიჰყვება უკან
რომ საიქიოც ტანჯვის ახალ გზად გადაუქციოს

* * *

сан ойланаш
к1айн даца 1ахарий
дийнахь сарралща
партала
меллаша
вовшийн 1индаг1ашкахь соьцуш
суьйренга йовлуш йолу
чуерзон хан т1екхоччушехь
сутара т1елетий
сахиллалща ежа
сан г1енийн сийначу бацалахь

1986

* * *

ჩემი ფიქრები არ არიან
თეთრი ბატკნები
მაგრამ მთელი დღე
ნელი ზოზინით
ერთურთის ჩრდილქვეშ
ინაბებიან
მიმწუხრისას კი
შინ წასვლის ჟამი როგორც კი დგება
ხარბად მეკვრიან
და გამალებით ძოვენ ჩემს სიზმრებს გარიჟრაჟამდე
ტკბილ ოცნებათა მწვანე მოლით ვერ ნაყრდებიან

* * *

серлоно серлонехь кхоьллина 1индаг1а
сан ойла ю

иза дехха сан дагт1ехь 1иллича
бухахь юьсу лар
сан йоза ду

и хила тарло
сан куьйгашна к1елахь зарзбелла бода
я боданехь зарзделлачех
сан по1анийн аьзнаш

иза серлонний бен хуур дац

ткъа цунна а хаа йиш юй
и корера шагалаш
г1орийна ткъесаш ду
я дац
я цунах серлонах
стенна къехка
церан дерзина 1индаг1аш

1987

* * *

შუქმა შუქისგან ჩამოქნა ჩრდილი
მე ასე ვფიქრობ

მისი ჩემს გულზედ ჩამოწოლისას
ქვეშ გაჩენილი კვალი
ჩემი ნაწერი არის

ან იქნებ
ჩემს ფეხქვეშ გაცრეცილი ბინდიც კი არის
ანდა წყვდიადში მილეული
ჩემ ლოცვათ  ხმანი

ეს კი მხოლოდ სინათლემ უწყის

იცის კი ნეტავ სინათლის შუქმა
ჩემს სარკმელთ მიღმა ის ლოლუები
თუ შვა ციაგმა
დამზრალი ელვის
ან რატომ კრთიან
მის გამჭოლ შუქზე
გაშიშვლებული მათი ჩრდილები

# АС ЛОРУШ ЙОЛУ КХЕЛ

сан зудчо
тхойшшиннан дlасакъастаран а бахам бекъаран а гlуллакх
шуьга делла хиларна
суна хlокху кехатца чlагlдан луур дара
со
цуьнан лаамна реза хилар а
бахам бекъаран сурт хlокху кепара хуьлийла сайна лаар а

сайна ма-хеттара и кеп ялайо ас:

1. цунна - диван
суна - оцу диван тlехь цуьнан хиъна lар

2. цунна - куьзга.
суна - оцу куьзгана чуьра цуьнан тlаьхxьара къажар.

3. цунна - стол-гlант
суна - оцу стоьла тlехь даима а lуьллуш хилла тетрад
ручкий хlора буса корехь къежаш хилла беттасий

4. цунна - мотт-гlайба
суна - наб яйна буьйсанаш

5. цунна - сервант, пхьегlаш
суна - оцу пхьегlаш тlехь йисина цуьнан куьйгийн йовхо

ишта цунна кхочийла луур ду суна
цу хlусамехь кхиболу цхьацца кlезга-мезга бахаман

# პატივცემულ სასამართლოს

ჩემმა ცოლმა
თქვენ რომ მოგანდოთ
ჩვენი გაყრის და ჩვენი ქონების
გაყოფის საქმე
გიწერთ ამ ბარათს და გატყობინებთ
რომ
მის სურვილებს მე ყურად ვიღებ
და მხოლოდ ის მსურს რომ იმ ქონების
გაყოფა შემდეგ წესით მოხერხდეს

1. მას დივან-ტახტი მე კი იმ ტახტზე
მის მოსვენებას ჩემთვის მოვითხოვ

2. მას სარკე მე კი მის წიაღიდან
ის ბოლო ღიმი გთხოვთ მომაკუთვნოთ

3. მას ერგოს ჩემი მაგიდა-სკამი
ხოლო კალამს რვეულს ფიქრებით ძლეულთ
და მთვარის ციაგს სარკმელს ჩახვეულს
ვერვის გავუყოფ

4. მას ჰქონდეს ჩვენი საბან-ბალიშიც
მათზე დაღვენთილ ძილმკრთალ ღამეებს თუ კი
დამითმობს

5. მას ხის კარადა და ჯამ-ჭურჭელი
მათზე ნაშთენი თლილი თითების სითბო მაჩუქოს

და ხზვაც ყოველი სურს რომ მას დარჩეს
და მთელი სახლიც მას მიაკუთვნეთ
ლურსმანს არ ვითხოვ

гlирсаш а
ша ма-дарра цхьа хьостам хьабанза и цlа а

цул сов
сайна йита луур ду суна
цу цlийнан корехь хlора буса йогуш хилла серло а
сагатделча цу цlийне бlаьрг тоха ван бакъо а

тхойшиннан бахам кхин боккха хилла а ца хиларна
луур ду
аш шайгара доьзалх йоьхначу зудчунна гlо деш кху дуьнен
чохь делахь ирс лохийла а
и цунна дlалойла а

декъана цуьнца дlанийслуш
ас сайна юьту гlайгlий лазаммий

кхин цхьаъ луур дара суна
тхойшиъ цхьана дехачу хенахь лулахойх лачкъийна хlума
доцуш
дерг цаьрца доькъуш
даьхна хиларна
дакъа деш
царна а йитар тхойшиннах лаьцна эладитанаш даха бакъо

айса ялийначу декъаран кепехь хlора а агlо механа нийса
хир ю аьлла, хета суна
иштта сайн зудчун лааме хьаьжна а хир ву со

шу лоруш волу Хьенех

1986

ოღონდ
იმ სახლის სარკმელთ მიღმიდან
ღამით შორიდან მოციმციმე შუქი დამითმოს
მონატრების ჟამს იმ სახლის ხილვის უფლებას ვითხოვ

და რომ არცა რა გვებადა ბევრი
თქვენ გთხოვთ ეძიოთ
იღბალს გარიყულ ქალისთვის ბედი
და თუ ამ ქვეყნად სადმე არსებობს
ბედნიერება მას ჰქონდეს მთელი
ჩემთვის არ მინდა არც ერთი წვეთი

თანასწორობა რომ არ დაირღვეს
ვიტოვებ მის წილ სევდას და ტკივილს

და კიდევ
რადგან ერთად ყოფნისას კარის მეზობლებს
არ ვუმალავდით
ვუზიარებდით ცხადს თუ გულს ნადებს
წილად არგუნეთ
მიეცით ნება
ჩვენზე რომ თხზავდნენ ათასგვარ ჭორებს

ვფიქრობ სამართალს არ ვუღალატე
თანასწორობა არ დავარღვიე გავყავი იხე
ცოლის სურვილებს გულთან მივიტან შემდგომშიც მყისვე

პატივისცემით მავანი

* * *

йиш хаьлла аьрзу х1ай
ма тера ду-кха хьо сох
Далла д1а ца хези ахь эрна биттина мохь
дег1 малдай цхьажимма
т1ам д1асахецахьа пхьаг1атехь
ас лаьттахь ахь стиглахь
ойлаер вайшимма парг1атехь

1986

* * *

ხმაჩახლეჩილო არწივო ჰეი
როგორ მომგავხარ
არ ესმა უფალს ამაო იყო შენი ძახილი
ჩამოჯექ სერზე დაკეცე ფრთები
და დაასვენე სხეული შენი
თავისუფლებას მივცეთ ფიქრები
ცას შენ მე მიწას ჩავეძიები

* * *

хьо ховха бlаьллинган сара бу
мелачу махо бен хьастанза
хьан сеттарш  са дуу бала бу
цкъа хилла деган шад бастанза
лелашверг ву цунна къера
гинаверг ма-хетта сеттадеш
хьо санна долучу серех
Нохчийчохь юьйцина керташ еш

хьо ховха бlаьллинган сара бу
хьох юцар хирг хилар бала бу

1986

* * *

შენ ნორჩი ლელი ხარ თხილნარის
გარწევს მარტოდენ ნიავი
გულს მიკლავ ე მაგ ცქრიალით
გულს ნაშთენ ძველი იარით
ჰყავს სატრფო ავსებს ტრფიალით
შენნაირ ლელთა ტრიალით
ჩეჩნეთს სწნავს ღობეთ ტიალი

შენ ნორჩი ლელი ხარ თხილნარის
მოგწნავს მით სწუხს გული ფრიალით

## Г1УБАШАН УЗАМАШ

*Гухойн г1убаш со дукха лелла цуьнан лорах доллучу шен дах-арехь илли доло цхьа дош лоьху поэт санна гила-берзан кхол-лам бара цуьнан цхьанна а ца вовзар курачу сайн кхоллам бара цуьнан массарна а вовзвр къонахчун кхоллам бара цуь-нан д1ахаьттиначун гергара хилар суна даима а ор чохь гина иза*

### Хьалхара узам

урх хаьдда вир 1оьху д1о эвла йистехь
г1аддахна уьду и хьокъа марш баьтт1а
ткъа цхьанхьа ткъа цхьанхьа дуьненан йистехь
урх хецна йора дин ойлане лаьтта
ас цуьнга ладоьг1у амма ца кхета
сел дера эвлара пхьуй стенна лета
виранна динна я з1енашна кочарчу
я маршо х1ун ю те дог муха лоцу цуо
урх хаьдча хьадар я урх хецна латтар
я ж1аьлийн летаро кхоьллина хаттар

### Т1аьххьара узам

сан куьйгаш нуьцкъала куьйгаш
хийла ницкъ хили-кха шуна
ас теркал дехьара реманаш кхуьллуш
хийлаза дезнера шун а
йилг1анан шедакхаж къийла
хийла

# ღუბაშის ჰანგები

გუხონთ ღუბაში[1] მე ბევრი მივლია მის ნაკვალევზე ვით ლექსის დასაწყებად მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთი სიტყვის მაძიებელ პოეტს ეული მგლის ბედისწერა ჰქონდა რამეთუ არავინ იცნობს ამაყი ხარირმის ბედი ეწერა რამეთუ ყველა იცნობს ვაჟკაცის ბედიწერისა იყო რამეთუ ყველას ნათესავი და ახლობელია ვისაც არ უნდა ჰკითხო

## ჰანგი პირველი

აულის პირას ყროყინებს ვირი თოკაწყვეტილი
გალაღებული დაკუნტრუშებს დრუნჩგახეული
ხოლო იქ სადღაც რემას გაყრილი შორს დარჩენილი
ლაგამაყრილი ულაყი დგას ფიქრჩახვეული
ვაყურიადებ გონებას ვძაბავ მაგრამ ვერ ვხვდები
ასე გაბმულად რაღას უყეფენ სოფლის ძაღლები
ვირს მერანსა თუ ბოღმას ყელზე შებმულ ჯაჭვების
ან რაა იგი თავისუფლება გულის წყურვილი
თოკაწყვეტილის ჭენება თუ გარინდება ლაგამაყრილის
იქნებ ეს კითხვაც ხვადთა ყეფით არის შექმნილი

1. ღუბაში, ვაინახთა ერთერთი თაიფის, გუხოელთა (ამ თიეფის წარმომადგენელია თავად ავტორიც) წინამძღვარი იყო შამილის იმამატის პერიოდში. უჩვეულოდ გოლიათური აღნაგობის ბელადმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა იმამს და გუხტაში, თავის აულში გამაგრდა. ხანგრძივი ალყის შემდეგ იმამმა მოახერხა ალყის გარღვევა. თავის ციხეში გამაგრებული ღუბაში შეიპყრეს და თვალებდათხრილი ხაროში ჩააგდეს. ღუბაშის დიდი ოჯახიდან მხოლოდ ერთი მცირეწლოვანი გელი გადარჩა, რომელიც მიწისქვეშა გასასვლელით გაექცა თვალებდათხრილ ღუბაშისგან მძიმედ დაჭრილ, გააცებულ იმამს. იგი მეზობელმა დიშნელებმა შეიფარეს სანამ სრულწლოვანი არ გახდებოდა. დიშნელთა ასულმა გელს თორმეტი ვაჟიშვილი გაუჩინა, რომელთაგან ერთ-ერთის შვილიშვილი, ჰამზათ გილაევი იყო.

сан куьйгаш ц1ийх оьху генаш
хийла да1 деази-кха шуна
байн дакъа къевсина летачу хенахь
хийлаза дезнера шун а
шаьлтанан маь1ан мукъ къийла
хийла
сан куьйгаш кегделла т1емаш
сан=м дукха дуьсий шух дийцанза
аш хийла тоьхнера сан динна ленаш
шу муьт1ахь хиллера шайн халчу дена
тешаме хиллера х1инцалца
тахана де ийши-кх шун а
къинт1ера волу-кх со шуна

сан когаш нуьцкъала когаш
хийла ницкъ хили-кха шуна а
хийлаза даш санна язйина голаш
хуьйди шух сан некъийн т1уьналла
хийла со луьйтана ваьккхи аш
хийла со лечуьра ваьккхи аш
сан когаш хьодалчаш къера
г1оьнжаг1а некъашца кхирстинарш
аш г1о деш нах бухку г1ера
ас хийла бердаш т1ехь цистира
шун ницкъо хийла сан дин идабинера
чов хилла дазделла дег1 идадинера
Идалан уьшалша щу къар ца бинера
Хонкаран г1амарша шу къар ца бинера
тахана де ийши-кх шун а
къинт1ера волу-кх со шуна

## ბოლო ჰანგი

ო ხელნო ჩემნო ტორნო ძლიერნო
რა მძიმე ჯაფა გადგათ
როს თერგით რემებს წამოვასხამდით
რა ხშირად იწვოდით
ილღის[1] ხის მათრახის ცხებით
ხშირად კი ხელნო
სისხლად მწვეთავნი
გზას მიკაფავდით ტევრში
ობოლთ ქონებას როცა იცავდით
რა ხშირად გიწევდათ
ფიცხლად ტორღვება ხმლების
ხშირად
ხელებო ჩემო დაჭრილო ფრთებო
კიდევ ბევრი რამ მრჩება უთქმელი
ჩემს რაშს რა ხშირად დასჭედეთ ნალნი და
მორჩილნი იყავით ამ კერპი პატრონის
და აქამომდე ასე უმტყუნართ
დღეს რად არ შეგწევთ ძალა
თუმცა დღეს გპატიებთ ამას

ჩემო ფეხებო შემძლე ფეხებო
ო როგორ უღვთოდ გატანდით ძალას
ეს რაოდენი აგემეთ მუხლებს
მომქანცველ გზებზე ნესტი და ტანჯვა
რამდენჯერ ამტაცეთ უზანგზე დაღლილი
რამდენჯერ გამომტაცეთ სიკვდილს
ო ფეხნო ჩემნო ძალუმად მსრბოლნო
გაჩვეულებო ღორღიან ბილიკთ
თქვენი შეწევნით მუხთალ გამცემლებს
ქარაფებიდან ვჩეხავდით მიწყივ

---

1. ერთგვარი ჯიშის ხე

эх1 б1аьргаш сан сема б1аьргаш
ямартло ца ги-кха шуна
аш къестадинера дуьненан хьаькаш
хийлаза дезнера шун а
аьрзунца семалла къийса
шаьлтанца ералла къийса
хенаца сихалла къийса
сан б1аьргаш сан сема хехой
г1енах а к1елонаш ган дезна дара шу
мостаг1а къаставан 1емина дара шу
ц1ийх оьху сан б1аьргаш эхх1ай
ямартло бос боцуш хилла-кх и
ямартло ницкъ болуш хилла-кх и
ямартло туьйли-кха шул а
къинт1ера волу-кх со шуна
къинт1ера волу-кх со
х1ора а сайн дег1ан меженна къинт1ера волу=кх со

ткъа хьуна ткъа хьуна дог сан
хьо=х дара дуьненнал доккха
хьайна чутарбинарг декъазчу сан нехан лазам
девзина дара хьо хьайн боцчу балина лазар
мецачу ж1аьлеша 1ийша хьо да велла дисарг
кху тешнабехканна къарделла х1инца к1елдисахь
бохамна т1улгал ч1аг1даланза дара хьо
диканна масал к1аддаланза дара хьо
дара хьо г1елонна дат1анза
дара хьо ц1ийн ц1ергахь даг1анза
да ваьтт1а диса хьо дог сан
хьо-х дара дуьненнал доккха
хьайн чухевшинарг мискачу сан нехан г1айг1а

მივაქროლებდით აწყვეტილ რაშებს
მძიმედ ნაკეჭნი სხეულის რწევით
დონის ჭაობებს არ ვნებდებოდით
და არც ქვიშრობებს ხონთქრის
დღეს კი არ გეყოთ ძალა და ღონე
თუმც შემდობი ვარ სულგრძელად ყოვლის

ეჰ თვალნო ჩემნო მუდამ ფხიზელნო
დღეს ვეღარ არჩევთ სიმუხთლეს ღალატს
უწინ კი ჭვრეტდით თუნდაც უჩინარს
ტოლს არ უდებდით
თვალბასრ არწივებს
აღმახულ ხმლებს და
სწრაფად მქროლს წამებს
ჰე, თვალნო ჩემნო ფრთხილნო დარაჯნო
ღრმა ძილშიც გრძნობდით ჩასაფრებულ მტერს
მტარვალ-მოყვასის შორიდან მცნობნო
დღეს ჯავრად ქცეულს სისხლად მეღვრებით
უფერო არის თურმე ღალატი
და ძალაც ერჩის თურმე იმდენი
რომ გაიმარჯვა თქვენზე მუხთალმა
მაგრამ გპატიებთ თავს მოვერევი
ხუყველა ნაწილს ჩემი სხეულის
მსურს მივუტევო მარცხი პირველი

შენ კი გულო ჩემო ჰოი გულო ჩემო
ხომ დუნიაზეც იყავ უვრცესი
როს დაიტიე ჩემი ბედშავი ხალხის ტკივილი
როს შეიცანი სხვისი ტანჯვა სხვისი ტკივილი
მშიერმა ძაღლებმა დაგგლიჯონ უნდა მოგიკვდეს პატრონი
ამ ვერაგობით დავრდომილი როგორ დაეცი
არ უხვდებოდი გასაჭირს განა კლდეზეც მაგარი
არ ულბებოდი სიკეთეს განა ქველი მდაბალი
არ გიძაგრავდა განა ძარღვებს ბეჩავის ჩაგვრა

цкъа карладахахьа дуьненахь мел лайнарш айхьа
акхачу коьллашлахь вайх хьегна чаг1алкхаш
якхийчу шахьаршкахь вайх хьегна танг1алкхаш
паччахьийн набахтеш мостаг1ийн г1аманаш
маршонах ца юхуш къежъелла заманаш
к1елдиса хан йоцуш дара хьо
со таррийн чевнаша кегийра воручохь
хьо меттан чевнаша даккхийра доручохь
к1елдиса хан йоцуш дара хьо
ас динна хилла чевнаш бухкарца къуьйлучохь
ас сайна хилла чевнаш доьхкарца къуьйлучохь
ас хьуна хилла чевнаш некхаца къуьйлучохь
к1елдиса хан йоцуш дара хьо
дог
х1ара ду-кх хьуна сан дош
къинт1ера ца волу-кх хьуна со
аьрзунах т1ома ца далахь
юха а дуьненат1е дала

*суна ца хаьа иза цу чуьра хьала муха ваьлла амма бакъдерг кхин ду б1аьрзечу Г1убаша ша кхалхале хьалха Шемалан б1о баржийна ца 1аш имамна шийтта чов яр маршо т1амарх йоьлла стаг хилла иза олуш а хезна суна*

1986

ან არ გიწევდა ცეცხლში წრთობა ცეცხლის გამოვლა
წარგიწყდეს უნდა გულო ჩემო ძარღვნი ძალუმნი
ხომ დუნიაზეც იყავ უვრცესი
როს დაიტიე ჩემი ხალხის მთელი ვარამი
იქნებ მოიხმო რაც კი თავზედ გარდაგხდენია
ველურ ჯაგნარში ჩვენს ხორცს ელოდნენ გახსოვს ტურანი
ქალაქებში კი სახრჩობელანი
მეფის დილეგში ხელ-ფეხს უცდიდნენ ხუნდები რვალის
დაძაბუნებას ჩვენსას ცდილობდა ჟამი მტარვალი
რად არ დაეცი მითხარი მაშინ
როცა სისხლისგან მცლიდნენ ნახმლევნი
ენით ნაკოდნი შენ გწვავდნენ განივ
რად არ დაეცი მითხარი მაშინ
როს ჩემს იარებს ქამრით ვიკრავდი
მოსართავით კი ჭრილობებს რაშის
როს საკუთარი მკერდით გფარავდი
რად არ დაეცი მითხარი მაშინ

გულო
ეს გახლავს ბოლოთქმა ჩემი
ვერ გაპატიებ ღალატს
თუ არ მოისხამ არწივის ფრთებს და
ქვეყნად არ მოხვალ კვალად

მე დღემდე არ ვიცი მან იქიდან (ხაროდან - მთარგმ) როგორ ამოაღწია ჭეშმარიტება კი ამას ღაღადებს თვალებდათხრილმა ღუბაშმა სიკვდილის წინ არა მარტო ჯარი დაუფანტა შამილს არამედ თავად იმამსაც კი თორმეტი იარა მიაყენა თავისუფლე-ბის წყურვილი ჰქონდაო ძვალსა და რბილში გამჯდარი მსმენია ასე

* * *

вokkха стаг ву ломахь вехаш б1аьрзе стаг ву
амма цунна девза некъаш сица са гуш
цо хьожанца билгалбоху нехан kхерчаш
евза эвлахь х1ора стеган kуьйган берчаш

жима волуш даг чохь мерз цкъа лазабаьлла
Цо б1аьрзечу беро ломан илли аьлла
х1етахь дуьйна г1ора эшарх хеташ онда
цо цхьа ваша лерина шен дечиг-пондар

шолг1а ваша лерина цо некъан 1аса
Хийла телли хийла толлу некъан аса
Уьш шен мехkан ц1ийх схьадевлий хаьа цунна
Шен халкъан синкъайле евзаш вехачунна

го уьш ломахь охучарна оручарна
го уьш kерла б1ешо довза бог1учарна
цхьана нанас kийрахь kхаьбна kхо бер санна
некъан 1аса дечиг-пондар вokkха стаг а

суна гина суна го уьш сайн Даймахkахь
со сайн некъах чеkхсагарна kхаьрда т1аkkха
иштта безам иштта тешам лохьа суна
Везан-Дела кхин х1ун оьшу вехачунна

1986

* * *

მთაში ცხოვრობს ბერიკაცი უსინათლო
მთათა გზებს ცნობს სულით გულით უსინათლოდ
სურნელს არჩევს ყოველ სერის ყველა კერის
მთიელთ ხელთა ყველა სისხლ-ძარღვს ხელით იცნობს

ყმაწვილს მუზა ერთხელ ლექსით რომ ეახლა
დაუმღერა მშობელ მიწას უსინათლომ
იმის შემდეგ იგრძნო ძალა და მიენდო
ფანდურს ღვიძლ ძმას ერთგულსა და უანგაროს

თავის ხელჯოხს თვლის ის თავის მეორე ძმად
რაც უზვერავს და უკვალავს გზათა ვიწრობს
მშობელ მიწის სისხლ-ხორცისგან ჩამოქნილთა
დარდს იდუმალს ამოუცნობს ის მიხით გრძნობს

ბერიკაცი ხელჯოხი და ხის ფანდური
იმ სამს ხედავს ჩამვლელი თუ მთის სტუმარი
ერთი დედის წიაღს ნაზარდ სამ ჩვილივით
არ სცილდება ერთურთს ქვეყნის სამი მგზავრი

თუ მათ ვხედავ მაღალ მთების იმ აულში
ჩემი გზების ღვაწლი მარცხვენს უღიმღამო
ღმერთო მომეც მათებრ ნდობა ხიყვარული
მომკვდავს მეტი რაღა მინდა რომ ვიცოცხლო

* * *

латиййча сирнико дохк а ягаеш
юькъа ю гуьйренан буьйса

со некъо куьг а лаьцна д1авуьгу цхьанхьа
Нохчиййчоь
хьан сирлачу тийналлех д1аэ

нана сан ага техкочохь тар тесна 1а

гуьйре
ладуг1у хан
суна хаьа
Нохчиййчохь
б1аьвнийн
ж1аьлийн
десачу урдийн
г1айг1анаш муха лозу
латиййча сирнико дохк ягочу буьйсана

сан дагца дохло
хинйолчу назманийн орамаш
со ган луучуо
соьга ладуг1ур ду-кх тховса

1985

* * *

ასანთის ალი ლამის ირგვლივ ბურუსს მოედოს
ისე დაუბურავს ჯანღს ღამე შემოდგომის

ხელჩაკიდული მივყავარ ჩემს გზას
ჩემო ჩეჩნეთო
რომ შევენივთო შენს მყუდროებას ნათლით შემოსილს

აქ დედას ჩემსას ჩასთვლემია აკვნის რწევაში

შემოდგომაა (დრო შექმნილი)
საყურიადოდ
მე ვუწყი
ჩეჩნეთს
კოშკებს
ძაღლებს
მოუხვნელ მიწებს
თუ როგორ სტკივათ დარდი
ამ ღამეს როცა ასანთის ალი ბურუსს სწვავს ლამის

ამ გულით თბება
ჯერაც შეუთხზავ ლექსთა ფესვები
ვინც ჩემს ხილვას ლამობს
მიყურიადოს ბინდში ამ ღამის

* * *

нохчийн ярташ басошка юьйлу
т1аьхьарчу гуьйренан малхехь
йохъяла г1ерташ

дехачу беттанашкахь гуш а ца хилла йолу
уьш
х1инца дика къаьста

х1инца дерриге а дика къаьста
х1инца суна суо а дика къаьста
паналлин х1ора а маь11ехь

сан когаш
некъаша биъна
базбелла
дуьненчохь ас мел яьккхина г1улч
голашка йиллича санна
беза бу уьш

ткъа суна уьш байбан лаьа
суна верриге а вайвала лаьа

суна хьан кха т1ера чемхалг хила лаьа
даймохк
маьлхан з1аьнаршка
суо хьан х1аваэхь вехха ловзавайта
маццა а хьан лаьтта вужур вуйла а хууш
нохчийн ярташ
т1аьхьарчу гуьйренан малхехь
басошка юьйлучу дийнахь

1985

* * *

მთების კალთებზე ჩეჩენთ აულებს
შემოდგომის მზის ბოლო სხივების
სწყურიათ სითბო

თვეობით მწვანით დაბურულები
დღეს
ნათლად ჩანან

დღეს ყველა შტრიხი მკაფიო გახდა
თვით ჩემი თავიც
უდაბურების ზღვაში ჩანთქმული განათდა თითქოს

ჩემი ფეხები
გზებით ნაკვები
მოდუნდნენ
თითქოს დღემდე გადადგმული ყველა ნაბიჯი
მუხლებში ჩამრჩა
დამძიმდნენ ულვთოდ

მსურს მათი ხვედრის შემსუბუქება
მსურს სრულად გავხდე ჰაეროვანი

და ვიქცე შენი ყანის ერთ ღეროდ
მამულო ჩემო
რათა მზის სხივებს აყოლილი
შენმა ნიავმა დიდხანს მარწიოს
რადგანაც ვიცი ერთხელ შენს მიწას უნდა შევერწყა
როდესაც თრთვილით შევერცხლილი ჩეჩენთ სოფლები
შემოდგომის მზის ბოლო სხივებზე
მთათა ფერდობებს აუყვებიან რომ დამიტირონ

* * *

со ма дукха-дукха ваьхна
со ца вицвелла
со дIавоьлу хьуна тIаьхьа
дуьне дицдина

берцан беса Iожа месаш
торгIа сийналла
стиглахь дато мархийн кесарш
Iора тийналла

кхин ца еззал, марзо оьцуш
езна буьйса а
и хьан хьажар сан са лоьцуш
бIаьргийн уьрсаца

кху дуьненах ваьлча хIун ду
аьлла хетта хан
ца оьшийла цIенна хууш
и эхь хетар хьан

иштта го-кха тIе мел йогIу
хIора буьйса а
ахь са лоьцуш ахь са дохуш
бIаьргийн уьрсаца

со цул тIаьхьа дукха ваьхна
со ца вицвелла
даим воьду хьуна тIаьхьа
дуьне дицдина

1984

* * *

დიდხანს ვიცხოვრე რა დიდხანს
არ მავიწყდება
მოგდევ უკან და ვივიწყებ
ქვეყნიერებას

ქერის ფერი ქერა თმები
თალხი სილურჯე
ცაზე ვერცხლის ღრუბელთ აცმა
ზღვა სიმყუდროვე

მეტი რომ არ გსურს გატკბობს ღამე
ნანეტარები
ეგ გამოხედვა სუნთქვას მიკრავს
თვალთა ლახვრებით

დრო როცა თავად სიკვდილიც კი
არაფრად გიჩანს
მორცხვობა შენი როცა ვიცით
არ გვინდა არ ხამს

ასე მიჩანდა ჩემდა მავალი
ღამე ყოველი
სულს როს მიკრავდი და მიხუთავდი
ლახვრით თვალების

მას მერეც დიდხანს ვიცხოვრე
არ მავიწყდება
მუდამჟამ მოგდევ და ვივიწყებ
ქვეყნიერებას

* * *

цlеначу хlух йолу буьйса

сирла
кlеза шен lиндагlах леттала
гlа-бацан садеlар бlаьрга галла
цlена

седарчийн чахчарехь
бlарзвала
поэзин чахчарехь
къарвала
хазаллин чахчарехь
вала

цlеначу хlух йолу буьйса
я
сан дагчохь кхуьуш ду лаьмнаш

1983

* * *

წმინდა სისხლისაა ღამე
ისე ნათელი
ლეკვი საკუთარი ჩრდილს რომ უყეფს
ფოთოლ-ბალახთა სუნთქვას შეიგრძნობ
ისე წმინდაა

რომ ვარსკვლავთა ჩანჩქერებში
დაბრმავდე ლამის
ხოლო ლექსთა ჩანჩქერებში
დაყრუვდე ლამის
სილამაზის ჩანჩქერებში
მიიცვალო ლამის

ეს ხიბლია წმინდა სისხლის ღამის
თუ
ჩემს გულში სილაღეა მთების

* * *

со веха пачхьалкх ДАЙМОХК ю

цуьнан ерриге а конституци цхьана статьях лаьтташ ю
Х1ОРА А ОХ1ЛАНАН БАКЪО Ю КХУ МАХКАХЬ КАШ ХИЛА

цуьнан тушпхьа НЕНАН Х1УСАМ ю

цуьнан дозанаш ду
малхбалехьа - ДУЬНЕНЧУ ВАЛАРЦА
малхбузехьа - 1ОЖАЛЛИЦА
къилбехьа - СЕРЛОНЦА
неврехьа - ЛАЗАМЦА

со веха пачхьалкх ДАЙМОХК ю

1983

* * *

მე სადაც ვცხოვრობ იმ ქვეყანას სამშობლო ჰქვია

და მთელი მისი კონსტიტუცია ერთ მუხლს შეადგენს
ყოველ მის მცხოვრებს უფლება აქვს ამ ქვეყანაში ჰქონდეს საფლავი

დედაქალაქი დედის კერაა

ხოლო საზღვრებად
აღმოსავლეთით ქვეყნად მოსვლა აქვს
მზის ჩასვლის მხარეს ჟამი სიკვდილის
სამხრეთით საზღვრავს მას სინათლე და
ჩრდილოეთით აქვს დიდი ტკივილი

მე სადაც ვცხოვრობ იმ ქვეყანას სამშობლო ჰქვია

* * *

сан ненан некхах
декхна сан некъаш
хьан сица доьзна ца хилча
вахар а х1ун дара Нохчийчоь
долуш сайн нох ц1е чоь
хьан лаьттахь вина ца хилча

валар а х1ун дара Нохчийчоь
хьо т1аьхьаюьсуш ца хилча

1983

* * *

ვინც დედაჩემის ძუძუ სწოვა
ჩემი გზებია
რაა სიცოცხლე არარაობის ანარეკლია
მამულო ჩემო მათ შენი სული თუ არ ჰფენიათ
ჩემი გუთანი ჩემი სისხლი ჩემი კერია
შენს მიწას ნაშობს თუკი ოდითგან არა მშთენია

რაა სიკვდილიც ჩეჩნეთო ჩემო ოდეს წარმავალს
შენი ხატება თუ სადმე ქვეყნად შემომრჩენია

* * *

дистхилийша шу мукъане а тховса
жlаьлеш дац шу эхь а ма ду и-м
бакъо яц сан хlокху буса тхьовса
накъост вац сан и дlадийца кхин

суна гина къина кийра карччал
жимчу йоьlан бlаьргех даьлла хи
хlара буьйса хили lаьржа марчо
накъост вац сан и дlадийца кхин

суна хезна кlайчу говран терсар
Ломан басах йоьжна юьгуш и
хlара буьйса юьйхи бутт ца керчал
накъост вац сан и дlадийца кхин

дистхилийша шу мукъане а тховса
дистхилийша шу мукъане а цкъа
бакъо яц сан хlокху буса тхьовса
бакъо яц сан мерза гlенаш ган

1983

* * *

თქვით რამე თქვენ მაინც იყეფეთ ამაღამ
თქვით რამე გრცხვენოდეთ არა ხართ ძაღლები
არა მაქვს მე ძილის უფლება ამაღამ
არც ვინ მყავს რომ ვუთხრა ამ გულის ნადები

გული რომ დამდუღრდეს ცოდვით და ტკივილით
მინახავს გოგონას ნაცრემლი თვალები
გიშრისფერ სუდარით ღამე დგას მარტვილი
არვინ მყავს გავანდო ამ გულის ნადები

მსმენია მე თეთრი ტაიჭის ჭიხვინი
მთის სერზე გაკრული რომ მიჰყავთ ჭენებით
იქცევა ეს ღამე მთვარის ნელ რონინით
არვინ მყავს გავანდო ამ გულის ნადები

თქვით რამე თქვენ მაინც თქვით რამე ამაღამ
ამოთქვით თუნდ ერთხელ რაიმე ბგერები
არა მაქვს მე ძილის უფლება ამაღამ
არა ხამს რომ ვნახო ნეტარი სიზმრები

* * *

со цкъа а гина вац гӀаргӀулийн бӀаьргаш
со цкъа а хьаьжна вац гӀаргӀулийн бӀаьра
делахь ажут йина
Ӏаьржачу могӀаре хӀиттина
Даймохк а битина
уьш стиглахь къилбехьа йоьлхуш
дуьхьала-м хӀиттина
суна уьш
йоьлхуш

со цкъа а хьаьжна вац гӀаргӀулийн бӀаьра
делахь а хӀора а гӀаргӀулийн назмано
сан юьхь тӀехь хебарш-м дитина
хӀора а гӀаргӀулийн назманца
суна Даймохк дуьхьала-м хӀиттина
боьлхуш

1983

* * *

მე არასოდეს დამინახავს წეროს თვალები
მე არასოდეს ჩამიხედავს მათთვის თვალებში
მაგრამ გუნდებად
გიშერთ მწკრივებად
მშობლიურ მიწას გაყრილები
სამხრეთისკენ რომ მიფრინავდნენ
თვალთა წინ მედგნენ
მოქვითინე
მწარედ მოზარე

მე არასოდეს ჩამიხედავს წეროს თვალებში
თუმც კვნესად ქცეულ მათი ნაზმებით
სახეზე დამრჩა ღრმა ნაკვალევი
მე წეროების ყოველი ნაზმით
სამშობლო მიდგას მოქვითინე
მუდამჟამს თვალწინ

## ГУЬЙРЕ

дешнаш халкъан
мукъам сан ненан
дIаолу гIаргIулеша

1982

# შემოდგომა

ტექსტი ხალხური
მუსიკა დედის
ასრულებენ წეროები

## БУЬЙСА

жlаьлийн летар дашадо догlанаша
диттийн доlанаша йовзуьйту буьйсанан гlайгlа
цара екхна lуьйре йоьху
дерриге а мехаш шел а делла дlадийшина
мархаш паргlата ежа ламаройн кхаш тlехь
кораш набарна детта
готанна кlамделлачу ахархойн куьйгашна гlенаш го

1982

# ღამე

ნაგაზის ყეფას ასველებს წვიმა
ხეთა ვედრება ღამის კაეშანს ამხელს
როს მზიან დილას შესთხოვენ გამჩენს
ჩასძინებიათ გათოშილ ქარებს
მთიელთ სანახებს ნებივრადა სძოვს დრუბლების ჯოგი
თვლემენ სარკმლებიც ელულებათ ბჟუტია თვალნი
ხვნას დანატრულ ხელებს ესიზმრებათ ისევ გუთანი

* * *

нанас сахиллалца дов дора йоlана
нанас сахиллалца йоl чехайора
ткъа арахь доьлхура гуьйренан догlанаш
хетарехь цара а кхоам ца бора
дахкаро хьулдина дайначу седарчийн
урамехь кхерстачу цхьалхачу илланчин
ма кlезга дар-кха уьш: нахана хетаршший
цу нанна моьттуршший кху юьртахь хилларшший
ма кlезга дар-кха уьш доккхачу дагна
дуьххьара шен ирсах тешначу дагна
цlаьххьана са акха даьллачу дагна
луучу бlаьрхишца мохь тоьхна ала
сел къиза садетта нийцкъ боцуш кхи и

кlайн говр ю бехкениг кlайн говр ю нана
сирла са хиллалца терсийца и

1981

* * *

გათენებამდე უჯავრდებოდა დედა ქალიშვილს
გათენებამდე ეჩხუბებოდა დედა თავის შვილს
ყრუ შემოდგომის ნელი წვიმები გარეთ ტიროდნენ
თუმც შებრალებას მე როგორც ვფიქრობ სულ არ
ცდილობდნენ
ნისლში მიმალულ შორს გადაკაგულ იმ ვარსკვლავების
ქუჩიდან ქუჩას მოხეტიალე ეულ მომღერლის
რა მცირე იყო მისთვის ისინი: ხალხს რაც ეგონა
რაც მოხდა აულს ან რაც არ უნდა დედას ეღონა
რამ მცირე იყო ასე აღვსებულ დიდი გულისთვის
პირველ სიყვარულს მინდობილ და მორჩილ გულისთვის
უცებ ჯიუტად გარეთ გაწეულ იმ ნორჩ გულისთვის
რომ მობანავემ წამოიძახოს იმ ცრემლთა ზღვაში
გაწამებულმა მოთმინების უმეცარ ძალით

თეთრი რაშია დამნაშავე  დედაც თეთრი რაში
გათენაბამდე რომ ჭიხვინებდა ამ ჩვენს უბანში

* * *

сан Даймохк бац хьуна абата т1ера
виначу юьртара болалац и
сан Даймохк мотт сецна б1ешерийн кхера
сан Даймохк тарраш т1ехь лардина сий

ца оьшуш х1умма а тардина кхолла
ма ц1ена бакъ а ду-кх заманан аз
сан Даймохк 1аьршашка кхевдина х1оллам
сан Даймохк аренца къух даьлла барз

1981

* * *

ჩემი სამშობლო არ იწყება მხოლოდ ანბანით
ის არ იწყება არც მშობლიური ერთი აულით
ჩემი სამშობლო დამუნჯებული კლდეა წლებისა
ჩემი სამშობლო ღირსებაა ხმლებით დაცული

ჩვენ არ გვჭირდება მოგონილი მიმსგავსებული
ჭეშმარიტებას იღაღადებს ხმა დროებისა
ჩემი სამშობლო ცას მწვდომი ძეგლი გმირთა საფლავზე
ჩემი სამშობლო ეკალთ გვირგვინი ამა სოფლისა

* * *

гой шуна доттагӀий вайн наной къанлуш бу денна
хебарша кхелинчу яххьаш тӀе къоьжалла оьгу
хӀораннан вайн даг чу гӀайгӀане сахьийзар деъна
зама а сихъелла дӀайоьду некъ некъах тоьгуш.

гой шуна, доттагӀий вайн наной къонлуш бу денна
и нанойн дегнаш ду даккхийдеш кхуьучу кӀентех
хӀораммо теххийна ага а ца хилла-кх эрна
нахана дика дан кӀант хилча хӀора а цӀен тӀехь

хӀора де цхьа кӀайн чо хӀора де цхьа хазахетар
вайн нанойн баккхийбер кортош а кхелина къега
гой шуна доттагӀий наношна мел чӀогӀа оьшу
хилар шаьш баккхийбеш шайн кӀентийн дикане хоьжуш

1980

* * *

ხედავთ თვალდათვალ გვიბერდებიან ძმებო დედები
მათ სახეებზე დრო წირებს ავლებს თმას ვერცხლით
ღებავს
ჩვენი გულები შეუბოჭავს სევდის ღვედებით
თავად კი მიქრის გამალებული გზას გზაზე კერავს

ხედავთ დღეს როგორ ჭარმაგდებიან ძმებო დედები
ხედავთ მათ გულებს გაამაყებულთ ძე დევგმირებით
თურმე ამაოდ არ ურწევიათ შვილთა აკვნები
რადგან დღეს მამულს დარაჯობენ მათი ვაჟები

ყოველდღე მოსულ თითო ფიფქით თმა რომ თეთრდება
ჩვენი დედების ვერცხლის გვირგვინი ჩვენით ბრწყინდება
ხედავთ ჩვენს დედებს დღეს მეგობრებო როგორ
ვჭირდებით
ჩვენით ხარობენ და ამაყობენ ვაჟკაც შვილებით

# ХЬАБАХАХЬ ЯЗЙИНА БАЙТАШ

(ГУО Я ПОЭМА)

мохк а боцуш цхьа а хан а йоцуш цхьа а
хилларг билгалдаккха теш а воцуш цхьа а
кхета ваша воцуш къасто верас воцуш
г1уллакх нисло соьца йийца къайле йоцуш

х1усаманна реза йоцуш ц1евза не1 сан
кху дуьненна реза боцуш хьевза некъ сан
хьевза дог сан хьевза хьаьъна яьлла ойла
йилбаз=махах хьевзий дов сан вахар-1ойла

сан когашна метта бовлу керла когаш
сан б1аьргашна метта бовлу керла б1аьргаш
серладовлий сенло абадера кораш
карладовлий денло азаллера хьаьркаш

волало со т1аккха патар санна вегош
ц1оцкъамашлахь х1ара маьлха дуьне дегош
со д1авоьху аз ду угтаре а шийла
сан са доьху барз бу угтаре а тийна

сацо доза доцуш х1ара дуьне мел ду
т1ома волуш санна к1ентан болар пел ду
амма деза кир ду къоман лазам олург
хийла дагахь доцуш иза карлаболу

эзар гирда хуьлий и туьханан б1елиг
некхехь базло т1аккха саттош дег1ан хелиг
хьаланислур вац хьо дийна вехаш мел ву
къоьан лазам иза дагна хьийзон гел бу

## პაიბახისადმი

(ჭრა ან პოემა)

სამშობლო რომ არ აქვს და არცა დრო-ჟამი
არც მოწმე რომ არ ჰყავს ცხადად ჰყოს მომხდარი
არა ჰყავს მეურვე არცა ძმა ჩამხვდარი
ეს საქმე წილად მხვდა იდუმალს მომწყდარი

კარი მიწრიალებს ოჯახზე გამწყრალი
გზა-კვალი ამებნა საწუთროს მაშვრალი
გული და დამცხრალი ფიქრები ამიტყდნენ
ყოფა და ცხოვრება ექოს ხმად გამიხდნენ

ფეხთ ადგილს მეზრდება ახალი ფეხები
თვალთ ადგილს ამომდის ახალი თვალები
უკუნის სარკმელნი ცისფერად განათდნენ
შესაქმის ნიშანნი გაცოცხლდნენ განახლდნენ

მთრთოლვარე ვადგები გზას ამის მთხრობელი
წამწამთა წიაღში კრთის წუთისოფელი
ხმა მიხმობს და მიწვევს ცივი გამყინავი
სულსა მთხოვს სამარე ჩუმი გამქირდავი

ვითარცა გაფრენა ყრმის ხრბოლა გაბმული
უსაზღვრო რამ გახლავთ არ აქვს სადგური
და მუდამ კირთებად თან დასდევს ტკივილი
ის სულის დამძლევი საერო ტკივილი

მძიმდება ის ტვირთი გზად ათას ქვა-გირად
ხერხემალს მიზნექავს მედება მარილად
ამ ვარამს წოდებულს საერო ტკივილად
მუდმივად ვატარებ გულს გაყრილს მახვილად

кӀант пачхьалкха ваккха да вуьйш болчу нехан
мохк паргӀата баккха къам дуьйш болчу нехан
цхьа хьаьрк цхьа зирх мел ду умматаца дехаш
суна хьарамдо цуо маьрша дуьне эхарт

Ӏиндаг1а сих дегӀах къаьстар долчу дийнахь
чуьрта тӀехь хан-зама соцур йолчу дийнахь
къаста йиш а йоцуш сацо каш а доцуш
къоман лазам буьсу цхьа а чакхе йоцуш

хӀара дуьне реза дина ваьлла хир хьо
кхуьнан йоккха къайле гина ваьлла хир хьо
иза  реза бина уьнах воьрзур вац хьо
иза бӀаьрга гина коша воьрзур вац хьо

нанас лоьру духар кошан марчо санна
вашас лоьру хӀусам кошан лахьта санна
цунна лоьруш дош а долуш сица цӀийца
декъала а хилла доьрзур дац хьан дийцар

цӀийнах цӀарах ваьлла лело деза гӀиллакх
кошахь самаваьлла дийца деза гӀиллакх
дищ ца дайта соьга доьхуш жоппий цӀеттий
гӀотту къоман хаттар лаьхьа санна сетташ

цунна дала жоп а доцуш узам боцург
дагна даккха цӀет а доцуш лазам боцург
нана йийна кӀеза санна холчахӀуттий
со хьевзича суна бӀаьрла дуьхьалхӀуттий

сан да вийна луьра чӀирхо ву ша олий
сан къам дийна къиза Даджал ю ша олий
ду ша олий соьра даьлла стешха гӀалат
гӀотту массех корта болу Ӏаьржа гӀаларт

მთავრობას რომ ეყმონ მამისმკვლელ შვილების
მთავრობა რომ იხსნან ერის მკვლელ შვილების
თუნდ ერთ ზნეს თუნდ ერთ გენს ოდნავ თუ ვეხებით
არ გვმართებს სიცოცხლე არც კვდომა მით შვებით

როცა დრო შედგება ქვა-ფილას სამარის
სული თუ სხეული დაკარგავს თავისს ჩრდილს
გაყრა არ ეგების სადგომად საფლავი
დგას ერის ტკივილი უკურნი მტანჯავი

იქნება ვალმოხდილს ქვეყანა გიმადლის
მის ყოველ იდუმალს ცნობ სიგრძე-სიგანით
მაგრამ ამ ტკივილს ვერ არგებ სიმარჯვით
სამარეს ვერ მიხვალ გულსავსე სიამით

ვით წიაღს საფლავის ძმამკვდარი ბინად თვლის
და დედა სუდარას – სამოსს სამარისთვის
შენს სისხლშიც თუ მისთვის გათვლილი სიტყვა ზის
შენს სათქმელს ნეტარად ვერ აქცევ ვერა გზით

საქმეთა გულისთვის ხამს შთენა სახლ-კარის
ხამს მათზედ უზნობდე თავად კარს სამარის
რომ იგი მახსოვდეს მთხოვს პასუხს და მტრის მკლავს
საერო კითხვა დგას ტანს გველად იგრიხავს

პასუხად მე მხოლოდ გვემა და კვნესა მაქვს
თუ არა ღრმა ტკივილს ვერ მივცემ ვერც მტრის მკლავს
დედის მკვლელ ტლუ ლეკვის შავი დღე დამიდგა
დავრდომილს შუქმფენი თვალთა წინ დამიდგა

ამბობს ვარო მამაშენის ავი მკვლელი
ხალხთა მელეტი ანტიქრისტე ულმობელი
შეცდომა ვარ მხდალი შენგან დაშვებული
მრავალთავა აჩრდილი დგას შავცხებული

хьенан ву хьо дека цхьаъ бен доцу хаттар
Делан ву со цунна теш ду нохчийн латта
шаьлта буйнахь доlа дечу дена вина
сагlа буйнахь цlе луш ваха къобалвина

цlена дари дарна со вен кхел а йой ша
сан гергарчу улийн декъех тангlалкх йой ша
шен четара боккхий лаьхьа кховдабо цуо
шен коьртара боккхий чонах хулар йо цуо

шен цlийх дуьзна куьйгаш малхе кховдадо цуо
пхи са болу бlаьрг шен къиза карчабо цуо
ша кхиел кхочушъечу меттиган цlе йоккхий
тангlалкх коча уллий цуо со хьалха воккху

волало со тlаккха халла голаш егош
цlоцкъамашлахь гlийла lаьржа дуьне дегош
сан са доьху барз бу угтаре а тийна
сан цlе йоху аз ду угтаре а шийла

сан мацалла елла йиша ю ша олий
ненан кийрахь велла ваша ву ша олий
хьалха долу суна и аз шийла тевжий
юххе хlутту гlийла белаш тlе а тевжий

бlешерашкахь кийрахь кхаьбна луьра лаьхьа
lеттабина хан а хlутту суна тlаьхьа
дикчу ден цlе хуьлий хьалха долу дахар
сан куьг лоций юххе долу ненан сагlа

деган туьшахь къуьйлуш иэсеъ дийна мел дерг
бlаьрлагlашка дуьйлуш цlийца тийна мел дерг
бlаьрг къевлина хlара дуьне кхин ца гайта
воьдуш волчу суна го сайн кхелан майда

შენ ვისი ხარ ერთადერთი კითხვა გრგვინავს
მე ღვთისა ვარ ჩეჩენთ მიწა მოწმედ მომყავს
ძე ვარ მისი ვინც ილოცა ხელში ხანჯლით
რომ ვიცხოვრო ციურ მადლით ყაბულქმნილით

თქვა სიკვდილი განაჩენად გაქვს ამ აღთქმით
საზრჩობელას აგიკინძავ ძმათ გვამთაგან
უბიდან გველს ამოაძვრენს და მე მაწვდის
თავზე თმანი დაიპუტა ყულფს წნავს მათგან

მზისკენ იწვდის ხელებს სისხლით შეღებილებს
ხუთწახნაგა თვალს ულმობლად მიტრიალებს
განაჩენის სისრულეში მოსაყვანად
ყელზე ყულფით წინ მაგდებს და გზას მაყენებს

გზას მივყვები ერთიანად ანათრთოლი
წამწამთ მიღმა მიირხევა მთა თუ გორი
მე სულს რომ მთხოვს ის ბორცვია ყოვლად წყნარი
სახელსა მთხოვს ხმა ყინულის შესადარი

ამბობს და ვარ შენი შიმშილისგან მკვდარი
ამბობს ძმა ვარ დედაშენის წიაღს მკვდარი
წინ გამიძღვა ის ხმა ცივი მოთქმით გოდებს
გვერდში დგება მხარზე მიწყობს სევდის ლოდებს

საუკუნოდ შეხიზნული სხეულს შიგნით
საშიშ გველის დანთხევის დრო უკან მადგას
წინ ცხოვრება ვაჟკაც მამის სახედ მიძღვის
გვერდით დედის გაღებული წყალობა დგას

გულის წიაღს ვიცავ ხსოვნას რაც კი ცოცხლობს
ლანდად იქცა რაც ჩემს სისხლში მშვიდად ბუდობს
თვალებს ვნაბავ ქვეყნის ხილვას ვეღარ ვბედავ
გავრბი და გზად ჩემს სამსჯავრო ალაგს ვხედავ

пайхамарша дог1маш доьхур долчу дийнахь
умматана Элча воьлхур волчу дийнахь
х1оттор йолу 1арас-майда йиц ца йайта
х1оттайича санна хуьлу Кхиелан майда

Исрапилан зурма шолг1а екна яьлча
Элча везчу Деле уммат дехна ваьлча
жоьжаг1атан момсар екон йолчу озах
тера хуьлу кхиелан сацам буьйцу оза

когаш боцург веъна хилла олу соьга
куьйгаш доцчо дина хилла олу соьга
и ца хаза лергаш доцуш хила олу
и ца довза б1аьргаш боцуш хила олу

маттах хилла шад а бостур болу г1уллакх
дагах хилла т1улг а огур болу г1уллакх
дита олу соьга ирсе хила олу
сий а дитий уьнах ц1ена хила олу

соьга велха олу чаьлтанчанан синна
соьга товжа олу танг1алкханан къинна
нанна хьарам хилий сийлахь хила олу
дена ямарт хилий декъалхила олу

дайн даь1ахкаш йохккал говза хила олу
кошахь маша даккхал майра хила олу
да вийначух ваккхал эсал хила олу
цуьнан ненах ваккхал оьзда хила олу

сан бехк къастабина баьлла о гу соьга
кхиелам сацам хилла баьлла олу соьга
ваха веза олу вела веза олу
лай а хилла лаьттахь лела веза олу

დღე როდესაც სხეულს გთხოვენ მოციქულნი
როს თვის სამწყოს დაიტირებს ელჩი უფლის
იმ განკითხვის დღის სახსოვრად გარდუვალის
იყო თითქოს ის სამსჯავრო გამიზნული

ისრაფილის საყვირმა როს ორჯერ დაჰკრა
და ღვთის ელჩმა უფალს სამწყსო შეავედრა
გაჩაღებულ ჯოჯოხეთის კოცონის ხმას
დაემსგავსა განაჩენის მკითხველის ხმა

ფეხთ არ მქონე მოსულაო მეუბნება
უხელებომ ჩაიდინა მეუბნება
არ გესმოდეს ხამს რომ იყო ყურთ გარეშე
არ იხილო ამბობს იყავ თვალთ გარეშე

კვანძად შეკრულ ენის ამომდგმელი საქმე
ლოდად ნაქცევ გულის გამომწრთობი საქმე
მეუბნება მიატოვე ნეტარ იყავ
მიატოვე სინდისიც და მრთელი იყავ

ბრძანებს მოთქვი ამ ჯალათის სულისათვის
და იტირე სახრჩობელის გულისათვის
იყავ ქველი თუმც არამი დედისათვის
ბედნიერი და ვერაგი მამისათვის

იყავ ბრძენი შესძლო რომ ძვლებს ჰყიდდე მამის
მხნე რომ საფლავს გამოხადო ცხიმი ლამის
ამბობს იყავ მრუში მამაშენის მკვლელის
უნდა ძუძუ მოსწოვოო მისი დედის

მითხრა უკვე დავადგინეთ ბრალი შენი
ეს გახლავსო სასამართლოს განაჩენი
უნდა ქვეყნად იცხოვრო და გაიხარო
ვითხოვთ თავი მონის ბედს რომ აზიარო

сан да вийна луьра ч1ирхо ву ша олий
сан къам дийна къиза Даджал ю ша олий
ду ша олий мацах соьра даьлла г1алат
соь ладут1ий соцу сан кхиелахо-г1аларт

цунна дала жоп а доцуш наь1алт доцург
цуьнца къовса нийкъ а боцуш когаш боцурш
вада кхоллаелла ойла йохош т1аккха
хеза суна цуьнан шийла сардам баккхар

хьо хьалхара вац ас кхуза вала винарг
хьо т1аьххьара вац ас кхунах бала бинарг
х1ара ду хьан къоман малх чубуьзна латта
дезар ду хьан кхузахь х1оллам хилла латта

т1ома г1аттарх кхунах вала меттиг боцуш
лаьттаах воларх кхунах къаста амал доцуш
кху Хьайбахахь хилларг дийц ма лойла хьуна
цунах вала Дала нийкъ ма лойла хьуна

бераш догуш гина ду ша олу соьга
наной богуш гина ду ша олу соьга
ду ша олу иза кхочушдина лайна
Делан не1алт гина ду ша сибат дайна

ээар ойла ярх ша чакхе ца го бала
ээар нигат дарх ша баста ца ло бала
ээар тоба дарх ша къаста ца ло бала
суна лан а буьтуш д1адов 1аьржа г1аларт

стигланаш т1еязлуш хеза суна т1аккха
лекха лаьмнаш лахлуш хеза суна т1аккха
анайисташ гатлуш хеза суна т1аккха
дуьнет зама къарлуш хеза суна т1аккха

ამბობს შენი მოსისხლე ვარ მამის მკვლელი
ანტიქრისტე შენი ერის ვარ მე მკვლელი
ვარ შეცდომა დაშვებული ოდით შენგან
მსაჯულ აჩრდილს სურს პასუხი ახლა ჩემგან

მე პასუხი მისთვის არ მაქვს კრულვის გარდა
საპაექროდ ძალა არ მაქვს ჩემს ფეხთ გარდა
მოვლენის წამს მე მიქარწყლებს აზრს გაქცევის
კვალად უკან მისი ცივი წყევლა მესმის

შენ პირველი არ ხარ ვინც აქ მოვიყვანე
არ ხარ ბოლო ვისაც ტკივილს მივაყენებ
აქ მზე ჩაქრა სამუდამოდ შენი ერის
აქ მუდამჟამს ობელისკად დგომა გელის

რომც გაფრინდე ვერ განშორდე შენ ამ ადგილს
ხმელეთს სრბოლა არ გაძლევდეს იმედს გაყრის
ჰაიბახი დაივიწყო არასოდეს ვერასოდეს
ღმერთმა მის დარდს არ გაგყაროს არასოდეს

თქვა ვიხილე წაუკიდეს ჩვილებს ცეცხლი
დედებისგან დაშთენილი ვნახე ფერფლი
ის დღე ვრაცხე გარდმოვლენილ უფლის რისხვად
მოვითმინე იმ დღეს ყველა ცოდვის ხილვა

ათას ფიქრით აღთქმით მოურჩენელ ამ ჭირ-ვარამს
ათას ზრახვით კვანძგაუხსნელ ამ ჭირ-ვარამს
ათას ფიქრით გაურჩეველ ამ ჭირ-ვარამს
მიშთენს ლანდი თავად ქრება აღარა ჩანს

ჩამოზნექის ხმა მომესმა ცათა მაშინ
აფეთქების ხმა მომესმა მთათა მაშინ
ჰორიზონტის შეკუმშვის ხმა მესმა მაშინ
ჟამი ქვეყნად ვით მიყრუვდა მესმა მაშინ

* * *

суна ца хууш дерг хуий
з1ок етташ сан дог а дуий
сан мохь а къовлий шен м1арашна юккъехь
сан илли г1отту д1о херцаршна т1ера
ша т1амарх иес даккха кагбина букъ бен
сох х1ума ца дуьтуш лаза я кхера
цуо овкъарш кегайо т1емашца мох бетташ
цуо лаьмнаш дегадо аьрзунан мохь бетташ
Хьайбаха Хьайбаха Хьайбаха
догуш ду адамаш хьайбанаш
догуш ду до1анаш есанаш
догуш ду сан къоман деса каш
со г1атта тохало деккъа цхьа п1ендарш
со вада тохало еккъа цхьа гуолаш
вовшашна т1ете1ий д1ах1уьтту бердаш
гуо лоций д1ах1уьтту г1алартийн кхуоларш
Шу хьенан муьлаш ду олу ас т1аккха
Ма г1ерта олу ас со хьераваккха
Д1ахеца олу ас вита со ваха
г1аларташ тардала дуьйлало нахах

## Г1АЛАРТИЙН ХЬАЛХАРА ГУО
( Хьайбахахь багийначийн назма)

т1апа куйнаш дайрий шуна
гуо беш салтий байрий шуна
Эхартахь бен хир дац баьхна
Къийамат=де дайрий шуна

шийла цхьамза г1ортор йолуш
ц1ийза д1аьнцарг г1иллакх долуш
некъан баккхал суьлхьа долуш
къаной гулбеш байрий шуна

* * *

რაც არ ვიცოდი მაუწყა
ჩაკორტნა გული ნისკარტით
ჩემი კივილის კლანჭებში მწყვდევით
დასერავს ნანგრევებს ეს ლექსი ჩემი
შიშს ტკივილს რომ ვგრძნობდე დაამთენს ის ჩემგან
მხოლოდ ზურგის ტვინს მით ხსოვნის სადენად
ის ნაცარს მიაბნევს ფრთებით ქარს უბერავს
ის ქედებს მიარხევს არწივის ზნით სერავს
ჰაიბახი ჰაიბახი ჰაიბახი
იწვიან ცხოველნი და ხალხნი
იწვიან ვედრება ლოცვანი
სამშობლოს უგვამო საფლავი
ვცდილობ რომ წარმოვდგე დარჩენილ ნეკნებით ·
ვცდილობ რომ გავიქცე მონაშთენ მუხლებით
ჩამოდგნენ კლდეები ერთურთის მიბჯენით
წკვარამი აჩრდილნი წრიული დინებით
ვიკითხე მაშინვე თქვენ ვისი ვინა ხართ
რად ცდილობთ ჩემს შეშლას აქ რატომ რისთვის ხართ
გამიშვით მაცალეთ ვიცხოვრო მცირე ხანს
აჩრდილნი ხალხს მგვანნი გაუდგნენ წინა ხაზს

АЧРДИЛТА ПИРВЕЛИ ЧРЕ

აჩრდილთა პირველი წრე
(ჰაიბახში დამწვართა ნაზმი)

თუ გინახავთ ბრტყელ ქუდებით
ალყად მდგარი სალდათები
დღე განკითხვის ზესთასოფლის
მკვიდრი რომ ქმნეს ამა სოფლის

ცივ მახვილის გულს გამრჭობნი
გამჭოლ ტყვიის ზნეთა მბყრობნი
ნახეთ საგზლად კრიასლოსნით
მოხუცთ კრებდნენ ღვთის არმცნობნი

когадахар лайлахь долуш
меттан даар неlалт долуш
тоьпан биргlа зизам долуш
бераш гулдеш дайрий шуна

доруш тоьгуш марчо доцуш
доккхуш доькъуш сагlа доцуш
охкуш кечдеш лахьта доцуш
синош догуш дайрий шуна

къа лерина маршо езар
пхьа лерина Дела везар
шира Нашха нохчийн безам
цlергахь ягош яйрий шуна

## ГlАЛАРТИЙН ШОЗЛАГlА ГУО
(БАГОНЗА БИСИНЧИЙН НАЗМА)

lуьйренаш шу марша lойла
суьйренаш шу марша lойла
тхо дlадоьлху Дегlастана
сийна Сибрех марша lойла

малх схьакхеташ хилла Сибрех
малх чубузуш хилла Сибрех
лаьттан кийрахь кешнех хьоьгуш
тхан дай буьсу шийла Сибрех

малх схьакхеташ Даймохк бу тхан
малх чубузуш Даймохк бу тхан
сийсазйина кешнийн керташ
тхоьга кхойкхуш Даймохк бу тхан

доза доцу шуьйра Сибрех
чlагlо йоцу хийра Сибрех

ფეხს იდგამდნენ ჩვილნი თოვლში
პირველ სიტყვად კრულვა მოთქვეს
სათამაშოდ უქმნეს თოფნი
ნახეთ როგორ კრეფდნენ ნორჩებს

არც სუდარას არ კერავდნენ
არცა ქელეხს არ იხდიდნენ
არც სამარეთ არა სთხრიდნენ
ნახეთ ყველას ცოცხლად სწვავდნენ

ტრფობა თავისუფლებისა
და ღვთის შიში ცოდვად რაცხეს
ნაშხა სიტკბო ჩეჩნეთისა
ნახეთ ცეცხლში როგორ დასწვეს

ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ
(დაწვას გადარჩენილთა ნაზმი)

ჰეი განთიადნო მშვიდობით
თქვენ მწუხრის ჟამნო მშვიდობით
ჩვენს კავკასიას ვეყრებით
ცივ ციმბირს მივალთ ვშორდებით

ციმბირს მზე ჩადის ამოდის
გათვლილ წესით და წამებით
აქ დღესაც საფლავთ ნატრობენ
ჩვენთ წინაპართა გვამები

მამული გვაქვს მზეს რომ შესტრფის
მამული გვაქვს მზეს ეყრება
პარტაზ საფლავთ ხმები გვესმის
მშობელ მიწის კვნესა გვყვება

უსაზღვროდ დიდო ციმბირო
უპირო უცხო ციმბირო

хьуо елхийна миска наной
тхан д1аэцна шийла Сибрех

доза доьхна Даймохк бу тхан
ч1аг1о йоьхна Даймохк бу тхан
акхадевлла лаьмнаш херцаш
тхуна боьлхуш Даймохк бу тхан

тхо тхаьш лайнарг лайна девли
тхайна гинарг гина девли
Дела воцург накъост воцуш
х1окху хене тхо ма девли

лан йисина марзо ю тхан
ган дисина лаьмнаш ду тхан
Дег1астанан хьаннийн кийрахь
кхолла езаш маршо ю тхан

1уьйренаш шу оха йити
суьйренаш шу оха йити
кхин ца лела ч1аг1о йина
сийна Сибрех оха йити

ХЬАЛХАРЧУ Г1АЛАРТАН ДОШ
(ГОННА АРАХЬАРА НАЗМА)

цкъа мацах
паччахьийн г1иллакхаш харцдина
к1елвисна къена да бердах ца кхуссуш
тускар чохь хьулвина и эцна
лурвоьлла леллачу к1антах тәрвелла
дуьненах къаьхкина
бевзарех безарех ваьлла
хьо эцна лийли со
сан беза сан шира бала

ჩვენს მწირ მოზარე დედათა
შთანთქმელო ცივო ციმბირო

ზღვრებ ნაქცევი გვაქვს მამული
ბურჯნარღვევი დატანჯული
უპატრონო მთათა რყევით
ჩვენზე მოთქვამს ოხვრით გვემით

განსაცდელის მოვრჩით განცდას
ვნახეთ ბედის განჩინება
უფლის გარდა შემწე არ გვყავს
ამ დღის გვმართებს მოთმინება

კიდევ მოგვრჩა ხასო ბედის
ბარი მთები მისახედი
თავისუფალ კავკასიას
გვსურს აღვუნთოთ კვლავ იმედი

განთიადნო გტოვებთ მივალთ
მწუხრის ჟამნო თქვენც გშორდებით
ფიცს ვდებთ ასე აღარ ვივლით
ციმბირს ვტოვებთ გზას ვადგებით

## პირველი აჩრდილის სიტყვა
(წრის პირველი ნაზმი)

ვით ოდეს
მეფეთა წეს-კანონთ დარღვევით
მამა მოხუცი(უძლური) კლდეთ არ ჩაჩეხა
გოდორში ჩასვა ასე დამალა
ფარული ხრბოლით ზურგით ატარა
საწუთროს გაყრილი
გაყრილი ნათესავს მოყვასს
მეც ასე გატარებ
ჩემს მძიმე ძველთაძველ ვარამს

да=нанас бераца мекарло леллол
шалхоне йирзинчу заманан гуонехь
хьак цlарца декхаро дог цхьалхадаьккхина
хеназа верас а хилла
десачу агана деллачу беран са санна
дог=ойла жималле лесташ
хьо эцна лийли со
сан беза сан шира бала

шен вешин багара вашас лан даккхал
саьхьарчу дуьненан къизачу гуонехь
рицкъанна юкъ йостуш къонахий баьржачохь
хьан берийн жимха а хилла
диццина паргlата пхьоьхана валар
син дегlан мостагlа хилла
хьо эцна лийли со
сан беза сан шира бала

меллаша лерина лазорна кхоьруш
хlоккхузахь хьо охьабиллина
чурт санна цкъа хьуна дуьхьала хlоьттина
цкъа сайна хьо бlаьрга гина
къастадан воллу со
хьох ваьлча хlун ю и
вина мохк дайн хlусам олург
сан беза сан шира бал

## ШОЗЛАГlЧУ ГlАЛАРТАН ДОШ
(ГУОННА АРАХЬАРА УЗАМ)

дихкина маршонан тlемаш
дуьненан пачхаьхьаш гlемаш
ишта ду=кх дахар хьан бакъдерг
хьан цlарна цlе яхна бакъдерг

და რომ მშობელი თავის შვილს უმზაკვრებს
იმდენად ორპირად მოქცეულ დროებას
შენი სახელით ვალი გულს მინათებს
უდროოდ მეურვედ მაქცევს
ვით ჩვილის სული დალეული ცარიელ აკვანს
პატრობისკენ ფიქრნი მიწევს
და ასე გატარებ
ამ მძიმე ძველთაძველ ვარამს

ძმა ძმას პირიდან ლუკმას რომ სტაცებს
ულმობელ წრეში ხარბ საწუთროსი
როს ვაჟკაცთ ქონებას ხმალ-თოფი შესწირეს
ვიქეც შენს ძეთაგან უმცროსი[1]
ვივიწყებ ლაღ-ნება საფიხვნოს სიარულს
ვექეც მტრად სულსა და სხეულს
მე ასე გატარებ
ჩემს მძიმე ძველ ურვას გრძნეულს

ფრთხილად ნელ-ნელა რომ არ გატკინო
ამ ადგილს მიწაზედ დაგდებ
სამარის ქვასავით უნდა წინ დაგიდგე
თვალებში ჩაგხედო იქნებ
მინდა რომ გავიგო
შენ თუ მოგიკვეთ რა არის იგი
სამშობლო ამ სულის სუნთქვა
ეს ჩემი მძიმე ძირძველი ურვა

1. უმცროს ვაჟიშვილს, უმცროს ძმას და საერთოდ უმცროსს, ვაინახურ ადათწესების მიხედვით, ყველაზე უფრო მეტი ვალდებულება ეკისრება: უმცროსი ვაჟიშვილი ვალდებულია მოუაროს მოხუც მშობლებს, უმცროსი ძმა სიკვდილამდე ემსახურება უფროს ძმას და ა. შ.

аьрру белш язъелла йогlу
дог уьнах тарделла догlу
багахь туй лекъначу суна
го дlавшах юьззина гlунаш

деллачу маликийн бlаьргаш
санна гуш азаллин хьаьркаш
со мича дlакхача гlерта
йохаеш гамонан керташ

да=нана доккха ца дийрриг
лулахо реза ца вийрриг
хаьржжина некъ хуьлуш хилча
со мича кхочур ву мича

анайист хьаьхначу дийнахь
дагна лош хьаьхначу дийнахь
ас мича хьо хlара бала
Дала ца базбина бала

чаьлтанчех иллеш а дохуш
кешнашкахь ирзош а дохуш
кхоьллинчу серлоно вагош
лайна ас заманан бlагор

диккина маршонан тlемаш
дуьненан паччахьаш гlемаш
ишта ду=кх дахар хьан бакъдерг
хьан цlарна цlе яхна бакъдерг

ТlАЬХХЬАРЧУ ГlАЛАРТАН ДОШ

керт йоцуш ков дина
пен боцуш тхов бина
дуьненан гlоьнжагlехь
ас хlусам кхоьллира

## მეორე აჩრდილის სიტყვა
(წრის გარე ნაზმი)

თავისუფლების შეკრული ფრთები
მეფენი ქვეყნად ზეჯადოქრები
ეს არს ცხოვრებავ სიმართლე შენი
სახელგანთქმული სიმართლე ქვეყნის

მძიმედ მომყვება მარცხენა მხარი
არც გული მიძგერს ძარღვებ გამხმარი
პირში მაქვს ნერწყვი კვალად გამშრალი
და ჭები დგანან შხამით მაძღარნი

მსგავსად გარდაცვლილ ანგელოზთ თვალთა
ხილვით შესაქმის ნიშანთა ძვრათა
ნეტავ გაღწევას ვაპირებ სადა
ნგრევით ხიზლის და სიავის კართა

ვისით მშობლებიც ვერ ამაყობენ
ვერც მეზობლები ვერც ახლობლები
ნარჩევი  გზაც თუ მათებრ მექცევა
მე სად გავაღწევ  ამ უნდო გზებით

როს ცის კამარა გწყინდება მოვის
ამ დღეს როს გული წვრილდება თოვლით
სად მივათრიო ეს ჩემი ურვა
უკურთხებელი უფლისგან ჭმუნვა

ცრუ სიმღერების ჯალათზე შეთხზვით
სასაფლაოზე ახოთა კაფვით
წვით გვემით შუქზე მკთალი სინათლის
სულ გამოვცადე თავბრუ დრო-ჟამის

თავისუფლება შეკრული ფრთებით
მმართველნი ქვეყნის ზეჯადოქრები
ცხოვრებავ ეს არს სიმართლე შენი
სახელგანთქმული სიმართლე შენი

керча яй оьллина
коча ч1иж оьллина
ойлане велира
со корта оьллина

гуттара дара сан
ков доьллий латтадеш
утарма яра сан
куьйга тхов латтабеш
тийналла яра сан
деган пхьор латтадеш
йо1-цхьалла яра сан
метта-мотт латтабеш

мостаг1а вог1ура
сан х1усам къастайой
доттаг1а вог1ура
сан х1усам хастайой
дарвелла вог1ура
воьдура хьасталой
со цхьалха вуьсура
деган шад басталой

диначех ламаз сан
кхочуш ца хуьлура
кхаьбначех марха а
къобал ца хуьлура
къийлинарг кхийринарг
бала ца хуьлура
лийринарг кхийлинарг
аьтто ца хуьлура

Дала ша дебадан
кхобург сан дацара

## ბოლო აჩრდილის სიტყვა

უჭიშკრო გალავნით
უკედლო ჭერ-სხვენით
ქვეყნის გზათ გასაყარს
ოჯახი შევქმენი
ძელზე ქვაბს ვკიდებდი
ავგაროზს კისერზე
თავს მძიმედ ვკიდებდი
დაგეშილს ფიქრებზე

მუდმივად მედგა მე
ჭიშკარი გახსნილი
საყრდენად მქონდა მე
ხელი ჭერს გაყრილი
სიმშვიდე სუფევდა
გულს ვახშმად გაშლილი
ქალი-მარტოობა
გულს საბნად გაშლილი

მტარვალი მოსული
ჩემს ოჯახს არჩევდა
მოყვასი მოსული
ჩემს ოჯახს აქებდა
ნაღველით მოსული
ნეტარი ხდებოდა
ვრჩებოდი ეული
გულს კვანძი ქრებოდა

აღვლენილ ჩემს ლოცვებს
არ აჩნდათ სრულყოფა
შენახულ ჩემს მარხვებს
არ ჰქონდათ შენდობა
ნატანჯი ნაძრწოლი
გულს ურვად არ ექნა

я кхашкахь хьекъадан
дуьйриг а дацара
доьзалца тоян сан
чоьхье а яцара
нахаца тоян сан
аре а яцара

хела йоl-йиша а
йоьдуш чухlуттура
бидо воl-ваша а
вогlуш чухlуттура
олучо олура
lуттучо lуттура
цунах а башха со
холча ца хlуттура

генара гергара
яьlна хан терсара
дагах чекх лаьхьанех
гlайгlанаш шершара
боданехь серлонехь
бесачу кхерчара
бlаьрлагlаш гlиттаеш
сих мехаш хьерчара

тlехь дисна лаьттан бакъ
догlура тхьуьйсура
доьдура ца соцуш
ша шега луьйчуьра
дуьненан аьзнаш а
тхов кlела хуьйшура
олхазарш санна уьш
когаш тlехь тхьуьйсура

იმედი აღთქმული
ბედ-იღბლად არ მექცა

უფლისგან სამრავლად
არ მყავდა ცხვარ-ძროხა
ყანას რომ ეხარა
თესლიც კი არ მქონდა
საამოდ ოჯახთან
ბინა არ მებადა
სამოყვროდ ჩემს ხალხთან
არც არე მებადა
მრუში და თუ ასული
ხანდახან მსტუმრობდა
ძმა თუ ძე უნდილი
გზად შემომივლიდა
მოუბნე უბნობდა
მკილავი მკილავდა
არცა მთლად მის გამო
მეც დარდი არ მკლავდა

ახლოს თუ შორიდან
ხანი ჭიხვინებდა
გველივით გულს შიგან
სევდა სრიალებდა
შუქზე თუ წყვდიადში
ქარნი ხულს ეკვროდნენ
ცარიელ ბუხარში
აჩრდილებს უხმობდნენ

ნაშთენი სიმართლე
მოსვლისას მითვლემდა
წასვლისას თვის თავთან
უწყვეტად უბნობდა
საწუთროს პგერები
ჭერხოში სხდებოდნენ

сан хьаша хуьлура
хийла ву аьлла верг
декъала хилла верг
дакъаза ваьлла верг
диххинчу куьйгашца
дуьненчу ваьлла верг
биххинчу когашца
некъ бина ваьлла верг

доIанаш-м дора ас
деха хьакъ воццушехь
нигаташ-м дора ас
нийса бакъ воццушехь
тIекаро ца хуьлуш
куьг куьйге кхоччушехь
сатийсам бовра сан
неIаре кхоччучохь

Элчанан шапаIат
лелачу новкъара
устазийн марзонаш
лелачу новкъара
дийцарш=м схьакхочура
цхьалхачу хIусаме
уьш довлий доьлхура
Iеса дог дузале

лаьттара гIоттучу
зуламна бIарзвелла
стиглара вуссучу
баланна къарвелла
Iуьйренна къарвелла
суьйренна къарвелла
со ишта вехира
халбатах тарвелла

ვითარცა ჩიტები
ძილს მდგომნი ხვდებოდნენ

და მყავდა სტუმარიც
ჟამს კაცად ნაქები
რომ იყო ნეტარი
აწ მცირედ ნაქცევი
შეკრული ხელებით
ამ ქვეყნად მოსული
შეკრული ფეხებით
შორი გზით მოსული

ღმერთს ვევედრებოდი
არ მქონდა თუმც პირი
აღთქმასაც კვლავ ვდებდი
სიმართლის უბირი
ხელის ხელს წვდომისას
ქრებოდა კავშირი
უკვე კარს მომდგარსა
მტოვებდა წადილი

მოციქულთ თანდგომა
რომ დადის იმ გზიდან
წმინდანთა სიქველე
რომ დადის იმ გზიდან
სიტყვანი აღწევდნენ
მარტოსულ ჩემს სახლ-კარს
ისინიც მტოვებდნენ
მათ მადლით არ გამძღარს

მიწიდან აღმომხდარ
ავით დავრდომილი
იქ ციდან მოვლენილ
კაეშანს მორჩილი
განთიადს მორჩილი
საღამოს მორჩილი

амма цкъа тийналлин
раж йохош бlаьрла ган
йиш йолуш йоьссира
цхьа нуьре бlаьрлагlа
и деган дозанехь
сецира егаеш
къамеле елира
боданна эгаеш

схьавало элира
хьуна тlехь гlуда ду
дайн весет диццина
вехаш верг къутlа ду
схьалахьо деза ахь
азаллин гlиллакхаш
схьагулдан деза ахь
хьайн дайн мел хилла каш

мохь бу ша элира
Шемера некъ бина
мох бу ша элира
Пирдовзан неl гина
хьаьрчина тlулг хуьлуш
бижа дог лехна ша
нийсонан дуй хуьлуш
биса дош лехна ша

элира ширачу
тукхамийн лар ю ша
ченан кlур хиллачу
гlаланийн гlар ю ша
тlепаза дайначу
тептарийн дош ду ша
дуьненан эхартан
юкъара бос бу ша

მე ასე ვცხოვრობდი
ვითარც განდევგილი

ერთხელაც სიწყნარის
წეს-კანონთ დარღვევით
ლანდი სხივოსანი
დაეშვა შუქთ ფრქვევით
ის გულის საზღვართან
დამიდგა ცახცახით
სიტყვები წარმოსთქვა
ბინდში ხმის კანკალით

მიბრძანა გამომყევ
ვალი გაქვს საზღელი
ვინც მამათ ანდერძებს
არ მისდევს არს მტრელი
აკრიფე ძირძველი
შესაქმის საქმენი
ერთად ჰყავ წინაპართ
საფლავნი ყოველნი

მითხრა ვარ ძახილი
შამიდან მოველ გზას
ქარი ვარ გაშლილი
ფირდოუსს მდგარი კარს
გული ქვად ქცეული
ვიპოვე სარეცლად
და სიტყვა რჩეული
რომ დარჩეს საფიცრად

ნაშთი და კვალი ვარ
ძველი გვარ-ტომების
ექო ვარ მტვრის ბუდად
ნაქცევი კოშკების

ворхӀалгӀа лаьттан бух
ша бӀаьрга гина ду
элира Ӏаьршан бохь
ша тергалбина бу
ша бӀаьрга гина ду
даьӀахкийн гӀаланаш
Ӏапказан тулгӀенех
берд лоьху баланаш

азаллехь дуйна схьа
къизаллин къовкъаршлахь
даьгначу адамийн
даьӀахкийн овкъаршлахь
элира ша кхерста
дезна ду балане
цунна бан бекхам бац
Махьшарехь Дала бен

ладогӀал элира
дозанаш херцаш ду
паччахьех заманан
гӀуданаш хьерчаш ду
халкъаша ламасташ
юха а хоьрцуш ду
адамийн дегнашка
Дала бакъ хьоьрсуш ду

гой хьуна элира
маршонан бӀаьрлагӀаш
лаьтта тӀехь юха а
гӀуьттуш ю кӀарлагӀаш
гӀуьттуш ду дегнашкахь
дийшина хаьштигаш

სიტყვა ვარ უკვალოდ
დაკარგულ დავთრების
ფერ-ზღვარი საწუთროს
და ზესთასოფელის

მეშვიდე შრე მიწის
ნანახი მაქვს თვალით
ცის თაღის მწვერვალის
მიწევდა თვალთვალი
მიხილავს კლდე-ღრეში
კოშკნი ძვალთ კედელნი
ოკეანთ ტალღებში
დარდნი კლდის მძებნელნი

შესაქმის ჟამიდან
ტანჯვა-წვის ქუხილში
ადამის ნაშიერთ
ძვალ-რბილთა ნაცარში
მიწევდა სვლა-სრბოლა
სევდით და გარამით
განსჯის მას ვერავინ
თვინიერ ალაჰის

და მითხრა მისმინე
საზღვარნი ირღვევა
მეფეთა დროებას
ცოდვისთვის ეზღვევა
ხალხებს წეს-ადათნი
კვლავ და კვლავ ეცვლებათ
უფლისგან მათ გულებს
სიმართლე ეფრქვევათ

იქ თავისუფლების
შეხედე აჩრდილებს

гӀуьттуш ду доӀанех
дуьйсина маьждигаш

дуьне ду элира
къинош даьккхина
бехк боцуш мел виййнарг
къинтӀера ваьккхина
цӀе йоцуш мел дайна
каш билгалдаьккхина
даьлчий бен туьйр доцуш
маьрша садаьккхина

элира бакъ ду ша
кхехьна дерг хӀинцалца
нахана даима
го иза цинцашца
лаьттахь и билгалдеш
бӀе эзар хилам бу
бух вешин ваша вен
бакъо ца хилар бу

элира цхьа а вац
и дагчохь къийланза
и дохош тукхамийн
хӀу дайна хийлаза
и дохош пачхьалкхаш
херцаш ша гина ду
паччахьаш шайн цӀийла
керчаш ша гина ду

элира заманехь
декъаза декъала
хууш я ца хууш
хьере я хьекъале

მიწიდან აღმომხდარ
მაწყევარ კარლაღებს[2]
გულებში ანთებულ
უწინ მქრალ ჩირაღდნებს
და აღმდგარ მეჩეთებს
ლოცვებში ნავედრებს

მითხრა რომ ქვეყანა
სავსეა ცოდვებით
უმწიკვლოდ მოკლულთგან
ნათხოვარ შენდობით
ეძებენ უცნობთა
საფლავთა სახელებს
სიკვდილთან შეხებით
ლეგენდად ნაქცევებს

მიმართლებს რითაც მე
ამ დღემდე გზას მოველ
და ხალხიც ხედავს მის
ასოს თუ წვეთს ყოველს
მიწაზედ ათასი
მოვლენით მტკიცდება
არსში დევს ძმას ძმის კვლის
რომ არ აქვს უფლება

ამ კანონს გულებში
ტკივილით იმყნობდნენ
მის რღვევით გვარ-ტომნი
უკვალოდ ქრებოდნენ
მის რღვევით სამეფოთ

2 კარლაღები - ვაინახებში ტრადიციულად გამყიდველ, მაბეზღარ ადამიანის სახელზე ერთ ადგილს მოინიშნავდნენ და იქ ყოველი გამვლელ-გამომვლელი წყევლით ქვებს ისროდა. ამ ადგილზე აღმართული ქვების გორას „კარლაღი" ეწოდებოდა.

хийла т1екхийцина
бакъ ду ша дуьйцуш дерг
къизалло къийцина
бакъ ду ша дуьйцуш дерг

къизалла ю хьуна
азалла харцйинарг
элира иза ю
абаде яцйинарг
Дала ша кхоьллича
дуйна схьа адамо
мел дина дика доь
цхьана ц1ийн т1адамо

хьан дайшна хийла харц
кхиел еш ша гина ду
элира церан некъ
ша тергалбина бу
дуьненахь Дала и
кхоьлличахьана схьа
ког биллал меттиг яц
церан ц1ий 1аназа

ц1армата т1емалой
ахь уьш ма ларалахь
х1ора а авлия
хилла ву царалахь
элира сил дукха
уьш серло езна бу
бода ца толийта
уьш къийса дезна бу

маршонан мах бевзаш
уьш курра баьхна бу

დაქცევაც მინახავს
თვის სისხლში მეფეთა
ფართხალიც მიხილავს

მითხრა რომ ჟამთ გასწვრივ
უიღბლოდ თუ ბედით
ცოდნით თუ არცოდნით
ჭკუით თუ სიშლეგით
ნაგვემს თუმც მუდამ მზნეს
ვღაღადებ სიმართლეს
ბრძოლაში წაგებულ
წამებულ სიმართლეს

არ სცნო სისასტიკემ
გზანი დასაბამის
ის არის ვინც მოსრა
დღენი მარადჟამის
ჩაფარცხავს იმ ყოველ
ჩადენილ სიქველეს
თუ მიწა თუნდაც ერთ
სისხლის წვეთს იგემებს

წინაპართ შენთათვის
ცრუ მსჯავრი მინახავს
მათი გზა საქმისთვის
მე ხშირად მიზვერავს
სამყაროს შექმნიდან
მათ ბრძოლა ეწერათ
მიწის გოჯს ვერ ნახავთ
სისხლით არ მოერწყათ

ისინი არ იყვნენ
მებრძოლნი ჯაბანნი
წმინდანებს ბოჭგავდა
ყოველი მათგანი

шайх кхета ца туьгу
дуьне цецдаьхна бу
оьздалла хьекъаян
латтанаш аьхна бу
элира 1аьршашка
некъаш уьш даьхна бу

майралла яц хьуна
хьан дайша къийсинарг
ваша воь беххам бац
цара сатийсинарг
дуьненан маршо ю
шен дуьхьа уьш эгнарг
Делан нур=нийсо ю
кошахь а уьш хьегнарг

дуьхьала мел кхеттарг
мостаг1а хуьлучохь
шайн ваша мел хеттарг
боданехь туьлучохь
элира Шемера
Хьайбаха кхаччалца
седарчех эгна уьш
са=серло кхачонза

элира г1азотехь
ву х1ора воьжна верг
са=оьзда хиларна
балане оьзна верг
шен деган терзанахь
цкъа дуьне оьзна верг
цуьнан мах бовзарца
· Делан бакъ дезна верг

მეტად თვის სულებზეც
უყვარდათ სინათლე
იმარჯვეს წყვდიადზე
აზარეს სიმართლე

ნების ფასს უწყოდნენ
ამაყად იცხოვრეს
მათთვის არ შემსმენი
ქვეყანა ანცვიფრეს
სიწმინდის გულისთვის
ზღვა მიწა გადაზნეს
ცათა საუფლოსკენ
ბილიკნი გაკვალეს

ფუჭ სახელისთვის
მათ არ უბრძოლიათ
ძმის კვლით შურისგება
არასდროს უცდიათ
თავისუფლებისთვის
ქვეყნისთვის დაეცნენ
სამართალს ღვთიურ შუქს
საფლავშიც ნატრობენ

ყოველი შემხვედრი
მტრობას როს ცდილობდა
როს ვინც ძმა ეგონათ
ბინდში გზას ცდებოდა
შამიდან ჰაიბახს
გზად შუქად გადიქცნენ
უთვალავ ვარსკვლავად
ზეცაში განიბნენ

მითხრა ვინც დაეცა
ჰაზავათს ეწამა
ის არის ვინც თავად

оьздаллин х1у дебо
Дала хьо кхоьллина
элира са дебо
Дала хьо кхоьллина
хьайн дайшна Дала цкъа
еллачу къайленех
хьуо ваккха г1ертачийн
ахь юьхь ма к1айелахь

иманах ца вохар
Дала хьоь кхийлина
ахь иза диццарна
ша ч1ог1а кхийрина
элира цкъа х1окху
Хьайбаха т1ера д1а
х1уьттур ду азалле
некъ гойту зераташ

и стигла мехкан тхов
бац хьуна элира
Хьайбаха къоман чов
яц хьуна элира
дуьненан чов ю и
умматан эхь ду и
г1уданах массо а
заманна т1ехь ду и

Аллах1у 1алам цуо
элира т1аьххьара
лаьмнаша цуьнан аз
айдира т1аьхьара
мохь хилла къорачу
бердашца хьевзинв
мох хилла яйра и
сан дагчохь тхьевсина

სხვათა დარდს ეწამა
ვინც გულის სასწორით
ქვეყანა დასწონა
და მისი შეცნობით
უფლის მსჯავრს ემონა

ღმერთმა გშვა ანათლ
გზა კეთილშობილთა
ღმერთმა გშვა ახარო
გულნი ღვთისმოშიშთა
ანანე თუ ვინმე
ცდილობს შენს შეცდენას
წინაპართ გზებიდან
მზაკვრულად აცდენას

უფლისგან გებარა
რწმენა არ წაგიხდეს
მე ძლიერ ვშიშობდი
ეს არ დაგავიწყდეს
ოდესმე ჰაიბახს
გზად დასაბამისკენ
წმინდანთა ტაძრები
გზას გაუკვალავენ

ეს ცა ამ ქვეყნის
არ გახლავს ჭერი
არც ჰაიბახია
იარა ერის
სამყაროს იარაა
წარწყმედა რწმენის
და ყველა დროებას
სასჯელად რომ ეთქმის

„ღმერთი უწყის ყოველს“
ეს იყო ბოლოთქმა

со ишта Хьайбахан
кхаъ даге кхаьчна ву
дуъххьара кху метта
зерате кхаьчна ву
гучунна гуш ву со
хезаш верг везаш ву
девзинарг нахе д1а
кхачадан дезаш ву

ДЕРЗОРАН БАЙТАШ

даше мотт кхобуш сан синметтехь дижина бакъдерг
со цкъа а гина вац и х1инца санна сел эсала
цуо дуьне марздина х1ора сан син=дег1ан хьесана
ас х1инца диццина цкъа а ша диц ца дан хьакъдерг
маццa а д1аваха дезар
уггаре а сийлахь дезар

со волуш хилар бен кхин хинцерг хила йиш хилча
тахана доцуш ду боцуш бу кхин цхьа а иэшам
сан са ду кху лаьттан х1ора а т1улг ц1уббан кийча
шенна садоь1у д1о малхо а дуьнене хьиэжар
йовхонна лерина доцуш
серлонан къайлене кхочуш

сан хьалавалар а т1емаша ойла ца ечу
хенах д1акъаьстинчу сан некъан тамаша беца
похьмалле ваьлла со хьаьркаша дола ца дечу
б1аьргаша дов дечу шаьш баго леринчу деца
аз колладалале лерса а кхача гучу
1ожаллех коьртара чо а ца бачалучу

со санна хилла хир=кх цкъа мацахлерачу суьртехь
назманан мукъамехь тиххина ламанан тарха

მაღლა აიტაცეს
შორს მთებმა მისი ხმა
ძახილად ქცეული
კლდეებს ყრუდ განემხო
ქარად იქცა გაქრა
გულს თვლემად დაეგო

მეც ჰაიბახის
ცოდვა გულს მწვავია
პირველად ამ ადგილთ
მოლოცვა მეწია
ვისაც სურს მე მხედავს
ყურს მიგდებს მსმენელი
რაც ვნახე უნდა ხალხს
ვაუწყო ყოველი

## ბოლო სტრიქონები

უმძრახად დაეშვა სიმართლე ამ სულის საუფლოს
არასდროს მენახა მე იგი ესოდენ მშვიდი
სულის სხეულის ყოველ ძარღვს დაუტკბო საწუთრო
ვივიწყებ ეხლა მას რაც არაა დავიწყების ღირსი
იმ ყოვლად ღირსეულ საქმეს
რომ უნდა წავიდე ოდეს

თვინიერ ჩემი არსობის სხვაც რომ იყოს შესაძლებელი
დღეს ის არ არის არცა სხვა კლავ ჩვენთვის მარცხის
მომგვრელი
ეს სული მზადაა ალოკოს ამ მიწის კენჭი ყოველი
სუნთქავს მზეც აგერ თავისთვის თუმც მზერა ქვეყნის
მპყრობელი

არ გამიზნულა სითბოსთვის
ჩანს მხოლოდ შუქის ცნობისთვის

лаьттан хьу евзина бегабо ялтанан буьртиг
1аьршийн хьу евзина з1аьнарша егайо марха
1ожалле мел г1оьрти некъ беха гуш ган
яь1ни т1ехь къа доцчу адаман сужда

х1ора сан т1амарца г1уьттуш ю абаден алу
х1ора сан хоттарехь лелаш ю азаллин шело
кхин цхьа а нийкъ бац со хиллачу хьесапе вало
кхин цхьа а зовкх дац со хиллачу хьесапехь вело
кхин цхьа а г1ело яц со юха карзаха ваккха
кхин цхьа а к1ело яц соьгара маршо д1аяккха

наха мел кхоьллинчу харцонал тоьлла букъ берзош
ас метта буьххье сайн гуллина б1ешерийн хьекъал
парг1ата довлуьйтуш со вен мел лерина герзаш
ас кераюккъехь сайн гулдина дуьненан некъаш
сайна мел кечдина буржалш ас парг1ата дехи
сайна мел аьхкина кешнаш ас къинт1ера дехи

Шемера дуйна ас Кавказе кхаччалца некъ беш
до1анехь массо а мотт кхачабаллаца ехначу
ас Дади-юьртара Хьайбаха кхаччалца некъ беш
къийсамехь массо а лам кхачабаллаца лехначу
маршонан суй карлабаьлла
со х1окху лакхене ваьлла

1989

ჩემი აღმასვლა სადაც ფრთები არ აზროვნებენ
საოცრებაა დროს განაყარი ამ ჩემი გზისა
სიმაღლეს ვაღწევ სადაც ნიშანნი ვერ ხმოვანებენ
დაჩაგვრის ცდისთვის თვალნი ძრაზავენ პატრონს
თავისას
ბგერის მოვლენამდე სმენა ილევა სადაც
ჟამი თუ დადგა თმას ვერ ივარცხნი იქაც

ჩემებრ თუ იყო ალბათ ერთხელ ოდინდელ სურათს
ნაზმთა ჰანგებში დარწეული კლდე მაღალ მთისა
მიწის წყლულთა ცნობით ცახცახებს მარცვალი ხორბლის
ზეცის წყლულ ნანას სხივებისგან კრთის ქულა
ღრუბლისა
ჟამის დადგომით გზა უგრძელდება ვისაც
და ლოცვა მისი ქედზედ ცოდვა არ უდევს ვისაც

ტვინის ყოველ უჯრედს ასდის ალი მარადისობის
ყოველ საზსარში მივლის სიცივე დასაბამისა
არ არის ძალა წარსულ ფიქრებს რომ დამაბრუნოს
არც ნეტარება ჩემს ამ ფიქრებით გალაღებისა
არ ვხედავ ძალას დამაკარგვინოს მე მოთმინება
ვერც ჩასაფრებულთ ძალით წამართვან თავისუფლება

დღეს ზურგს შევაქცევ უსამართლობას შესაქმეს ხალხის
მით დავიგროვე ენის წვერზე სიბრძნე წლებისა
მკლავებში ვიქცევ უკიდეგანო გზებს წუთისოფლის
ჩემსკენ მოშვერილ ყველა იარაღს დავცემ მტრებისას
ვათავისუფლებ ყველა ბორკილს ჩემთვის განამზადს
შემოვირიგებ ყველა საფლავს ჩემთვის განათხარს

გზათა კვლევისას შამის ქვეყნიდან კავკასიამდე
რისთვის ლოცვაშიც შემომელია მე ყველა სიტყვა
გზათა კვლევისას დადი-იურთიდან ჰაიბახამდე
რომლის ძეშნაშიც შემომელია მე მთა და მიწა
თავისუფლება – განახლდა სხივი მისი
მეც ამ სიმაღლეს მივწვდი

## ДЕХАР

ахь суна лохьа цхьа lуьйре
хьайна бен ца гина lуьйре
со Далла вилхинчу хенахь сан бlаьрхи цкъа хьуна гурриг

ахь суна лохьа цхьа меттиг
хьайна бен ца гина меттиг
сан садер долучу меттехь хьан сибат цкъа суна гурриг

сино цкъа са хьоьстуш хилла
азаллин шахтата санна
мацах вайн суьрта тlехь хилла
юкъара lиндагlа санна
хьо ца гуш и дагалеца
хьо гича воха ца воха
со ала кхоьрург дlаэций
со деха кхоьруш верг лохьа

2009

# ვედრება

მიბოძე დილა ის ერთი
დილა შენ ერთმა რომ ნახე
ჩემს ცრემლებს ერთხელ რომ ნახავ როცა მე უფალს
შევვედრებ

მიბოძე ერთი ალაგი
ალაგი ერთმა რომ ნახე
სადაც ამ სულთან გაყრის ჟამს შენს სახეს თვალს რომ
შევავლებ

სული სულს ეფერებოდა
ვით დასაბამის ხმა კრინტი
ვით ჩვენს სურათზე ოდესღაც
ჩვენი საერთო აჩრდილი
როცა არ გხედავ ამას ვგრძნობ
არ მაბნევს შენთან შეხვედრა
წაიღე რისი თქმაც მაშინებს
მომეცი რის თხოვნასაც ვერ ვბედავ

## СА(ДАГАРДАР)

биъ са болчу х1окху ц1ийнан
иссолг1а цхьа са бу тийна
оцу сонехь 1аш ду са(н)
са ца карош дисна са

хьаладолий кораш толлу
авлиянийн ойлайо
охьадуссий ц1енкъа толлу
презеденташ багарбо

олхазарийн кийрахь синош
тийначу шен вежаршна
доьлху иза ша шен къинош
карладохуш эзаршлахь

духар дац и хьулдеш цхьа а
марчо дайна диснадерг
марзо яц и лардеш цхьа а
дег1 а дайна диснадерг

готта хилла къора хилла
харц дуьненан х1ара б1ов
меттиг йоцуш бакъдерг дилла
лехарх карор боцуш тхов

хаьа цунна цхьа са дуйла
уггаре а эсалчех
и ша санна цхьалха дуйла
х1окху ц1ийнан есаллехь

# სული (მათვლა)

ოთხკუთხად ქმნილ ამ ოთახის
მეცხრე კუთხე მშვიდად ხუფავს
იმ კუთხეში თავის კუთხეს
ეძებს სული ფიქრებს იხვევს

დგება ზვერავს ფანჯრის მინებს
წმინდანების ჰყვება ფიქრი
დაბლა ჯდება ქაზდარს ზვერავს
პრეზიდენტებს ითვლის რიგით

ჰგოდებს ჩიტთა სხეულებში
დავანებულ ძმების სულებს
სტირის ნანოზს თავის ცოდვებს
ათასობით ჩადენილებს

ტანს სამოსი არ უფარავს
არ შთენია თვით სუდარაც
აღარ ელის სიტკბოს წამით
უსხეულო დაქრის ქარად
ყრუ და ვიწრო ეჩვენება
ცრუ სიმაგრე წუთისოფლის
ალაგს ეძებს სიმართლისთვის
ჰერს ვერ ჰპოვებს იცის მისთვის

იცის სადღაც რომ არსებობს
ყოვლად მშვიდი ერთი სული
ისიც მისებრ ეულია
დაცლილ სახლში დაკარგული

ღმერთო შენ ხარ ერთადერთი
ამბობს დგება ის ჩურჩულით
ღმეთო შენ ხარ ერთადერთი
ბოლთის ცემით მოთქვამს გულში

ла илахIа иллаллахIу
олий хьалагIотту и
ла илахIа иллаллахIу
олий гонехь хьийза и

ла илахIа иллаллахIу
Ахь кхоьллина долчу син
ла илахIа иллаллахIу
Дела вац Хьо воцург кхин

бить са болчу хIокху цIийнан
иссолгIа цхьа са бу тийна
оцу сонехь Iаш ду са(н)
са ца карош дисна са
2009

ღმერთო შენ ხარ ერთადერთი
შენგან შექმნილ ამ სულისთვის
ღმერთო შენ ხარ ერთადერთი
ერთადერთი მხოლოდ ერთი

ოთხკუთხად ქმნილ ამ ოთახის
მეცხრე კუთხე მშვიდად სუფევს
იმ კუთხეში თავის კუთხეს
ეძებს სული ფიქრებს იხვევს

## ДА ВОЦУ ЖIАЬЛА

Диларшкахь ду цуьнан дажар
Кхаьллешкахь ду цуьнан дажар
Да воцу жIаьла ду иза
ЦIе йоцуш ша тIаьхьа даза

Токхенехь летачу пхьаьрчийн
Аьзнаша тийналла цоьстуш
Дуьжу и боданах хьаьрчий
ГIан-набарх доьшано хьоьстуш

Массо а хIуманал хьалха
ГIотту и дакъаза гIаларт
Массо а хIуманал цхьалха
Юха а суьйренга дала

Ду иза ойланал маса
Даима дIаэккха кийча
Цхьа цеце Iадийна аса
Майраллин зирх боцуш цIийца

Амма цкьа и хьаста дагахь
Эсала дош далахь багах
Дарделла сох иза лета
Иза ду-кх цхьа хIетал-метал

* * *

Ас хIунда и дагалоьцу
Тахана и долуш санна -
Хьох йолу ойла ю соьца
Да воцу и жIаьла санна.

2010

# უპატრონო ძაღლი

საკვებად ნარჩენები აქვს
სანაგვეზე ჭამს ბედშავი
უპატრონო ძაღლს არა აქვს
სახელიც კი რომ სცნოს თავი

მაძღარ ხვადების ყეფაზე
უკრთის სიმები სიმშვიდის
ბინდს ჩახვეული იძინებს
ძილშიც სალაფავს რომ უცდის

ალიონს ყველაზე ადრე
დგება ბედკრული აჩრდილი
საღამოს სული ძლივს მიაქვს
ეული მარტოდ გაზრდილი

სწრაფია გაფიქრებაზეც
თან რომ გავარდეს მზად არის
სისხლში არ უზის ბეჩავსა
გამბედაობის მისხალი

თუმცაღა თუ დავუპირებ
ფერებას ტკბილ ლაპარაკით
გაავებული მეცემა
კია ეს ერთი არაკი

***

რატომ ვიხსენებ ამ ყოველს
თითქოს დღეს შემხვდა გადაღლილს
იქნებ შენზედ ფიქრს რომ ველტვი
მსგავსს უპატრონო იმ ძაღლის

АПТИ БИСУЛТАНОВ

# ПОЭЗИН ЖАЙНА

• • •

**Кавказан фонд**
**2010**


| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი რედაქტორი<br>Жоьпаллин редактор: | **მაკა ხანგოშვილი**<br>**МАККА ХАНГОШВИЛИ** |
| ჩეჩნური ტექსტის რედაქტორი:<br>Нохчийн текстан редактор: | **ზიაუდინ იდიგოვი**<br>**ЗИАУДИН ИДИГОВ** |
| კომპიუტერული უზრუნველყოფა:<br>Компютеран кхачо йинарг: | **ილნარ გორელიშვილი**<br>**ИЛЬНАР ГОРЕЛИШВИЛИ** |